ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

ერეკლე მაღლაკელიძე

პოლიტიკური ნდობა:

ფსიქოლოგიური კონცეპტუალიზაცია და მოდელირება ქართულ კონტექსტში

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანასტასია ქიტიაშვილი
ფსიქოლოგიის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2023 წელი

ჩემს პროფესორს, ნანი სუმბაძეს

შინაარსი:

აბსტრაქტი IV

Abstract VII

შესავალი 1

1. ნაწილი პირველი: პოლიტიკური ნდობა 8

1.1.სოციალური-პოლიტიკური ნდობის შედეგები და პირობები 8

1.1.1 პოლიტიკური ნდობა და მონაწილეობა 13

1.1.2. ნდობა და ეკონომიკა 18

1.1.3. სამართალი და სამართლიანობა 20

1.2. ნდობა: დეფინიცია და მოდელები 23

1.2.1. ნდობა და მიმნდობლობა (Trustfulness) 29

1.2.2. ნდობა და სანდოობა (Trustworthiness) 31

1.2.3. მოლოდინი, როგორც ყველა დეფინიციის ცენტრი 36

1.2.4. პოლიტიკური ნდობა: სპეციფიკა და დეფინიცია 41

2. მეორე ნაწილი: თეორიული მოდელი და საკვლევი საკითხის დასმა 45

2.1 პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელი და ფსიქოლოგიური კონცეპტუალიზაცია 46

2.2. საკვლევი კითხვა, მიზანი და ამოცანები 51

3. მესამე ნაწილი: კვლევის მეთოდოლოგია 53

3.1. საკვლევი ინსტრუმენტები და მათი მოსამზადებელი პროცედურები 54

3.2. სანდოობის ინსტრუმენტის ვალიდიზაცია 55

3.2.1. დებულებების თარგმნის პროცედურა 56

3.2.2. ფაქტორული ანალიზი: EFA (PCA) და CFA 57

3.3. პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობისა და გენერალური ნდობის საზომი ინსტრუმენტების ფსიქომეტრული მახასიათებლები 62

4. მეოთხე ნაწილი: შედეგები 66

4.1. აღწერითი სტატისტიკა და კორელაციური ანალიზი. 66

4.1.1. კორელაციური ანალიზი 70

4.2 ჯგუფთაშორისი განსხვავება 72

4.3. რეგრესიული ანალიზი 74

4.3. პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელის სტატისტიკური ანალიზი სტრუქტრული განტოლების მოდელზე (SEM) დაყრდნობით 76

5. ნაწილი მეხუთე: შედეგების ანალიზი, დასკვნები, შეჯამება 80

5.1. შედეგების ანალიზი 81

5.2 ნაშრომის პრაქტიკული/თეორიული ღირებულება 89

5.3 კვლევის შეზღუდვები და გამოწვევები 90

გამოყენებული ლიტერატურა 93

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი N1: ნდობის განზომილებები 34

ცხრილი N2. სანდოობის ინსტრუმენტის ფაქტორული ანალიზი PCA 58

ცხრილი N3 პოლიტიკოსთა სანდოობის სკალის შინაგანი შეთანხმებულობა 61

ცხრილიN4: ინსტიტუტებისადმი ნდობის მოდელები - მორგების კოეფიციენტიები 64

ცხრილი N5 დემოგრაფიული ცვლადების აღწერითი სტატისტიკა 66

ცხრილი N6: პოლიტიკური განწყობების, ჩართულობის, დაინტერესების აღწერითი სტატისტიკა 68

ცხრილი N7: ნდობისა და სანდოობის ინსტრუმენტების აღწერითი სტატისტიკა ... 69

ცხრილი N8: ცვლადებს შორის კორელაციური კავშირები 71

ცხრილი N9: ნდობისა და სანდოობის ქულების სხვაობა პარტიულ და აპარტიული აფილაციის ჯგუფებში 73

ცხრილი N10: მრავლობითი იერარქიული რეგრესია: პოლიტიკური ნდობის ორსაფეხურიანი მოდელი 75

ცხრილი N11: ცვლადებს შორის მიმართების რეგრესიული წონები 79

სურათების ჩამონათვალი

სურათი N1: ნდობის ურთიერთმიმართება სხვა ცნებებთან: იამაგიშის მოდელი 26

სურათი N2: ნდობის კომპოზიტური სტრუქტურა 50

სურათი N3: პოლიტიკური სანდოობის ინსტრუმენტი: ფაქტორული სტურქტურა (CFA) 60

სურათი N4: იამაგიშის ნდობის სკალის ფაქტორული სტრუქტურა: 62

სურათი N5-6 : ინსტიტუტუტებისადმი ნდობის 2 მოდელი 64

სურათი N7: პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელის ვიზუალიზაცია 77

სურათი N8: პოლიტიკური ნდობის სტატისტიკური მოდელი 78

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს პოლიტიკური ნდობის სოციალურ ფსიქოლოგიურ ანალიზსს, კერძოდ აღნიშნული ცნების თეორიულ კონცეპტუალიზაციასა და მის ემპირიულ მოდელირებას. პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობა გადაუფასებლად დიდია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებაში, თუმცა კონცეპტის კომპლექსურობა, მისი სტრუქტურის ბუნდოვანება და ემპირიული მოხელთების სიძნელეები ართულებს სამეცნიერო წერეებში ცალსახად იქნეს მითითებული მისი ფუნქციონირების შედეგები და წინაპირობები. აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ, წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია თეორიული მოდელი, ცნების ფსიქოლოგიური კონსტიტუციის მკაფიოდ მისათითებლად.

ნდობის ზოგად ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან გამომდინარე და დარგში აღიარებული პოზიციების გათვალისწინებით, მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულ იქნა შემდეგი დეფინიცია: *პოლიტიკური ნდობა წარმოადგენს მოქალაქის ფსიქიკური მზაობის მდგომარეობას, გასწიოს რისკი და იყოს მოწყვლადი პოლიტიკოსების განზრახვების მიმართ, იმ მოლოდინით, რომ პოლიტიკოსები შეასრულებენ კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც მნიშვნელოვანი და ღირებულია მოქალაქისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეს არ აქვს საკმარისი რესურს(ებ)ი მონიტორინგი გაუწიოს და აკონტროლოს მათი ქმედებები.*

თეორიულ ანალიზზე დაფუძნებით, პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალიზაციაში გამოირიცხა ფართოდ აღიარებული და გამოყენებული პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის ფენომენი, აღინიშნა რა მისი არათავსებადობა ზოგადად ნდობის, როგორც ფსიქიკური წარმონაქმნის ფსიქოლოგიურ ლოგიკასთან.

პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელი, შემოთავაზებულ ნაშრომში, წარმოადგენს კომპოზიტურ წარმოანაქმნს ოთხი ცენტრალური მდგენელით, ესენია: 1. პოლიტიკური აქტორის საანდოობა (trustworthiness): მოქალაქის მიერ აღქმული თვისებების ერთიანობა, რომელიც დარგში აღიარებულ სამ კონპონენტურ მოდელს ეყრდნობა; 2. მოქალაქის მიმნდობლობა (trustfulness): პიროვნების ზოგადი ტენდენცია მიენდოს სხვას, რაც გულისხმობს ერთგვარ ნდობისკენ მიდრეკილებას; 3. მოქალაქის სოციალური შედარების განზომილება: პოლიტიკოსთა სანდოობის რწმენის

სიზუსტის ვერიფიკაცია, მნშივნელოვან სხვებზე დაყრდნობით; და ბოლოს 4. პოლიტიკის სფეროში მოქალაქის თვით-ეფექტურობა: რაც გულისხმობს კოგნიტური რესურსების აღქმულ სიმწირეს, რაც დაკავშირებულია მოქალაქისთვის პოლიტიკურ მოვლენებში გარკვევის სირთულეებთან.

აღნიშნული თეორიული მოდელის შესამოწმებლად, კვლევის ეთიკის პრიცნიპების გათვალისწინებითა და სრული დაცვით, შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის დიზაინი; ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, თვითადმინისტირებადი ინსტრუმენტით, გამოიკითხა საქართველოს 222 სრულწლოვანი მოქალაქე.

კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის საკვლევი სკალა, ინსტუმენტის ვალიდიზაციის წინაპირობებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიქმნა 12 დებულებიანი, სამ განზომილებიანი (პოლიტიკოსთა: აღქმული კომპეტენტურობა; აღქმული პატიოსნება და აღქმული მზრუნველობა) სანდო და ვალიდური ინსტრუმენტი, რაც ღირებული სიახლეა პოლიტიკური ფსიქოლოგიის დისციპლინის შემდგომი განვითარებისთვის. შემდგომ ეტაპზე, თეორიულ მოდელსა და წინასწარ სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, შემუშავდა სტრუქტურული განტოლების მოდელი და ემპირიული მონაცემების საფუძველზე შემოწმდა და დადასტურდა პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალური მოდელის კარგი მორგება; კერძოდ: პოლიტიკოსთა მიმართ ნდობის ქულების ვარიებელობას სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ხსნის პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა, რასთანაც თავის მხრივს სტატისტიკურად მნიშვნელოვნადაა დაკავშრიებული, მოქალაქის მიმნდობლობა და მნიშვნელოვანი სხვების მიერ აღქმული პოლიტიკოსთა სანდოობა, რაც შეეხება პოლიტიკურ მოვლენებში გარკვევის სირთულეს, აღნიშნული ცვლადი მოცემულ მოდელში სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება პოლიტიკოსთა სანდოობის აღქმული კომპეტენტურობის განზომილებას.

აღნიშნულ კვლევას გააჩნია როგორც თეორიული, ასევე ემპირიული ღირებულება: თეორიული თვალსაზრისით მოცემულ ნაშრომში ზუსტდება და ხაზი ესმევა პოლიტიკური ნდობის ფსიქიკურ კონსტიტუტციას, რითაც მეტი სიცხადე შეაქვს და

აუმჯობესებს თეორიულ დისკურსში ცნებით ოპერირებას; რაც შეეხევა ემპირიულ მნიშვნელობასა და მის გამოყენებით ღირებულებას, ახალი ინსტრუმენტის ვალიდიზაციით და ზოგადად, პოლიტიკური ნდობის სტატისტიკურად გამართული მოდელირებით, პოლიტიკით დაინტერესებული მკვლევარებისთვის სანდო და ვალიდური მონაცემებების შეგროვების საშუალებას იძლევა, გამომდინარე აქედან კი ქმნის პოტენციალს განხორციელდეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ანალიზი და მასზე დაფუძნებით შემუშავდეს აქტუალური პოლიტიკები.

საკვანძო სიტყვები: *ნდობა; პოლიტიკური ნდობა; მიმნდობლობა; პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა; ინსტრუმენტის ვალიდიზაცია.*

Abstract

This paper represents a social psychological analysis of political trust, in particular the theoretical conceptualization of the concept of political trust and its empirical modeling. The importance of political trust is inestimable in the functioning of democratic political systems; however, the complexity of the concept, vague structure and empirical obstacles in investigating make it challenging to unambiguously indicate the results and prerequisites of its functioning in scientific papers. In response to the aforementioned challenge, the presented paper proposes a theoretical model to clearly demonstrate the psychological constitution of the concept. Based on the psychological concept of trust and taking into account the positions recognized in the field, the following definition is proposed in this work: *political trust is a state of mental readiness of a citizen to take risks and be vulnerable to the intentions of politicians, with the expectation that politicians will perform specific actions that are important and valuable to the citizen, although the citizen does not have enough resource(s) to monitor and control their actions.*

It should be noted that the psychology of trust as a mental construct is incompatible with the phenomenon of trust in political institutions, leading to its exclusion from the conceptualization of political trust, based on theoretical analysis. In the proposed paper, the theoretical model of political trust is a composite structure with four main components namely: 1. Trustworthiness of the political actor: the favorability of their qualities perceived by the citizen, which is based on three component models recognized in the field; 2.Citizens' level of trustfulness: the general tendency of a person to trust others, which implies a tendency to trust; 3.Dimension of a citizen's social comparison: verification of the accuracy of a politician's trustworthiness in relation to significant others; And finally, 4.Self-efficacy of the citizen in the field of politics , which refers to their perceived level of awareness in relation to the difficulty the public faces when attempting to educate themselves on political events.

The principles of research ethics were fully observed and taken into account while developing a quantitative research design to test the aforementioned theoretical model. Adult citizens of Georgia were interviewed using a self-administered instrument with the available sampling method.

At the initial phase of the research, a research scale of the perceived trustworthiness of politicians was developed, taking into account the prerequisites and recommendations providing validity of the instrument utilized. The instrument consists of 12-items with three-dimensions: politicians' perceived competence, perceived integrity and perceived benevolence. As a result, a reliable and valid instrument was created, a significant innovation for the further development of the discipline of political psychology. A structural equation model was run at the next stage based on the theoretical model and a preliminary statistical analysis; the good fit of the conceptual model of political trust was tested and confirmed based on empirical data. In particular: the variability of trust scores towards politicians is statistically explained by the perceived trustworthiness of politicians, which is significantly related to the level of trustrustfulness of a citizen and the trustworthiness of politicians perceived by significant others. As for the difficulty of finding out on political events, the mentioned variable in the model is statistically and significantly related to the perceived competence dimension of the trustworthiness of politicians.

The current research has both theoretical and empirical value: from a theoretical point of view the paper provides clarification and outlines the mental composition of political trust, thus enhancing the function and utility of the concept in the theoretical discourse.

As for the empirical significance, the validation of the new instrument is demonstrated and a statistically sound modeling of political trust, which may allow social and political scientists to collect reliable and valid data; thereby creating the potential to carry out meaningful analysis and develop relevant policies accordingly.

Keywords: *trust; political trust; trustfulness, perceived trustworthiness of politicians; Research instrument validation.*

შესავალი

პოლიტიკური ნდობის ფენომენი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების გამართულად მუშაობის ერთერთ ცენტრალურ მდგენელად. გამომდინარე იქიდან, რომ დემოკრატია თავისი შინაარსით წარმოადგენს მმართველობის ფორმას, რომლის საფუძველიც მოქალაქეთა ლეგიტიმაციით აღჭურვილი პოლიტიკური ელიტაა, ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკური სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის პოლიტიკურ ნდობას, შეიძლება ითქვას ნდობის ფორმასა და ხარისხს (Warren, 1999; 2017; 2018), უაღრესად მნიშვნელოვანი როლი უნდა ჰქონდეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს როლი, როგორც თავად ნდობის ფენომენი, არც თუ ისე ცხადი, კვლევისთვის რთულად მოსახელთებელი და საკმაოდ ბუნდოვანია.

პოლიტიკური ნდობის კვლევის ისტორიულ ხაზსს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებთან მივყავართ და მისი შესწავლა თუ პირველი მეცნიერული დაინტერესებაც ამ პერიოდში იკვეთება (van der Meer & Zmerli, 2017): კერძოდ, ცივი ომის პერიოდში განსაკუთრებით მნიშნველოვანი გახდა დემოკრატიული რეჟიმების სტაბილურობის საკითხი, შესაბამისად პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერა და ნდობის ფენომენი პოლიტიკის, სოციოლოგიის და სხვა დისციპლინის მკვლევარების მეცნიერულ ინტერესში მოექცა (Almond & Verba, 1963; Easton, 1965; Easton, 1975).

60 იან წლებში ალმონდი და ვერბა, თავის კლასიკურ ნაშრომში „სამოქალაქო კულტურა“, ერთერთი პირველები მიუთითებდნენ მოქალაქეთა პოზიტური ორიენტაციის მნიშვნელობაზე პოლიტიკური სისტემის ეფექტურ მუშაობსა და დროში სტაბილურობაზე (Almond & Verba, 1963). აღნიშნულ ნაშრომში ავტორები ძირითად აქცენტს აკეთებენ პოლტიკური კულტურის პრიზმაში დანახულ ნდობაზე (პოზიტიურ ორიენტაციაზე), როგორც სისტემის ლეგიტიმაციის ერთგვარ წყაროსა და მოქალაქის ჩართულობის დეტერმინანტზე (Almond & Verba, 1963; Hooghe, 2011). პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობაზე ხაზგასმა დემოკრატიული სისტემის გამოწვევებში, შემდგომ დეკადაშიც გაგრძელდა: 70 იან წლებში ჰანტინგტონი და

პოლიტიკის სხვა წამყვანი მკვლევარები, აქტიურად განიხილავდნენ და მიუთითებდნენ პოლიტიკური ნდობის ეროზიასა და დემოკრატიული სისტემის კრიზისს შორის პირდაპირ კავშირზე (van der Meer & Zmerli, 2017). კვლევები მიუთითებენ, რომ პოლიტიკური ნდობა დასავლურ დემოკრატიებში განიცდიდა ხარისხობრივ კლებას (Hetherington, 1998), თუმცა ნაწინასწარმეტყველევი დემოკრატიის კრიზისი არ დამდგარა, ისტორიულად არ დადასტურდა ამ კავშირის თეორული სუზუსტე, რაც მნიშნველოვანი ბიძგი აღმოჩნდა, როგორც ამ ცვლადების, ასევე მათი მიმართებისა თუ თეორიული დაშვებების ხელახლა გადააზრებისთვის.

90 იანი წლების მეორე ნახევრიდან ნდობის საკითხი ახალი აქტუალობით ჩნდება სოციალურ მეცნიერებებში (80 იან წლებში პოლიტიკური ნდობის საკითხი თითქოს ჩრდილში გადადის ე.მ.). სიმბოლური კაპიტალის (Bourdieu, 1986), კერძოდ სოციალური კაპიტალის კონტექსტში, ნდობის საკითხი და მისი მეცნიერული შესწავლა ხელახლა დგება აკადემიურ დღისწესრიგში (Fukuyama, 1995; Putnam, 2000). სოციალური კაპიტალის მკვლევარები ნდობას განიხილავენ პოლიტიკური სისტემებისა თუ მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტად, შესაბამისად მეცნიერული კვლევის წინა ხაზზე გადმოდის ნდობის პოზიტიური შედეგებისა და ეფექტების ანალიზი.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ნდობას შესაძლოა ძლიერი პოტენციალი გააჩნდეს დემოკრატიული სისტემების გამართულ მუშაობასა და სტაბილიზაციაში, ქართულ აკადემიურ სივრცეებში მისი სისტემატური შესწავალა და პოლიტიკური ფსიქოლოგიის ჭრილში ანალიზი საკმაოდ დეფიციტურია. ეს დეფიციტი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ფსიქოლოგიის დისციპლინაში, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია პოლიტიკური ფსიქოლოგიის დარგის უმწიფრობით ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში, ხოლო მეორეს მხრივ მეთოდოლოგიური სირთულეებით როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე; პოლიტიკური ნდობის გაზომვის საკითხები დღესაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ითვლება სოციალურ მეცნიერებებში (OECD, 2017), მათ შორისა გამოკვეთილი სიმწვავით დგას ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ცნების ზუსტი ოპერაციონალიზაცია, კონსტრუქტის განზომილებების რაოდენობის შესახებ არსებული დისკუსიები, საკვლევი ინსტრუმენტების ვალიდობისა და სანდოობის გამოწვევები, სკალების

ფსიქომეტრული მახასიათებლების გამართულობა და სხვა კვლევისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ასპექტების დახვეწის აუცილებლობა.

პოლიტიკური ნდობის საკითხის მნიშვნელოვნობა, ქართულ პოლიტიკურ სისტემაში, ქვეყნის დამოიკიდებულობის მოპოვების (აღდგენის) დღიდან მკაფიოდ იკვეთება ახალი ქართული დემოკრატიის დღისწესრიგში: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოში მყისიერად ჩნდება დემოკრატიული სისტემის ფორმირების მოლოდინები (Sumbadze, 2013), თუმცა 90 იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა, სამოქალაქო ომმა, სამხედრო დაპირისპირებამ პოლიტიკურ ელიტებსა თუ მოქალაქეებში, ადგილი არ დატოვა სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირებისთვის, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ადრეულ 90 იან წლებში პოლიტიკური ნდობის საფუძვლებსაც ვერ/არ ვხვდებით. ქვეყნის უახლესი ისტორიის ამ პერიოდში, ნდობის ფენომენი მხოლოდ ინტერპერსონალურ დონეზე არსებობდა, თუმცა არა გენერალიზებული ნდობის ფორმით, არამედ საუბარია ნაცნობებისა და ახლობლებისადმი გამოცხადებულ მზარდ ნდობაზე, რაც მოქალაქეთათვის ვიტალური მნიშვნელობის იყო 90 იანი წლების საქართველოში. გვიანი 90 იანი წლები - 2000 იანების დასაწყისი, შესაძლოა დახასიათდეს, როგორც ჭარბი კორუფციული პოლიტიკის პერიოდი, ქართული დემოკრატიის ისტორიაში. გაუმართავი პოლიტიკური ინსტიტუტები და კორუფციის მაღალი დონე, პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკური ნდობის დევალვაციასთან (Rothstein & Uslaner, 2005), შესაბამისად, მოცემულ პერიოდში გასაგებია და ცხადია, რომ პოლიტიკური ნდობის ხარისხი იმაზე დაბალი იყო, ვიდრე დემოკარტიული სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვისაა საჭირო. 2010 იან წლებამდე პოლიტიკური ნდობა კვლავ რჩებოდა დაბალ ნიშნულზე, რაც ძირითადად აისახებოდა მოაქალქეთა პოლიტიკურ ატიტუდებსა და პოლიტიკურ ქცევაში (მაგ. იხილეთ: Sumbadze, 2013). რაც შეეხება ბოლო დეკადას, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ის შეიძლება სამართლიანად შეფასდეს, როგორც პოლიტიკური პოლარიზაციისა და რადიკალიზაციის პერიოდი, რაც თავის მხრივ აფერხებს დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებასა და განვითარებას. პოლიტიკური რადიკალიზაცია და პოლარიზაცია, თავის მხრივ განსაზღვრავს პოლიტიკური ნდობის პოლარიზებას (ლებანიძე, 2021), პოლარიზებული პოლიტიკური ნდობა კი ვერ მოდის თავსებადობაში დემოკრატიულ

განვითარებასთან და ნეგატიურად აისახება, როგორც სისტემის ლეგიტიმაციაზე, ასევე მოქალაქეთა პოლიტიკურ ქცევაზე, მაგალითად საჯარო პოლიტიკაზე კონსესუსის ვერ მიღწევასა და ელექტორატში მიკერძოებულ პოლიტიკურ მსჯელობასა და დისკურსზე (ლებანიძე, 2021).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ნდობას რთული და მოუხელთებელი ბუნება აქვს, ავტორები იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად მაინც თანხმდებიან ფაქტზე, რომ პოლიტიკური ნდობა აუცილებელი პარამეტრია პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღისა და სიცოცხლისუნარიანობის გასაზომად (Hooghe, 2011). მიუხედავად ამ თვალსაზრისის მეცნიერული მიმზიდველობისა, ანალიზში შეიძლება რამდენიმე ტიპის პრობლემას წავაწყდეთ: პირველ რიგში საყურადღებოა ნდობის გაზომვით მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, კერძოდ პოლიტიკური ნდობის რა ხარისხი მიუთითებს სისტემის სიჯანსაღესა და ვიტალურობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის ფაქტორი პოლიტიკური სისტემის მიმართ, მისი ხარისხი და შედეგები, გარკვეულ ბალანსთანაა დაკავშირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად ძლიერად უნდა ვენდოთ პოლიტიკურ სისტემასა თუ მის ელემენტებს, გარკვეულ ნიუანსებს შეიცავს. ერთი მხრივ დემოკრატიული საზოგადოების არსი სწორედ ძალაუფლების დელეგირებაში მდგომარეობს, ამიტომ ნდობის გამოცხადების გარეშე შეუძლებელია პოლიტიკურმა სისტემამ იფუნქციონიროს (რა თქმა უნდა აქ მხოლოდ დემოკრატიულ სისტემას ვგულისხმობთ). მეორე მხრივ, საუბრობენ ე.წ. რეალისტურ ცინიზმზე (Newton, 2008; Agger, Goldstein, & Pearl, 1961) ანუ უნდობლობის, როგორც პოლიტიკური სიფხიზლის დადებით ფაქტორზე. შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური ნდობისა და უნდობლობის სინერგიულ ბუნებაშია სისტემის გამართული ფუნქციონირება. ეს საკითხი/პრობლემა და მისგან გამომდინარე კვლევითი კითხვები დიდწილად პოლიტიკის მეცნიერებების შესწავლის ობიექტად შეიძლება მივიჩნიოთ. მეორე საკითხი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანი და პრობლემატურია, გასაზომი ცვლადის ოპერაციონალიზაციას უკავშირდება. პოლიტიკურ ფსიქოლოგიას, ლოგიკურია, ამ მიმართულებით უფრო ნაყოფიერი წვლილის შეტანის რესურსი გააჩნია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ პოლიტიკური ნდობა არ დაიყვანება სოციალურ ნდობაზე, შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტური განსხვავებაა ინტერპერსონალურ და პოლიტიკურ ნდობას შორის:

თუ კი პირველი მათგანი მიმართულია ატიტუდებზე სხვა მოქალაქეების მიმართ (ჰორიზონტალური ნდობა), მეორე შემთხვევაში საუბარია ურთიერთმიმართებაზე მოქალაქესა და პოლიტიკურ ლიდერსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის (ვერტიკალური ნდობა). ეს განსხვავება უაღრესად მნიშვნელოვანია გამომდინარე მათი განსხვავებული სპეციფიკიდან (Newton, 2008). ჰარდინი პირდაპირ მიუთითებს, რომ ინდივიდის ნდობა მთავრობის მიმართ, არსობრივად შორს დგას ნდობისგან სხვა ინდივიდის მიმართ, ინტერპერსონალური ნდობა ვერ ტრანსფორმირდება ნდობაში მთავრობის მიმართ (Hardin, 1998). მიუხედავად იმისა, რომ ავტორები მიუთითებენ ამ ორი ტიპის ნდობის ურთერთკავშირზე (Agger, Goldstein, & Pearl, 1961; Fukuyama, 1995; Zmerli, Newton, & Montero, 2007), შეუძლებელია ვისაუბროთ მათ იდენტურ ბუნებაზე, შესაბამისად აუცილებელია მითითებულ იქნეს ის პირობები, რაც პოლიტიკურ ნდობას მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას სძენს. ცნების მკაფიო დეფინიციასა და მის ზუსტი ოპერაციონალიზაციის საკითხს უკავშირდება თავად პოლიტიკური ნდობის მრავალდონიანობის საკითხი. პოლიტიკური ნდობა შეიძლება გავარჩიოთ მინიმუმ ორ დონეზე: პირველი დონე მიუთითებს ნდობას პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, ხოლო მეორე - პოლიტიკურ ლიდერებზე, პოლიტიკურ ელიტაზე (Newton (2008) მესამე დონესაც გამოყოფს - საზოგადოება და ერი, თუმცა ოპერაციონალიზაციის სიზუსტიდან გამომდინარე აუცილებელია პირველ ორ დონეზე კონცენტრირება და მათი გამიჯვნა) მიუხედავად მათ შორის არსებული დადებითი კავშირის არებობისა. როგორც წესი, სოციოლოგიურ კვლევებში (იქნება ეს ინტერნაციონალური, მაგ.: WVS, EVS, ESS თუ ინტრანაციონალური მაგ.: CRRC) პოლიტიკური ნდობის საზომად ძირითადად გამოყენებულია პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის საზომი დებულებები, ხოლო პოლიტიკური ელიტისადმი ნდობა, როგორც წესი, მასშტაბური კვლევის მიღმა რჩება ხოლმე, ან ჩანაცვლებულია მომიჯნავე კონცეფციების, მაგალითად ატიტუდების, პოლიტიკოსთა რეიტინგებისა თუ სხვა მსგავსი პათოსის მქონე ცვლადების გაზომვით. პოლიტიკური ელიტის მიმართ ნდობის, მომიჯნავე კონცეფციებით ჩანაცვლება, ასევე პრინციპულად მნიშნველოვანია როგორც თეორიული, ასევე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით და საჭიროებს მეცნიერულ რევიზიას. შემდეგი პრობლემა, რომელსაც პოლიტიკური ნდობის ანალიზის დროს ვაწყდებით, გახლავთ კავშირის მითითება და დადგენა

პოლიტიკურ ნდობასა და მის ბიჰევიორალურ გამოვლინებებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემპირიულად რთული მოსახელთებელია კერძოდ რომელ პოლიტიკურ ქცევაში იჩენს თავს პოლიტიკური ნდობა, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, რაც ვფიქრობთ ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფსიქოლოგიური კვლევებისთვის.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე პოლიტიკურ ნდობას ქართულ (და არა მხოლოდ) კონტექსტში საგრძნობლად აკლია ფსიქოლოგიური ანალიზი. კერძოდ რა ფორმით და რა კომპოზიციით არის პოლიტიკური ნდობა წარმოდგენილი ფსიქიკურ დონეზე. ეს გამოწვევა რამდენიმე მიმართულებითაა საყურადღებო: პირველ რიგში აუცილებელია პოლიტიკური ნდობის ფსიქოლოგიური კონცეპტუალიზაცია, რაც თავსი მხრივ მოითხოვს გამართული თეორიული მოდელის შემუშავებას, სადაც მკაფიოდ იქნება ნაჩვენები ნდობის ფსიქოლოგიური მდგენელები და მუშაობის სპეციფიკა; ამის შემდგომ საჭიროა ფსიქომეტრული და სხვა მეთოდოლოგიური პრობლემების ანალიზი და ეფექტური გადაწყვეტა, რათა ჯეროვნად იქნეს შესწავლილი შემუშავებული მოდელი და ემპირიულად შემოწმდეს მისი გამართულობა. სწორედ ეს გამოწვევები იქცა მოცემული ნაშრომის ცენტრალურ კვლევის მიზნად და შესაბამისად ტრანსფორმირდა თეორიულ და ემპირიულ ამოცანებად, კერძოდ შეიქმნას პოლიტიკური ნდობის ფსიქოლოგიურად გამართული თეორიული მოდელი და ემპირიული კვლევის საფუძველზე შემოწმდეს და დადასტურდეს იგი.

მოცემული ნაშრომი მოიცავს ხუთ ნაწილს (თავს), რომელიც ზემოთ აღწერილ მიზნის მიღწევას ემსახურება:

ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია პოლიტიკური ნდობის თეორიული მიმოხილვა, კერძოდ მითითებულია ცნების მნიშვნელობა სოციალურ სისტემაში და გაანალიზებულია ზოგადად პოლიტიკური ნდობის ფსიქოლოგიური ბუნება.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია თეორიული მოდელი და კონცეპტუალიზირებულია პოლიტიკური ნდობა ემპირიული გადამოწმებისთვის.

მესამე თავი ეთმობა კვლევის მეთოდოლოგიას, კერძოდ მეთოდის აღწერას, პროცედურებსა და საკვლევი ინსტრუმენტების ფორმირებასა და ადაპტაციას.

მეოთხე თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და მოდელის დასკვნითი სტატისტიკა.

და ბოლოს, მეხუთე თავი ეთმობა მიღებული შედეგების ანალიზსა და საბოლოო დაკსვნებს.

1. ნაწილი პირველი: პოლიტიკური ნდობა

ნდობის მნიშვნელობაზე ხაზგასმა და მისი შესაწავლა, არახალია სოციალური მეცნიერებების აკადემიურ წრეებში. ნდობის რაობისა და შედეგების ანალიზს, მაკრო დონეზე, ძირითადად პოლიტიკის მეცნიერებების, სოციოლოგიის, ეკონომიკის და სხვა დისციპლინების ფოკუსში ვხვდებით; ფსიქოლოგია ნდობას მიკრო, ინდივიდის დონეზე, შეისწავლის და ფსიქიკურ დონეზე მის სტრუქტურასა და ფუნქციაზე კონცენტრირდება. რაც შეეხება უშუალოდ პოლიტიკურ ნდობას, ეს ფენომენი ყველაზე უკეთ, ინტერდისციპლინურ პრიზმაში შუქდება და ამ მხრივ სოციალურ ფსიქოლოგიას (Newton, 2008) გადაუჭარბებლად დიდი პოტენციალი გააჩნია ღირებული წვლილი შეიტანოს ცნების თეორიულ თუ ემპირულ შესწავლაში.

პოლიტიკური ნდობა წარმოადგენს ცენტრალურ ინდიკატორს თუ რამდენად მჭიდროდ უკავშირდება მოქალაქე პოლიტიკურ აქტორს (Seyd, 2016), ხოლო ამ კავშირის ბუნება და სპეციფიკა, პირდაპირ თუ ირიბად, გავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე. პირველ რიგში აუცილებელია ხაზი გავუსვათ სწორედ პოლიტიკური ნდობის იმ შედეგებს, რომლებსაც მნიშნველოვანი წვლილი შეაქვთ სოციალური სისტემის დინამიკაში.

1.1.სოციალური-პოლიტიკური ნდობის შედეგები და პირობები

და მაინც, რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნდობა დემოკრატიული სისტემებისთვის? უსლენერი (2018) აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ნდობა თავის მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკური პროცესებისთვის, მაგალითად როგორიცაა: საკამათო, კონტრავერსიული საკანონმდებლო ინიციატივების მიღება და გატარება; ნდობის პოზიტიურ შედეგად, აუთქამად შეიძლება გვევლინებოდეს მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობა (მაგალითად ხმის მიცემის პრაქტიკები), გადასახადების გადახდისთვის მზაობა, საერთაშორისო ურთიერთობებებში სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა და სხვა, რაც საბოლოო ჯამში უკეთესი საჯარო მმართველობის გარანტია (Uslaner, 2018). პოლიტიკური ნდობის ეს პოზიტიური გამოვლინებები, როგორც წესი, პოლიტიკის თეორიულ ანალიზში რელევანტურია

მაშინ, როდესაც ქვეყანაში ჭარბი დოზით არ ვხვდებით პოლიტიკურ პოლარიზებას. პოლიტიკური პოლარიზაცია, რაც თავის მხრივ იწვევს პოლიტიკური ნდობის პოლარიზებას, აფერხებს სახელმწიფოს უნარს გადაჭრას მნიშვნელოვანი პრობლემები (Hetherington & Rudolph, 2018), შესაბამისად ფერხდება სოციალური სისტემის გამართული ფუნქციონირება. პოლიტიკური ნდობის პოლარიზაცია დღესდღეობით ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, როგორც განვითარებადი, ასევე ძლიერი დემოკრატიებისთვის (მაგალითად იხილეთ: Theiss-Morse, Barton, & Wagner, 2015), რაც ბადებს აუცილებლობას მეტი სოციალური და პოლიტიკური ნდობის გენერირების, თუმცა როგორც ავტორები აღნიშნავენ, პერსპექტივაში ნდობის ეს დონე ჯერაც არ ჩანს (Uslaner, 2018).

მიუხედავად ნდობის ამ „პოზიტიური შედეგებისა", დემოკრატიულ სისტემასა და პოლიტიკურ ნდობას შორის ურთიერთობა საკმაოდ პარადოქსულია და ამ პარადოქსული ბუნების შესწავლა კი უაღრესად მნიშვნელოვანი (Warren 1999, 2017, 2018). ავტორები ხშირად მიუთითებენ პოლიტიკური უნდობლობის, შეიძლება ითქვას პოლიტიკური ცინიზმის (რაც პრინციპულად განსხვავდება პოლიტიკური გაუცხოვებისგან) პოზიტიურ მნიშვნელობაზე დემოკრატიული სისტემისთვის (Agger, Goldstein, & Pearl, 1961; Newton, 2008; Warren 1999, 2017, 2018). ცხადია, პოლიტიკურ ნდობას უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია მოქალაქისა და პოლიტიკური ელიტის ინტერაქციაში, გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქე შეზღუდულია მთელ რიგ რესურსებში, მაგალითად პოლიტიკის ცოდნა, დროის სიმცირე ჩაერთოს პოლიტიკურ აქტივობაში, სრულყოფილი მონიტორინგი გაუწიოს დელეგირებული ძალაუფლების ჯეროვნად გამოყენებას, სწორედ პოლიტიკური ნდობა გვევლინება იმ ფაქტორად, რომელიც ზემოთაღნიშნული დეფიციტური რესურსების მიუხედავად, საშუალებას იძლევა დემოკრატიულმა სისტემამ გამართულად იმუშაოს; თუმცა ვარენი (2017, 2018) მიუთითებს რომ ურთიერთობა ნდობსა და დემოკრატიას შორის კიდევ უფრო კომპლექსურია და საჭიროა გამოვკვეთოთ ნდობის კონკრეტული ფორმები და ამ ფორმების მიხედვით დავადგინოთ დემოკრატიისთვის მხარდამჭერი ნდობისა თუ უნდობლობის ხარისხები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს პოლიტიკური ნდობის სხვადასხვა ფორმები (რომელიც ძირითადად განისაზღვრება ნდობის ობიექტის რაგვარობით, ანუ

ვის ან რას ვენდობით პოლიტიკაში, იქნება ეს ინსტიტუტები, ექსპერტები თუ პოლიტიკოსები), და გამომდინარე იქიდან, თუ რომელი ტიპის/ფორმის ნდობაზეა საუბარი, მისი დეფიციტი თუ სიჭარბე, განსხვავებულ ეფექტს იძლევა დემოკრატიული სისტემისთვის (Warren, 2017).

Newton (2008) პოტიკურ ნდობას სამ დონეზე, სამ ტიპად აანალიზებს. ამოდის რა ისტონის (1965, 1975) პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერის სამ დონიანი მოდელიდან, ნიუტონი განასხვავებს *ავტორიტეტების, რეჟიმის და ერის* დონეზე არსებულ პოლიტიკურ ნდობას. ავტორიტეტებისადმი ნდობა თავის თავში გულისხმობს ნდობას პოლიტიკური ლიდერებისადმი, კონკრეტული პარტიული იდენტიფიკაციით; რეჟიმის მხარდაჭერაში იგულისხმება ნდობის აკუმულირება პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი, საუბარია ნდობა და დარწმუნებულობა პარლამენტის ნაყოფიერ მუშაობაში, ძალოვანი ინსტიტუტების, სასამართლო სისტემის, საჯარო სერვისების და სხვა ინსტიტუტებისადმი გამოცხადებული ნდობა. და მესამე დონეზე ხაზი ესმევა ეროვნული იდენტობის, ნაციონალური სიამაყის და ქვეყნისთვის თავდადებისთვის მზაობას. პოლტიკური ლიდერებისადმი ნდობა ფუნდამენტურად განსხვავდება ინსტიტუტებისადმი ნდობის/დარწმუნებულობის ფორმისგან სულ მცირე ორი პრინციპული ფაქტორით, ნიუტონი აღნიშნავს, რომ განსხვავებულობის პირველი საკითხი დაფუძნებულია ნდობის ობიექტის შესახებ ცოდნის არსებობა - არ არსებობაზე: ინსტიტუტებისადმი ნდობა არ საჭიროებს პირისპირ ურთიერთობას და პერსონალიზებას, ნდობის გარანტორებად გვევლინება სოციალურ სისტემაში გაწერილი წესები, ნორმები და პროცედურები; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ინსტუტებისადმი ნდობის საფუძველს სოციალური სტრუქტურისა და სოციალური სისტემის ცოდნა წარმოადგენს და დამოუკიდებელია კონკრეტული აქტორებისგან, რომლებიც ჩართულნი არიან ინსტიტუტების მუშაობაში; რაც შეეხება ლიდერებისადმი, ელიტისადმი ნდობას, ის უშუალოდ აგებულია პერსონალურ ცოდნასა და სოციალურ სიტუაციაზე; მეორე ფაქტორს, რითაც ნდობის ეს ორი ფორმა განსხვავდება, წარმოადგენს ლეგიტიმაციის საკითხი, მისი ხარისხი და დროში სტაბილურობა დემოკრატიისათვის. პოლიტიკური ლიდერისადმი ნდობის დეფიციტი დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს დემოკრატიისთვის მთლიანობაში, მაშინ როცა ინსტუტუციური ნდობა და მისი დროში სტაბილურობა აუცილებელი

ინგრედიენტია პოლიტიკური სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის, მიუხედავად იმისა იცვლებიან თუ არა პოლიტიკური ლიდერები (Newton, 2008).

ვარენი (2017), ნიუტონისგან განსხვავებით ნდობის ხუთ ფორმაზე მიუთითებს დემოკრატიის კონტექსტში: ***პირველი*** ტიპის ნდობა, რომელსაც ავტორი ხაზს უსვამს, გახლავთ გენერალიზებული ინტერპერსონალური ნდობა და მისი მნიშნვლეობა დემოკრატისთვის. გენრალიზებული სოციალური ნდობა თავსი მხრივ წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ფუნდამენტს (მაგ.: Fukuyama 1995, Putnam 2000) რასაც ირიბი, თუმცა მნიშვნელოვანი გავლენაა აქვს პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღესა და დემოკრატიულ განვითარებაზე; საზოგადეობაში ამ ტიპის ნდობის დეფიციტი შეძლება შეფასდეს, როგორც საფრთხე დემოკრატიული პროცესების სტაბილურობისა და გამართულობისათვის. ნდობის ***მეორე*** ტიპს წარმოადგენს პროფესიონალებისა და ექსპერტებისადმი ნდობა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მიენდო, მხარი დაუჭირო პოლიტიკურ დისკურსსა და პროცესებს), ექსპერტებისადმი ნდობა მნიშვნელოვანია მაქალაქისთვის კოგნიტური ძალისხმევის დაზოგვის თვალსაზრისით, ერთგვარ ეკონომიურობის ფუნქციას ატარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც თავსი მხრივ დადებითი ფაქტორია, თუმცა გამომდინარე ექსპერტული წრეებისა და პროფესიონალების სავარაუდო პოლიტიზირების გარანტიების არ არსებობისა, გარკვეული საფრთხის, რისკების მატარებლად მაინც რჩება ნდობის ამ ფორმის სიჭარბე. ***მესამე და მეოთხე*** ფორმის ნდობა დაკავშირებულია პოლიტიკურ ინსტიტუტებთან. განსხვავება ამ ორ ინსტიტუციური ნდობის ფორმას შორის შეგვიძლია ვეძებოთ ინსტიტუტის პოლიტიზირების ხარისხში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა თქმა უნდა ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი თავისთავად პოლიტიზირებულია, თუმცა საუბარია პარტიულობასა თუ ინტერესთა გატარების ხარისხზე. პირველი, როცა ვსაუბროთ ისეთ ინსტიტუტებზე, როგორიცაა სასამართლო სისტემა, განათლების სისტემა, ჯანდაცვა და სხვა ინსტიტუტები, რომლებიც იდეალურ შემთხვევაში დაცლილია პარტიული ინტრესესებისგან და საკმარისი გარანტიებია სოციალურ სისტემაში მათი მიუკერძოებულობის, მაგალითად ინსტიტუტის გამჭვირვალობა და მათი უზრუნველყოფა, კორუფციის არ არსებობა, პატრონაჟის დეფიციტი, გამართული ნორმატიული სისტემა და აღსრულების მექანიზმები. სწორედ ამ გარანტიების არსებობის შემთხვევაში, ამგვარი

ინსტიტუტებისადმი ნდობა ვიტალურია დემოკრატიული სისტემისთვის. მეორე ტიპის ინსტიტუციური ნდობა, განსხვავებით პირველისგან, თავისთავში ატარებს პარტიზანობის ელემენტს (მაგალითად საპარლამენტო ან სხვა საკანონმდებლო ინსტიტუტები), პარტიულობას, რაც შეიძლება ინტერესთა კონფლიქტის მიზეზი გახდეს, განსაკუთრებით პოლიტიკური რადიკალიზაციისა და პოლარიზაციის პირობებში; გამომდინარე აქედან, ამ ტიპის პოლიტიკური ინსტიტუტები საჭიროებს უნდობლობის გარკვეულ ხარისხს მოქალაქეთა მხრიდან. და ბოლოს, ***მეხუთე*** ტიპის ნდობა დაკავშირებულია პოლიტიკურ ლიდერებთან. როგორც წესი მოქალაქეები პოლიტიკოსებს, როგორც ჯგუფს, ნაკლებად ენდობიან, თუმცა როცა საქმე ეხება რეპრეზენტატორს, ლიდერს, რომლიც წარმოადგენს კონკრეტულ პარტიულ აგენტს, არჩეულ კანდიდატს და ა.შ. ნდობის გარკვეული ხარისხი აუცილებელი ხდება მოქალაქისთვის რესურსების ეკონომიზაციისთვის, ანუ პოლიტიკური ლიდერის ნდობით აღჭურვა, მოქალაქეს უზოგავს პოლიტიკაში ჩართულობისთვის, ასევე მონიტორინგისთვის საჭირო დროსა და სხვა რესურსებს. პოლიტიკური ლიდერებისადმი ნდობის დეფიციტი ძირითადად ორი მიმართულებით იჩენს თავს: პირველ რიგში ინფორმაციის ნაკლებობა პოლიტიკურ ლიდერზე, ან თავად ამ ინფორმაციის სანდოობა: როგორც წესი ინფორმაცია პოლიტიკურ ლიდერზე მედია პლატფორმებითაა გაშუალებული, ეს ინფორმაცია უმეტესად მცირე და ფრაგმენტულია, ხშირ შემთხვევაში კი გადამოწმების საშუალებებსაა მოკლებული. ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკური ლიდერის პოზიციებისა და ინტერესების თანხვედრა მოქალაქის პრეფერენციებთან; პოლიტიკური და საარჩევნო სისტემები, ხშირ შემთხვევაში არ იძლევა ფართო არჩევანის გაკეთების საშუალებას, რაც თავისთავად ამ დეფიციტს ასაზრდოებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ პოლიტიკურ ლიდერთა მიმართ ნდობის დეფიციტი შეიძლება გამოწვეული იყოს პოლიტიკური პლურალიზმის დაბალი ხარისხით (Warren, 2017).

რომ დავუბრუნდეთ პოლიტიკური ნდობის შედეგების ანალიზს, აუცილებელია ვისაუბროთ არამხოლოდ ზოგადად დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირებაში ნდობის ფორმების და ხარისხის მნიშვნელობაზე, არამედ კერძოდ რა წვლილი შეაქვს პოლიტიკურ ნდობას საზოგადებრივ და პოლიტიკურ დღისწერიგში დემოკრატიულ სისტემებში. ვეყრდნობით რა, ტაკლოტ პარსონსის პათოსს, კერძოდ სოციალური

სისტემის ფუნქციურ სქემას, ვუთითებთ რამდენიმე მიმართულებას, რომელშიც პოლიტიკური ნდობის ანალიზი მიზანშეწონილად გვესახება. სისტემამ გამართულად რომ იმუშაოს, პარსონსი გვთავაზობს ოთხ ფუნქციურ მოთხოვნას, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს სისტემის მდგრად, გამართულ მუშაობას. პირველი მოთხოვნა რომელზეც პარსონსი საუბრობს არის ადაპტაცია (A), ნებისმიერი სისტემისთვის ვიტალურია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და შესაბამისად ადაპტაცია; მეორე ასპექტი ეხება მიზნის მიღწევის მოთხოვნებს (G), როგორც რესურსების მობილიზებისა და მიმართვის აუცილებლობა; მესამე განზომილება ინტეგრაციას გულისხმობს (I): სისტემის ელემენტების ჯეროვანი კოორნიდნაციისა და დევიაციების თავიდან ასარიდებლად, და ბოლოს ლატენტური განზომილება (L), რომელიც დიდწილად კულტურული ელემენტების ინფორმატიულ ველს გულისხმობს (აღნიშნული სოციალური ფუნქციები ცნობილია აკრონიმით AGIL; ეს კონცეპცია თავად ავტორთანაც და მის კომენტატორებთან ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციებით გვხვდება, თუმცა ჩვენი ანალიზის ამოცანებიდან გამომდინარე უფრო დეტალურად აქ აღარ შევჩერდებით) (Parsons & Platt, 1973). ამ თეორიული სტრუქტურის პათოსიდან გამომდინარე, ნდობის ანალიზი შეიძლება სამ მნიშვნლოვან სიბრტყეზე იყოს რელევანტური:

პირველი - პოლიტიკური ნდობის მიმართება პოლიტიკურ მონაწილეობასთან, როგორც კონვენციურ, ასევე არაკონვენციურ ფორმებთან (G). მეორე - პოლიტიკური ნდობის კავშირი სისტემის ეკონომიკურ განზომილებასთან (A) და მესამე - პოლიტიკური ნდობისა და სამართლის სისტემის ანალიზი (I).

1.1.1 პოლიტიკური ნდობა და მონაწილეობა

პოლიტიკურ ნდობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის კავშირის დადგენა, ერთი შეხედვით შეიძლება მარტივად მოგვეჩვენოს (Gabriel, 2017), თუმცა ემპირიული მონაცემები არც თუ ისე ცალსახაა. პოლიტიკური მონაწილეობის საკითხის შესწავლა, შეიძლება ითქვას, რომ 60 იან წლებიდან იწყება. პოლიტიკური მონაწილეობა და ჩართულობა ძირითადად პოლიტიკური კულტურის კონტექსტში განიხილებოდა (Almond & Verba, 1963). პოლიტიკურ ჩართულობაში ნდობა, როგორც

დამოუკიდებელი დეტერმინანტი ავტორებთან მკაფიოდ არ ჩნდება კვლევის დიზაინში (Verba & Nie, 1972; Verba, Nie, & Kim, 1978), თუმცა იყო მცდელობა, პოლიტიკური ნდობის პათოსის მატარებელი სხვადასხვა ცვლადებით ახსნილიყო, როგორც კონვენციური პოლიტიკური მონაწილეობის შემცირება (პოლიტიკური აპათია), ასევე არაკონვენციური პოლიტიკური აქტივობები, მაგალითად: სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, აგრესიული პოლიტიკური მონწილეობა, ჯანყი, პოლიტიკური ძალადობა და სხვა. მაგალითად ფინიფტერი (1970) ორი ცვლადის კომბინაციით მონაწილეობის ოთხ ქცევით ტენდენციას გვთავაზობს: 1. აპათია, რაც გულისხმობს პოლიტიკური ჩართულობის ძალიან დაბალ დონეს; 2. ექსტრემული გამოთიშვა - სეპარატისტული და/ან რევოლუციური მოძრაობები; 3. პოლიტიკური ინტეგრაცია- კონფორმატიული მონაწილეობა პოლიტიკურ სისტემაში; და ბოლოს, 4. რეფორმული ორიენტაცია- საპროტესტო ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკური ინსტიტუტების ჩარჩოში რჩებიან და მუშაობენ. ეს ქცევითი ორიენტაციები ორი ცვლადის - უნორმობისა (political normlessness) და პოლიტიკური უსუსურობის (political powerlessness) კომბინაციით განისაზღვრება (Finifter, 1970); ფინფიტერის ამ თეორული კონსტრუქტში, გაბრეილი (2017) პოლიტიკურ უნორმობას, ინტერპრეტირებს როგორც პოლიტიკურ ნდობას, უფრო ზუსტად კი უნდობლობას, თუმცა ფინფიტერის აღქმული პოლიტიკური უნორმობა, შესაძლოა რა ერთი შეხედვით უნდობლობის პათოსს ატარებდეს, სინამდვილეში გულისხმობს დურკემიანულ ანომიის პოლიტიკურ გადააზრებას, როდესაც ნორმები აღარ მუშაობს, ან აღქმა რომ პოლიტიკური ნორმები მიზანმიმართულად დარღვეულია; რწმენა რომ ოფიციალური პირები, ლიდერები არღვევენ ლეგალურ პროცედურებს საზოგადოებასთან ურთიერთობაში (Finifter, 1970). შეუძლებელია ამგვარი ცვლადის ინტერპრეტაციისას უნდობლობის ასოციაცია არ გაჩნდეს, თუმცა ეს ასოციაცია მხოლოდ ინტერპრეტაციისა და სპეკულაციის დონეზე რჩება.

70 იანი წლების მიწურულს კვლავაც აქტუალური ხდება პოლიტიკურ მონაწილეობაში პოლიტიკური მხარდაჭერის საკითხი და სწორედ აქ იკვეთება პოლიტკური ნდობის მნიშვნელოვნობაც (Muller, 1977). მიულერს, პოლიტიკური მხარდაჭერის ოპერაციონალიზაციაში, სწორედ პოლიტიკური ნდობის განზომილებები შემოაქვს. ავტორი პოლიტიკური მხარდაჭერის ინდექსს ხუთი

ცვლადის ანალიზით გვთავაზობს, მხარდაჭერის ინდექსის ერთერთი ცვლადი კი სწორედ პოლიტიკურ ნდობას ზომავს („the national government can be generally trusted to do the right thing“) (Muller, 1977). მიულერის და მისი კოლეგების კვლევებში მკაფიოდ ჩანს მინიშნებები, რომ პოლიტიკური ლიდერების, ინსტიტუტებისა თუ რეჟიმების არაკომპეტენტურად, უპასუხისმგებლოდ და უსამართლოდ აღქმა, შეამცირებს კონვენციური პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხს. პოლიტიკური უნდობლობის სიჭარბემ შეიძლება ან სრული პოლიტიკური აპათია გამოიწვიოს, ან არაკონვენციურ, მაგალითად საპროტესტო ჩართულობაში იჩინოს თავი; მიულერი დაბალ პოლიტიკურ ნდობას განიხილავდა, როგორც აგრესიული პოლიტიკური ჩართულობის წინაპირობად, რომელიც გაშუალებულია სხვა დამატებით ფაქტორებით (Gabriel 2017; Muller, 1977; Muller, 1982; Muller and Jukam, 1977).

80 იანი წლების შემდგომ პოლიტიკურ ნდობასა და პოლიტიკურ მონაწილეობას შორის კავშირის კვლევა ბევრად დაიხვეწა, თუმცა მიღებული შედეგები ამ მიმართულებით არც თუ ისე ერთგვაროვანი და ცასლახაა (Gabriel, 2017). პოლიტიკური მონაწილეობის კვლევაში აქცენტი ძირითადად კონვენციური და არაკონვენციური მონაწილეობის დიხოტომიაზე კეთდება და პოლიტიკური ნდობაც ამ მიმართულებებით ხდება საინტერესო. რიგი კვლევები მიუთითებენ რომ არსებობს კავშირი პოლიტიკურ ნდობასა და კონვენციურ მონაწილეობას, მაგალითად ხმის მიცემის პრაქტიკებს, შორის (Hooghe & Marien, 2013), როგორც თავად ავტორები მიუთითებენ, ამ კავშირს ამყარებს ის დაკვირვება, რომ დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიებში სახეზეა, როგორც პოლიტიკური ნდობის დაღმასვლა, ასევე ელექტორალური მობილიზების თვასაჩინო სიმცირე (Hooghe & Marien, 2013). ჰუგი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ნდობა, მეორეს მხრივ ნეგატიურად უკავშირდება არაკონვენციურ პოლიტიკურ ჩართულობას (Hooghe & Marien, 2013), თუმცა ეს კავშირი იმდენად ცალსხა არ არის როგორც ნდობასა და ინსტიტუციონალურ თუ ელექტორალურ ჩართულობის შემთხვევაში. ერთი შეხედვით, ზემოთ აღნიშნული კვლევა და მიღებული შედეგი მიუთითებს ნდობისა და პოლიტიკური ჩართულობის ურთიერთკავშირის არსებობაზე, თუმცა აღნიშნულ თემაზე კვლევები სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების კონტექსტში არ არის უნივოკალური (Dalton, 2004), მაგალითად განსხვავებული შედეგები იქნა მიღებული სკანდინავიურ ქვეყნებში ჩატარებულ

კვლევებში (Goul Andersoen & Hoff, 2001, ციტირებულია წყაროში: Gabriel, 2017.): განსხვავებით ჰუგის კვლევის შედეგებისა, პოლიტიკური ნდობა შვედეთში და ნორვეგიაში პოზიტიურადაა დაკავშირებული არაკონვენციურ ჩართულობასთან, კერძოდ საპროტესტო ქცევასთან. მოკლედ რომ შევაჯამოთ პოლიტიკური ჩართულობა (იქნება ეს კონვენციური თუ არაკონვენციური) განსხვავებულ კონტექსტში, ან პოზიტურად უკვაშირდება ერთმანეთს, ან ნეგატიურად, ან სულაც არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი კავშირი, რაც მიუთითებს ამ ორი ცვლადის არაპირდაპირ, ირიბ კავშირზე. უპრიანი იქნებოდა პოლიტიკური ნდობის ფენომენი გააზრებულ იქნეს, როგორც მედიატორული ცვლადი პოლიტიკური ჩართულობის შესასწავლად ვიდრე მონაწილეობის პირდაპირი დეტერმინანტი (Gabriel, 2017).

პოლიტიკური მონაწილეობის ერთერთი, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი კონვენციური ფორმა, ხმის მიცემის ქცევაა. ამ მიმართულებითაც, მსგავსად ჩართულობის სხვა ფორმებისა, პოლიტიკურ ნდობასა და ხმის მიცემის პრაქტიკებს შორის კავშირი არაერთგვაროვანია.

პოლიტიკური მონაწილეობის მრავალი ფორმიდან, ხმის მიცემის ქცევა ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა მოქალაქის ქცევის რეპერტუარში, შეიძლება ითქვას ხშირ შემთხვევაში იგი ერთადერთი პოლიტიკური ჩართულობის გამოხატულებაც კია. პოლიტიკური ნდობა ელექტორალურ ქცევაში, ერთიერთი ყველაზე გამოკვეთილი ცვლადია, ხოლო მათი ურთიერთქმედება კი საკმაოდ მრავალფეროვანი (Hooghe, 2018). რამდენიმე მნშივნელოვანი სპეციფიკაა გასათვალისწინებელი პოლიტიკურ ნდობასა და ხმის მიცემის ქცევას შორის კავშირის გასაანალიზებლად: პირველ რიგში საყურადღებოა თავად პოლიტიკური ნდობის ოპერაციონალიზაცია და ხშირ შემთხვევაში მისი ბუნდოვანება (Bélanger, 2017). ჰუგი (2018) აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ნდობის ინსტიტუციური ფორმა, კერძოდ ნდობა ისეთი ინსტიტუტის მიმართ, როგორიცაა პარლამენტი, ყველაზე უკეთ აჩვენებს პოზიტიურ კავშირს ხმის მიცემასა და პოლიტიკურ ნდობას შორის. მეორე მხრივ პოლიტიკური ლიდერებისა და არსებული ელიტის მიმართ ნდობა უფრო სპეციფიკურია და კავშირის დადგენა ამ ტიპის ნდობასა და ხმის მიცემის პრაქტიკას შორის საკმაოდ ბუნდოვანი და არაცალსახაა (Hooghe, 2018). ასევე უაღესად მნიშვნელვანი საკითხია პოლიტიკური პარტიის ფენომენის შემოტანა ნდობისა და ხმის მიცემის კავშირის დადგენაში.

ზოგადი დასკვნა შეიძლება იყოს, რომ პოლიტიკური ნდობა ზრდის ხმის მიცემის ალბათობას მმართველი პარტიის სასარგებლოდ, ლოგიკა ამ მხრივ საკმაოდ მარტივია, მაღალი პოლიტიკური ნდობა განპირობებულია არსებული პოლიტიკური სისტემის გამართული ფუნქციონირებით და მოქალაქეს არ აქვს მოტივაცია შეცვალოს არსებული პოლიტიკური ისტაბლიშმენტი (Hooghe, 2018). თუმცა პოლიტიკურ ნდობასა და ხმის მიცემის ურთიერთობის პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ამ ტრივიალურ დაშვებაზე არ დაიყვანება. გასათვალისწინებელია მრავალფეროვანი ელექტორალური და საარჩევნო კანონმდებლობა, გასხვავებულ პოლიტიკურ სისტემებში. შესაძლოა, ზემოთხსენებული კავშირი ნდობასა და არჩევნებში მონაწილეობას შორის განსხვავებულად გამოიყურებოდეს მრავალპარტიულ, პროპორციულ საარჩევნო სისტემის კონტექსტში და განსხვავებულად ორ პარტიულ პოლიტიკურ კულტურებში. ამ საკითხს ასევე უკავშირდება „მესამე პარტიის“, ეგრედ წოდებული „ჩელენჯინგ“ პარტიის ფენომენი და პოპულისტური პარტიების თემატიკაც. შესაძლოა პოლიტიკური უნდობლობა გავლენას ახდენდეს არჩევნებში მონაწილეობაზე ზოგადად, თუმცა მრავალპარტიულ სისტემებში, უნდობლობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მეინსტრიმული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის შემცირებაზე, თუმცა გაიზარდოს ზემოთ ხსენებული მესამე პარტიების („ჩელენჯინგ“ პარტიებში იგულისხმება, პარტია, რომელიც არ ყოფილა წარსულში აღჭურვილი იმ დოზის მხარდაჭერითა და მანდატით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები შეესრულებინა) ბენეფიტები (Bélanger, 2017; Bélanger & Nadeau, 2005).

როგორც ჰუგი (2018) აღნიშნავს, მიუხედავს ყველაფრისა, მათ შორის იმის გათვალისწინებით თუ როგორ მოვახდენთ პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალიზაციასა თუ გაზომვას, ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, პოლიტიკურ ნდობასა და ელექტორალურ მობილიზებას შორის პოზიტიური კავშირის არსეობობას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს კავშირი უფრო მკაფიო ხდება როდესაც იგი გაშუალებულია სხვა დამატებითი ფაქტორებით, მაგალითად როგორიცაა პოლიტიკური თვითეფექტურობა, რომელიც თავად ავტორის კვლევაში ოპერაციონალიზებულია, როგორც პოლიტიკური გაცნობიერებულობა (დარწმუნებულობა საკუთარ უნარში, რომ ერკვევი პოლიტიკაში) (Hooghe, 2018; Hooghe & Marien, 2013).

და ბოლოს, ხმის მიცემა და პოლიტიკური ნდობა შესაძლოა არა ცალმხრივად უკავშიდებოდეს ერთმანეთს, არამედ ეს კავშირი ორმხრივი იყოს. ავტორები მიუთითებენ რომ შესაძლოა არჩევნებში (განსაკუთრებით პროპორციულობის მაღალი ხარისხის მქონე სისტემებში) კონკრეტული პოლიტიკური აგენტის გამარჯვებამ გამოიწვიოს პოლიტიკური ნდობის გაზრდა, ამას ცხადყოფს გამარჯვებული და დამარცხებული პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერების შედარებითი ანალიზი (Hooghe, 2018; Bélanger, 2017; Marien, 2011).

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნდობის კავშირი პოლიტიკურ მონაწილებას და მათ შორის ელექტორალურ ჩართულობას შორის უაღრესად დიდი მნიშვნელობის მატარებელია თეორიული თუ ემპირიული კვლევისთვის, თუმცა კვლევების არაერთაზროვანი შედეგები ცხადყოფს, რომ ეს კვაშირი საჭიროებს, როგორც დამატებითი ფაქტორების უფრო სიღრმისეულ შესწავლას კვლევით მოდელებში, ასევე პოლიტიკური ნდობის უფრო მკაფიო კონცეპტუალიზაციას.

1.1.2. ნდობა და ეკონომიკა

ნდობასა და ეკონომიკური კაპიტალის განვითარებას შორის მკაფიო პოზიტიური კავშირი, ასევე არ წარმოადგენს სიახლეს სოციალური მეცნიერებებისთვის. ავტორები პირდაპირ მიუთითებენ სოციალური კაპიტალის (შესაბამისად სოციალური, ინტერპერსონალური ნდობის, როგორც კაპიტალის ამ ფორმის აუცილებელ ინგრედიენტის) როლზე ეკონომკურ განვითარებაში (Uslaner, 2002; Fukuyama, 1995; Putnam, Leonardi, & Nonetti, 1993; Bourdie, 1986). ეკონომიკის ზრდა გარკვეულ წილად სოციალური ნდობის (უფრო ზუსტად კი მისი გენერალიზებული ფრომის) შედეგად გვევლინება: ამაზე მეტყველებს ფუთნამის (Putnam, Leonardi, & Nonetti, 1993) უკვე კლასიკურ კვლევად აღიარებული იტალიის ქეისი, ასევე ფუკუაიმას (1995) პოზიცია ჩრდილოამერიკული სისტემების ანალიზში, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ მოაქალაქეთა ინტერპერსონალური ნდობა, კერძოდ არა ოჯახის ტიპის ურთიერიერთობებში, არამედ გენერალიზებული ფორმით აკუმულირებული ნდობის ხარისხი, მნიშვნელოვანად აგენერირებს ეკონომიკურ კაპიტალს (Fukuyama, 1995). თუმცა, შეგვიძლია კი ვივარაუდოთ, რომ ეს თეორიული მოდელი კონსისტენტურია

პოლიტიკური ნდობის შემთხვევაშიც? წარმოადგენს კი პოლიტიკური ნდობის შედეგებს ეკონომიკური განვითარება? თეორიულად, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ ამგვარი კავშირის არსებობა, თუმცა ავტორების პოზიცია უფრო იხრება პოზიციისკენ, რომ მაკრო თუ მიკრო ეკონომიკური სიტუაცია, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, მისი შესრულება და ამ შესრულების შემდგომი შეფასება, პოლიტიკური ნდობის გენერირების მიზეზი უფროა, ვიდრე მისი შედეგი (Bjørnskov, 2018). ამ თეორიულ მოდელში, მოქალაქეთა მიერ შეფასებული პოლიტიკური ეკონომიკა, ეკონომიკური შესრულება, რომელიც აღქმულია როგორც მათთვის (მოქალაქეთათვის) მნიშვნელოვანი, წარმოადგენს ერთგვარ ბაზისს, რომელზეც დაშენდება პოლიტიკური ნდობა ინსტიტუტების მიმართ. ამას ცხადყოფს ის ფაქტიც რომ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს პრაქტიკა (welfare state) და შემოსავლების თანასწორობა, პოლიტიკური ნდობის სერიოზული ბენეფიტორია (Kumlin & Haugsgjerd, 2017). მაკროეკონომიკურ შესრულებასა და პოლიტიკურ ნდობას შორის კავშირი, კროს-ნაციონალურ კვლევებში (მას შემდგომ რაც რიგი ფაქტორების გაკონტროლება ხდება), მკაფიოდ არ ფიქსირდება, თუმცა ლონგიტიდური კვლევები ქვეყნების შიგნით ავლენს ძლიერ კავშირებს პოლიტიკურ ნდობასა და ეკონომიკურ შესარულებას შორის, მაშინაც კი, როცა გაკონტროლებულია ისეთი მნიშვნელოვანი ცვლადი, როგორიცაა კორუფცია (van der Meer, 2018), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განსხვავებული შედეგები, ინტერ და ინტრა ნაციონალურ კონტექსტში გამოწვეულია ისეთი ცვლადების უგულვებელყოფით, როგორიცაა მოაქალაქეთა მოლოდინები და ორიენტირები ეკონომიკურ განვითარებაში (van der Meer, 2018; 2017). აქვე აღსანიშნავია ფაქტი, რომ პოლიტიკური ნდობის ახსნა ემპირიულად დასტურდება *აღქმული* ეკონომიკური შესრულების შემთხვევაში და გაუმართავია *რეალურ* ეკონომიკური შესრულების კონტექსტში (van der Meer, 2017), რაც ცალკე ფსიქოლოგიურ ანალიზსს მოითხოვს.

რომ შევაჯამოთ, პოლიტიკური ნდობის შედეგებად (ერთგვარ აუთქამად) ეკონომიკური სისტემის განვითარების მოაზრება, როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ ანალიზსსა მოკლებულია. თუმცა შეიძლება ითქვას რომ მეცნიერულ ლოგიკას არ იქნება მოშორებული თუ კი მაინც დავუშვებთ ამ ორ ცვლადის შორის ორ მხრივი კავშირის არებობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უპრიანი იქნება თუ კი

ეკონომიკურ შესრულებას გადავიაზრებთ, როგორც პოლიტიკური ნდობის წინაპირობად, ასევე მის შედეგადაც.

1.1.3. სამართალი და სამართლიანობა

სოციალური სისტემის გამართული ფუნქციონირების ერთერთი ფუნდამენტი კანონის უზანაესობა და სამართლიანობაა. ეს დაშვება რელევანტურია, როგორც ლეგალური სისტემის გამართული მუშაობის, ასევე გადაწყვეტილებების მიღების სამართლიანობის აღქმის კონტექსტშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონის უზენაესობა და მისი გარანტორი სოციალური ინსტიტუტების ჯეროვანი მუშაობა იმდენადვე მნიშვნელოვანია, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, რამდენადაც მოქალაქეთა მიერ პოზიტიურად აღქმული და შეფასებული პროცესუალური სამართლიანობა. გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია ყველა პოლტიკურ გადაწყვეტილებას ერთნაირად პოზიტიური შედეგი მოქონდეს თითოეული მოქალაქისთვის და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებისთვის, აღქმულ პროცედურულ სამართლიანობას ერთგვარი შემაკავებელი ფუნქცია გააჩნია, რომ ერთი მხრივ სახელმწიფო დაიცვას დესტაბილიზაციისგან, მეორეს მხრივ თავად მოქალაქეები, რუტინული და ძვირადღირებული მუდმივი საჩივრებისა და სისტემის საწინააღმდეგო პოლიტიკური აქტივობებისგან (Grimes, 2017). შესაბამისად უაღრესად მნიშვნელოვანია ძალაუფლების იმგვარი სტრუქტურირება და შემდგომ პოლიტიკური ნდობით აღჭურვა (მისი სრული ლეგიტიმაციისთვის), რომ მიღწეულ იქნეს პროცედურული სამართლიანობის აღქმა. სავარაუდოა, რომ შედეგად მივიღებთ მოქალაქეებში საკმარის მზაობას, მიიღოს და დამორჩილდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს (თუნდაც მისთვის არახელსაყრელს); ასევე შემცირდეს მუდმივი მონიტორინგისა და სანქცირების აუცილებლობა (Grimes, 2017). პროცედურული სამართლიანობის აღქმის როლი, ასევე მნიშვნელოვანია ნორმატიული აქტივობის კონტექსტში, მაგალითად კანონდაღვევების რედუცირებისა და ნორმატიული აქტივობების, ქცევის თვითრეგულირების თვლასაზრისით (Tyler, 2006). პროცედურული სამართლიანობა თავის მხრივ დაკავშირებულია სოციუმში ვერტიკალურ ურთიერთობებთან, კერძოდ მოქალაქეებისა და ოფიციალურ პირებს

(ძალაუფლების მატარებელ აგენტებს) შორის ურთიერთობის ისეთ რეგულირებასთან, როგორიცაა გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობა და სანდოობა, მხარეების ურთიერთპატივისცემა და სიტყვის თავისუფლება.

ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ ლეგალურ ინსტანციებთან ურთიერთობაში, მოქლაქეები უფრო დიდ მნიშვნელობას და აქცენტს აკეთებენ პროცესის სამართლიანობაზე, ვიდრე თავად ამ პროცესების შედეგებზე; როდესაც მოქალაქე გრძნობს რომ სამართლიანად ექცევიან, ის მეტად ენდობა (ლეგიტიმაციით აღჭურავს) და თანამშრომლობს ხელისუფლებასთან (Bradford, Jackson, & Hough, 2018). სისტემის პოლიტიკური ნდობით აღჭურვა კი თავსი მხრივ დაკავშირებულია ისეთ ნორმატიულ პროცესებთან, როგორიცაა მაგლითად, გადასახადების გადახდა (გადასახადების დაფარვის თავის არიდება) და ზოგადად გადასახადების სულისკვეთება (tax morale); კვლევებმა აჩვენა რომ, პოლიტიკური ინსტიტუტციური ნდობა, პოზიტიურადაა დაკავშირებული გადასახადების გადახდის ენთუზიაზმთან (Chan, Supriyadi, & Torgler, 2018). ინსტიტუციური ნდობა (კერძოდ ნდობა პოლიციის ინსტიტუტის მიმართ) ასევე კავშირშია კორუფციასთან, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნდობა კორუფციის ერთგვარ შემაკავებელ ფაქტორად გვევლინება (You, 2018).

მკვლევარები თანხმდებიან რომ ნდობა ლეგალური სისტემის მიმართ (სასამართლო ინსტიტუტები, პოლიცია), შესაძლოა სულ მცირე ორი რამის გამო იყოს მნიშვნელოვანი: პირველ რიგში, ნდობის დეფიციტი სამართლის ინსტიტუტების მიმართ, მიუთითებს პრობლემურ ურთიერთობაზე მოქალაქეებსა და ლეგიტიმურ ძალაუფლების აგენტებს შორის, ადამიანებს აქვთ უფლება იცხოვრონ საზოგადაოებაში, რომელშიც სამრათლის ინსტიტუტები აღჭურვილნი არიან ნდობით და შეუძლიათ ლეგიტიმურად განახორციელონ თავის უფლება მოვალეობები და დაიცვან მოქალაქეები; მეორეს მხრივ, ნდობა სამართლის სისტემისა და ინსტიტუტების მიმართ, თავად ამ სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვისაა ვიტალური. სისტემის მდგრადობისა და კვლავწარმოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, კოოპერაცია მოქალაქეებსა და ისეთ ინსტიტუტებს შორის, როგირცაა პოლიცია და სასამართლო სისტემა. ეს კოოპერაცია მნიშვნელოვანია ისეთი ქცევითი გამოვლინებების კვალობაზე, როგორიცაა ინფორმირება, მოწმის ჩვენება, ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტში მონაწილეობა, კოლაბორაცია და სხვა... ადამიანები

ნაკლებ სავარაუდოა რომ მიაწვდიან ინფორმაციას დანაშაულის შესახებ პოლიციას, თუ კი არ ენდობიან პოლიციის ინსტიტუტს რომ ისინი ეფექტურად და სამართლიანად იმოქმედებენ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც მოქალაქე, ასევე ინსტიტუტები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ შენიარჩუნონ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. ცალკეული მოქალაქეებისთვის ეს ნდობა ამცირებს კომპლექსურობას, აქტივობის შესაძლებლობას იძლევა და უზრუნველყოფს ონტოლოგიურ უსაფრთხოებას. მართლმსაჯულების სისტემისთვის, ნდობა ემსახურება მოქალაქეების თანამშრომლობის მოპოვებას, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლეგიტიმაციასთან, რომელიც საჭიროა მათი მუდმივი, მდგრადი არსებობისთვის (Bradford, Jackson, & Hough, 2018).

რომ შევაჯამოთ, სამართლიანობის აღქმა და პოლიტიკური ნდობა სამართლის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების მიმართ ემსახურება სოციალურ სისტემას მდგარდ ფუნქციონირებაში, ლეგიტიმაციით აღჭურავს ინსტიტუტებს ჯეროვანად შესარულოს სოციალური კონტროლის ფუნქციები, ხოლო მეორეს მხრივ ნდობის აკუმულირება სამართლის სისტემის მიმართ მოქალაქეებს ეხმარება სოციალურ ინტეგრაციასა და სოციუმში ჯეროვან ორიენტაციაში.

როგორც ვნახეთ, პოლიტიკური ნდობის შედეგები მნიშვნელოვანია და ერთგვარი ლუბრიკანტის ფუნქციას ასრულებს სოციალური სისტემის გამართული მუშაობის თითქმის ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, როგორც ადაპტაციის (ეკონომიკის), მიზნის მიღწევის (პოლიტიკური ჩართულობის) ასევე ინტეგრაციის (ნორმატიული აქტივობის უზრუნველყოფა) მიმართულებებით; თუმცა მთავარ კითხვად მაინც რჩება თუ რას ნიშნავს (პოლიტიკური) ნდობა? ერთი რამ ცხადია, ნდობა წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ფენომენს, რომელიც ინტერაქციაში იჩენს თავს და მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ცხოვრებისათვის (Rousseau, Sitkin, Burt, & Camerer, 1998), შესაბამისად უაღრესად მნიშვნელოვანია თავად ნდობის ფსიქოლოგიური ბუნებისა და რაობის ანალიზი.

1.2. ნდობა: დეფინიცია და მოდელები

იმისთვის რომ პოლიტიკური ნდობის ბუნებას უკეთ ჩავწვდეთ და გავიგოთ, უპრიანი იქნება პირველ რიგში მიმოვიხილოთ ის გავრცელებული დეფინიციები სოციალურ მეცნიერებებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ზოგადად ნდობის ფენომენის კონცეპტუალიზაციასთან და მხოლოდ შემდგომ ვცადოთ იმ საერთო მახასიათებლებიდან, რომელებსაც ავტორებთან ყველაზე ხშირად ვხვდებით, გავარკვიოთ პოლიტიკურ კონტექსტში როგორ მნიშვნელობს იგი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმჯობესია პირველ რიგში ზოგადად ნდობის ფენომენი გავაანალიზოთ და მხოლოდ შემდგომ მივუთითოთ იმ სპეციფიკაზე, რაც მის კონკრეტულ გამოვლინებას, (გნებავთ ფორმას ან სახეს) პოლიტიკურ ნდობას გააჩნია.

ნდობის კონცეპტუალიზაციის ერთერთ მთავარ გამოწვევას ცნების მომიჯნავე, შეიძლება ითქვას, მსგავსი პათოსის მატარებელი წარმონაქმნებისგან გამიჯვნა და დიფერენციაცია წარმოადგენს.

ნიკლას ლუჰმანი (1988) ნდობას განასხვავებს ისეთი ცნებებისგან, როგორებიცაა დარწმუნებულობა (Confidence) და ნაცნობობა (Familiarity). ფამილარობას, ლუჰმანი, როგორც ცხოვრებისეულ გარდაუვალ ფაქტს ისე განსაზღვრავს, ხოლო ნდობას (მიუხედავად იმისა, რომ ნდობა ავტორის მიხედვით სწორედაც რომ ფამილარულ მოცემულობას გულისხმობს), პრობლემური რისკის გადაწყვეტად ინტერპრეტირებს; ლუჰმანის ტექსტებში ბევრად მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა დარწმუნებულობისა და ნდობის გამიჯვნის პრობლემას: ნდობისა და ქონფიდენსის დიფერენციაციისთვის ავტორი ორ ფუნდამენტურ საკითხზე სვამს აქცენტს; პირველი ასპექტი ხდომილობის, ალბათობის, შესაბამისად კი მოსალოდნელობის ხარისხებს უკავშირდება; ქონფიდენს სიტუაცია ხდომილობის მნიშვნელოვნად მაღალი ალბათობით გამოირჩევა, რა თქმა უნდა იმედგაცრუებისა და ხდომილობაზე დაფუძნებული მოლოდინის გაცუდების რისკი ამ შემთხვევაშიც არსებობს, თუმცა არა როგორც ნდობის შემთხვევაში (ავტორი იუმორით მიუთითებს, რომ როდესაც მანქანას ვყიდულობ, დარწმუნებული (ქონფიდენთ) ვარ, რომ ის ლიმონი არ აღმოჩნდება, ეს ერთგვარი ალუზიაა აკერლოფის თეორიული ანალიზის (Akerlof, 1970) მეორადი მანქანების ბაზრის კვლევის შესახებ). მეორე ასპექტი არჩევანის დაშვება - არ დაშვებას უკავშირდება. ზემოთ აღნიშნულ

მოლოდინის გაცუდების/გაცრუების რისკს, არამხოლოდ მომავლის ხდომილობის დაბალი ალბათური ბუნება „აზღვევს“, არამედ სხვა გამოსავლის არარსებობის გარემოება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქონფიდენს მდგომარეობა გულისხმობს მოლოდინის მდგომარეობას, რომელიც ერთი მხრივ ფორმირებულია მომავლის ხდომილობის მაღალი ალბათურობით, ხოლო მეორე მხრივ ამგვარი მოლოდინის ფორმირების აუცილებლობით (უალტერნატივობით). მეორე მხრივ ნდობა ავტომატურად გულისხმობს რისკის დაშვებას, თუმცა მიმნდობის ჩართულობის ხარისხი ამ მხრივ ბევრად მაღალია; რისკის დაშვებას და გადაწყვეტილებას, არჩევანის საფუძველზე აკეთებს მიმნდობი - რომ გარისკოს და ენდოს (კვლავაც რომ დავუბრუნდეთ ხუმრობას, ლუჰმანი აღნიშნავს, რომ შენ შეგიძლია ან არ შეგიძლია ენდო ძიძას, დაიქირავო და მასთან დატოვო ბავშვი უმეთვალყურეოდ, მიუხედავად იმისა რომ ძიძა შესაძლოა „ლიმონი“ აღმოჩნდეს). ამ ორი ცნების დიფერენციაცია ფსიქოლოგიური თვასლაზრისით ორ დაშვებას ითვალისწინებს: სოციალურ პერცეპციას და ატრიბუციას. პირველი მათგანი დაკავშირებულია მიმნდობის მხრიდან ალტერნატივების აღქმასა და გათვალისწინებაზე (როგორც ლუჰმანი აღნიშნავს, ყოველ დილით სახლიდან გასვლის წინ არ განვიხილავთ ალტერნატივას ავიღოთ იარაღი და ისე დავტოვოთ სახლი, ასეთ შემთხვევაში გარმოს კიარ ვენდობით, არამედ დარწმუნებულობის მდგომარეობაში ვიმყოფებით), რაც შეეხება ნდობის მდგომარეობას, მას ავტორი განხილავს, როგორც ინდივიდის მიერ ერთი ალტერანტივისთვის უპირატესობის მინიჭებას სხვა შესაძლო ვარიანტებიდან, და გადაწყვეტილების მიღებას, იმის გათვალისწინებით რომ ინდივიდი უშვებს რისკის ალბათობას რომ ეს ალტერნატივა და შესაბამისად გადაწყვეტილება, მისანდობის ქცევით შესაძლოა იმედგაცრუებით დასრულდეს. რაც შეეხება ატრიბუციის ელემენტს, იმედგაცრუების (მოლოდინის გაცუდების) შემთხვევაში, ქონფიდენს მდგომარეობისას მიზეზების ატრიბუცია სიტუაციურ ფაქტორებზე ხდება, ხოლო ნდობის შემთხვევაში - ინტერნალურ ატრიბუციასთან გვაქვს საქმე, გამომდინარე იქიდან, რომ მივნდობოდით ინდივიდის მიერ გაკეთებული არჩევანია (Luhmann, 1988).

მაიერი (Mayer et al., 1995) ასევე მნიშვნელოვნად თვლის ნდობის იმ ტერმინებისგან გამოდიფერენცირებას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ავტორთან,

სინონიმურად გამოიყენება და ართულებს ნდობის ზუსტ კონცეპტუალიზაციას. კერძოდ, მაიერი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ნდობა გავარჩიოთ ისეთი ცნებებისგან, როგორიცაა კოოპერაცია (Cooperation), დარწმუნებულობა (Confidence) და პრედიქტულობა/წინასწარმეტყველებადობა (Predictability). დარწმუნებულობის შემთხვევაში მაიერი იზიარებს ზემოთ აღწერილ ლუჰმანისეულ პოზიციას და სწორედ აღნიშნულ ავტორზე დაყრდნობით განარჩევს ნდობას ქონფიდენს მდგომარეობისგან. რაც შეეხება კოოპერაციას, მაიერი მკაფიოდ მიუთითებს, რომ შესაძლოა ინდივიდი (ავტორის ინტერესიდან გამომდინარე, აქცენტი კეთდება თანამშრომლებზე ორგანიზაციაში) კოოპერირებდეს სხვა ინდივიდთან, რომელსაც სრულებითაც არ ენდობა. მეტი თვლასაჩინოებისთვის ავტორი აღნიშნავს, რომ თუ კი არსებობს გარეგანი კონტროლის ძლიერი მექანიზმები (მაგალითად დირექტიული მენჯერი ორგანიზაციულ კონტექსტში), რომელიც დასჯის მისანდობს არაკეთილსინდისერი აქტივობისთვის, ასევე თუ კი მიმნდობისთვის მოწყვლადობის ასპექტი არ შემოდის მოცემულ კოოპერაციულ აქტივობაში, ან თუ კი ცხადია რომ მისანდობის მოტივები ემთხვევა მიმნდობის სურვილებს, ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვისაუბროთ კოოპერაციაზე, რომელიც სრულებით არ მოითხოვს ნდობის ასპექტს; ყველა ამ შემთხვევაში მიმნიმალიზირებულია ან სრულებით არ არსებობს მოწყვლადობის რისკი, რაც თანხვედარში არ მოდის ნდობის ფენომენთან. და ბოლოს, პრედიქტულობას, მაიერის კრიტიკულ ანალიზში ნდობისგან განასხვავებს რისკის აღების მზაობის კომპონენტი; ერთია რომ მიმნდობი მისანდობის სამომავლო ქცევების პრედიქციას აკეთებს, ხოლო მეორე, ამ პრედიქტულ (მაღალ პროგნოსტულ) გარემოებას ეყრდნობა თუ არა მიმნდობის განზრახვა, გასწიოს რისკი და მიენდოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლოა ინდივიდმა დათვალოს სხვა ინდივიდის სამომავლო ქცევის პროგნოსტულობა, მაგრამ განიზრახავს და მიენდობა თუ არა ინტერაქტს, ანუ განიზრახავს იყოს მოწყვლადი ამ პროგნოზირებული მომავლის საფუძველზე, სრულებით სხვა ფსიქოლოგიურ მექანიზმს მოიცავს (Mayer et al., 1995).

ნდობისა და ქონფიდენსის ურთიერთგამიჯვნის აუცილებლობა გვხვდება სტომპკას პოზიციებშიც (Sztompka, 1999), რომელიც ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს რომ ნდობა გავარჩიოთ იმედოვნებისგან (Hope). ნდობისგან განსხვავებით, იმედი ეს არის

პასიური, ბუნდოვანი, არარაციონალურად განსჯილი შეგრძნება, რომ მოვლენები სამომავლოდ ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდება (Sztompka, 1999).

იამაგიში ნდობის კონცეპტუალიზაციაში მომიჯნავე ცნებების გასამიჯნად შედარებით განსხვავებულ პოზიციას გვთავაზობს (Yamagishi, 1998; Yamagishi & Yamagishi, 1994). ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაში (სურათი N1) ავტორი ცდილობს ნდობის ცნება გამიჯნოს მსგავსი პათოსის მქონე მოლოდინის სხვა მდგომარეობებისგან.

სურათი N1: ნდობის ურთიერთმიმართება სხვა ცნებებთან: იამაგიშის მოდელი



წყარო: Yamagishi, The Structure of Trust An Evolutionary Game of Mind and Society, 1998

მოლოდინის მდგომარეობას ავტორი სანდოობით განსაზღვრავს (Truswothiness კონცეფციას ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით) და მას (ეყრდნობა რა ლუჰმანისეულ პოზიციას ნდობის კონცეპტუალიზაციაში) ორი ფორმით წარმოგვიდგენს: 1. მოლოდინები ბუნებრივ მოვლებთან დაკავშირებით, და 2. მოლოდინები მორალურ წესრიგთან დაკავშირებით. ისეთი ბუნებრივი მოვლენა, როგირიცაა დილით მზის ამოსვლა, რა თქმა უნდა მოლოდინის პათოსში შეიძლება წარმოვიდგინოთ, ადამიანი მოელის რომ ხვალ დილით მზე ამოვა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს რომ ადამიანი მზის სისტემას ენდობა. იამაგიში ლუჰმანის პოზიციას, რომ ბუნებრივი წესრიგის მიმართ მოლოდინები, შესაძლოა ნდობის ცნებას მოიცავდეს აკრიტიკებს, როგორც კულტურულ (ლინგივსტურ) სპეციფიკაზე დაყრდნობით (იაპონურ ენაში ნდობის განსახვავებული ვარიაციების საფუძველზე მითითებით, თუმცა იქვე აღნიშნავს რომ ეს გარემოება სულაც უმნიშვნელოა და ლუჰმანის კრიტიკა ამ მიმართულებით არასწორია), ასევე კოგნიტური ფსიქოლოგიის ლოგიკიდან გამომდინარე. რაც შეეხება მოლოდინებს მორალურ ან/და სოციალურ წესრიგთან დაკავშირებით, იამაგაში ბარბერის (1983) თეორიის რევიზიას ახდენს: მოლოდინები სოციალურ/მორალური წესრიგში შეიძლება დაკავშირებული იყოს, ერთის მხრივ კომპეტენციებთან, ხოლო მეორეს მხრივ ინტერაქტის განზრახვებთან; იამაგაშის პოზიციით, თუ კი თვითმფრინავში ვსხდებით, მოლოდინით რომ პილოტი კომპეტენტურია, ან სულაც არ არის კომპეტენტური და არ აქვს განზრახული დაღუპოს ეკიპაჟი, საქმე გვაქვს არა ნდობასთან, არამედ დარწმუნებულობასთან (confidence), რაც შეეხება ნდობას, ის იმგვარ მოლოდინს გულისხმობს, რომელიც აუცილებლად სოციალური ობიექტის განზრახვასა და კეთილგანწყობის გამოვლენის ალბათობას ეყრდნობა. რაც შეეხება სხვათა განზრახვების მოლოდინებს, აქ ავტორთან კიდევ უფრო სერიოზულ დილემას ვაწყდებით, კერძოდ ნდობისა და დარწმუნებულობა / გარანტირებულობის (assurance) ურთიერთგამიჯვნის გამოწვევას. ამ უკანსაკნელი პრობლემის მოგვარება განუსაზღველობის ცნებაში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, იამაგიში მიუთითებს, რომ ნდობა თავისი არსით აუცილებლად გულისხმობს განუსაზღვრელობის კომპონენტს, მაშინ როცა, დარწმუნებულობა (assurance) წარმოადგენს სიტუაციის სუბიექტურ რეფლექსიას, სადაც განუსაზღვრელობა გამორიცხულია. აღნიშნული განუსაზღვრელობა assurance მდგომარეობაში შესაძლოა

დაზღვეული / აღმოფხვრილი იყოს სიტუაციის გარეგანი კონტროლით (ავტორს მაგალითად მოყავს მაფია და მმართველობის „რკინის წესები“, სადაც ბოსის მკაცრი ხელი ყოველგვარ ნორმატიულ გადახვევას გამორიცხავს მაფიის ჯარისკაცებში, შესაბამისად განუსაზღვრელობა თუ როგორ მოიქცევა ინდივიდები კონკრეტულ სუბკულტურაში მინიმუმამდეა დაყვანილი ან საერთოდ არ არსებობს) (Yamagishi, 1998; Yamagishi & Yamagishi, 1994). Assurance-ის ამგვარ ინტერპრეტაციას, კერძოდ განუსაზღვრელობის მინიმიზაცია, რაც ავტომატურად გულისხმობს მოსალოდნელობის მაღარ ხარისხს, თუ კი ლუჰმანის პოზიციას შევადარებთ, აშკარად დარწმუნებულობის (confidence) პათოსს ატარებს, თუმცა იამაგიში ამ უკანასკნელს (confidence), კომპეტენციის მოლოდინებს უფრო უკავშირებს ვიდრე Assurance-ს.

რაც შეეხება თავად ნდობის კლასიფიკაციას, იამაგაში გვთავაზობს ორი ტიპის ნდობას: ინფორმაციაზე დაფუძნებულ ნდობას (რაც თავის მხრივ ორი ტიპის ნდობას აერთიანებს: ურთიერთობისა და მახასიათებლებზე დაყრდნობილ ნდობებს) და გენერალურ ნდობას (რომელსაც ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით).

მას შემდგომ, რაც ნდობის კონცეპციის მომიჯნავე ცნებებისგან დიფერენციაციას შევეხეთ, აუცილებელია უშუალოდ ნდობის არსის (სტრუქტურისა თუ ფუნქციის) შემდგომი ანალიზი.

ავტორების უმრავლესობა თითქოს თანხმდება ნდობის სამ ასპექტოვან ანალიზზე; ნდობა სოციალური ინტერაქციის კონტექსტში განიხილება და გულისხმობს მიმნდობს (A), რომელიც ენდობა მისანდობს (B), რომ იგი გარკვეული მანერით მოიქცევა (X) (მაგალითად: Hardin 1993, Baier 1986). შესაძლოა იმპლიციტურად ეს სამ მდგენელიანი ფენომენი იმ სიტუაციასაც გულისხმობდეს (Mayer, Davis, & Schoorman, 1995), რომელშიც ნდობის გამოცხადება მნიშვნელობას იძენს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ A ენდობა B-ს, რომ იგი X ქცევას განახორციელებს, რადგან კონკრეტულ კონტექსტში A-სთვის ეს მნიშვნელოვანია (ღირებულია). დეფინიციათა უმრავლესობაში ეს მდგენელებია მოაზრებული, თუმცა ავტორები აქცენტებს განსხვავებული ინტენსივობით სვამენ თითოეულ მდგენელზე და განსხვავებულად ინტერპრეტირებენ; შესაძლოა სულაც უგულვებელყოფდნენ რომელიმე მდგენელს, მაგალითად უსლენერი (2002), მიუხედავად იმისა რომ ეთანხმება სამგანზომილებიანი ნდობის მოდელს, იქვე მიუთითებს, რომ შესაძლოა ეს მხოლოდ ერთი ფორმა იყოს

ნდობის (სტრატეგიული/პარტიკულარული ნდობა) და არსებობდეს ნდობა, რომელიც ბევრად მნიშვნელოვანია სოციალური პროცესებისთვის და არ გულისხმობდეს ინტერაქციულობის დაშვებას:

„ჩემი ხედვა განსხვავებულია. დიახ, არსებობს ნდობის ასეთი ფორმა (იგულისხმება სამმდგენელიანი ნდობის ფორმა ე.მ.), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ მას არ შეუძლია გადაჭრას კოლექტიური მოქმედების პრობლემები. ის არ გვეხმარება ავაშენოთ ხიდები ადამიანებს შორის, რომლებიც არ გვგვანან. არსებობს უფრო სიღრმისეული ფორმა ნდობისა - გენერალიზებული (ან „მორალისტური“) ნდობა, რომელიც არ ეყრდნობა გამოცდილებას და არ მოიაზრებს კონკრეტულ პიროვნებასა თუ რაიმე კონკრეტულს. მაშასადამე ამ ტიპის ნდობის გრამატიკა მარტივად ნიშნავს „ A უბრალოდ ენდობა“ [Uslener, 2018, p. 6-7]“.

უსლენერის ეს პოზიცია (2002, 2008, 2018), რომელიც ერთი შეხედვით ნდობის ფორმების ანალიზსს უკავშირდება[1], შეიძლება გავიაზროთ როგორც აქცენტის ფოკუსირება მიმნდობის პიროვნულ კონსტიტუციაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნდობის დეფინიციაში წამყვანი ადგილი უკავია პიროვნებას, როგორც მიმნდობს. ნდობის ფენომენის მიმნდობის პოზიციიდან გაშუქება, რა თქმა უნდა ექსკლუზიურად უსლენერთან არ გვხვდება, სხვადასხვა ავტორებთან განსხვავებული დოზით მიმნდობის მახასიათებლებზე ხაზგასმა ხშირი მოვლენაა ნდობის კონცეპტუალიზაციაში.

1.2.1. ნდობა და მიმნდობლობა (Trustfulness)

ნდობის, როგორც პიროვნების მეტნაკლებად სტაბილურ ფსიქიკურ წარმონაქმნად გააზრება, პირველად ალბათ ნეოფროიდიანულ ტექსტებში გვხვდება. ერიკსონი

[1] განასხვავებს რა სტრატეგიულ ნდობას მორალისტური ნდობისგან, სადაც პირველი (სტრატეგიული) ფორმა დაფუძნებულია მისნადობის აღქმულ სანდოობაზე, მაშინ როცა მორალისტური ნდობა წარმოადგენს ღირებულებით ორიენტაციას, დაშვებას რომ ადამიანები იზიარებენ საერთო ფუნდამენტურ ღირებულებებს და შესაბამისად ნდობის საფუძველიც ოქროს წესის პრინციპს ეყრდნობა: „მოექეცი ისე, როგორც შენ გინდა გექცეოდნენ“, შესაბამისად ნდობა არა ინტერაქციული გამოცდილების საფუძველზე მნიშვნელობს, არამედ პიროვნულ ღირებულებით ორიენტაციას წარმოადგენს (Uslener, 2008).

(1977), თავის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიაში, გვთავაზობს რვა სტადიას, რვა კრიზისს, პიროვნების განვითარების კონტექსტში. პირველი სტადია, რომელსაც ჩვილობის პერიოდში (დაახლოებით 0 დან – 18 თვემდე) ადამიანი გაივლის და პირველი კრიზისის წინაშე აღმოჩნდება, სწორედ ნდობა-უნდობლობის ფორმირების სტადიაა. ერიქსონი ნდობას დარწმუნებულობის ექვივალენტად განიხილავს და მშობელთან (დედასთან) ურთიერთობაში აღმოცენებულ წარმონაქმნზე საუბრობს, რომელიც შემდგომ ფიქსირებულ ფსიქიკურ პატერნად გვევლინება და მთელი ცხოვრების განმავლობაში მნიშვნელობს, როგორც ძირეული/პირველადი (Basic) ნდობა (Erikson, 1977).

მიმნდობის ელემენტზე აქცენტის გაკეთება მკაფიოდ ჩანს იამაგიშის (1994) თეორიულ კონსტრუქტში; ავტორი ნდობას შემდეგნაირად განმარტავს: *„ამგვარად, ნდობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მიკერძოება (bias) არასრულყოფილი ინფორმაციის დამუშავებისას პარტნიორის განზრახვების შესახებ. მიმნდობი არის ის, ვინც გადაჭარბებულად აფასებს პარტნიორის ზრახვების კეთილსინდისიერებას იმ დონის მიღმა, რაც გარანტირებულია არსებული ინფორმაციის გონივრული შეფასებით" [Yamagishi, 1994 p. 136].*

იამაგიში და კოლეგები, აქცენტს სვამენ ტერმინზე მიმნდობლობა (trustfulness), და შეიძლება ითქვას თეორიული კონსტრუქტიც მეტად ორიენტირებულია მიმნდობლობის განზომილებაზე. ავტორები ერთმანეთისგან განასხვავებენ ცოდნაზე დაფუძნებულ და გენერალურ ნდობას (General Trust and Knowledge-Based Trust); ცოდნაზე დაფუძნებული ნდობა, ლოგიკურია რომ (პოტენციური) პატრნიორის მახასიათებლების ცოდნას გულისხმობს (trustworthiness) და შესაბამისად შეზღუდულია კონტექსტით, ამგვარი ნდობა, ერგვარი გვერდითი ეფექტია (by-product) გამართული ურთიერთობის და როგორც თავად ავტორი აღნიშნავს: *„შესაბამისად იგი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს ჩვენს თეორიაში" [p. 139]*, რაც შეეხება გენერალურ ნდობას, ის წარმოადგენს პოზიტიურ კოგნიტურ გადაფასებას, მაშინ როცა საკმარისი ცოდნა პარტნიორის შესახებ არ მოგვეპოვება. ამგვარი ნდობა ტოვებს მხოლოდ ნაცნობი ურთიერთობების არეალს და ზოგადად მნიშვნელობს, სოციალურ ურთიერთობების ყველა პლანში (Yamagishi & Yamagishi, 1994).

მაიაერი და კოლეგები (1995, 1999) ასევე ყურადღების მიღმა არ ტოვებენ მიმდნობლობის საკითხს. მაიერის (უკვე) კლასიკურ დეფინიციაში, ნდობა წარმოადგენს *„ინდივიდის მზაობა(ს), იყოს მოწყვლადი სხვა აქტორის ქმედებებზე, მოლოდინით რომ მინდობილი შეასრულებს კონკრეტულ აქტივობას, რომელიც მნიშვნელოვანია მიმნდობისათვის, მიუხედავად იმ გარემოებისა რომ მიმნდობი ვერ დააკვირდება და გააკონტროლებს მისანდობის ქცევას“ [Mayer et al., 1995 p. 712].* თეორიულ კონსტრუქტში მაიერი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ნდობისკენ მიდრეკილებას (propensity, ასევე იხილეთ: (Frazier, Johnson, & Fainshmidt, 2013)), რომელიც ნდობის ერთგვარი როტერისეული (მაგალითად: (Rotter, 1967)) გადააზრება; მაიერი როტერისეულ ნდობის კონსტრუქტს, კერძოდ *„გენერალიზებულ მოსალოდნელობას“ [Rotter, 1967, p. 653]* პიროვნულ ნიშნად ინტერპრეტირებს (თუმცა უნდა ითქვას, რომ როტერისეულ პოზიციაში ნდობაში პიროვნულ ნიშანზე მეტად, ატიტუდური ბუნება უფრო ჩანს ე.მ.) და განსაზღვრავს როგორც სტაბილურ, ინდივიდის დისპოზიციურ ფაქტორს, რომელიც *„გავლენას ახდენს ალბათობაზე რომ ინდივიდი მიენდობა.* (შესაბამისად) *ინდივიდები განსხვავდებიან ნდობის შინაგანი მიდრეკილებით [Mayer et al., 1995 p. 715].*

როგორც ვნახეთ, რიგი ავტორები ნდობის კონცეპტუალიზაციაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ იმგვარ დისპოზიციურ მოცემულობებს, რომლებიც დაცლილნი არიან კონტექსტისა თუ ინტეპერსონალური განზომილებებისგან. შეიძლება ითქვას პიროვნების სტრუქტურულ ელემენტებს (მაგალითად როგორიცაა: პიროვნული ნიშანი, ტენედენცია, მიდრეკილება და სხვა ფიქსირებული თუ არაფიქსირებული წარმონაქმნები), მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ნდობის კომპოზიტურ მოდელირებში. თუმცა ნდობის მხოლოდ პიროვნულ ტენდენციაზე დაყვანა და ინტერპერსონალური ანალიზისგან დაცლა თეორიულად გაუმართლებელია, რაზეც მეტყველებს დეფინიციათა უმრავლესობა, რომელებშიც მკაფიოდ ჩანს მისანდობის როლი და მისი აღქმული მახასიათებლები ნდობის არსის გაგებაში.

1.2.2. ნდობა და სანდოობა (Trustworthiness)

ნდობის სხვადასხვა თეორიულ კონცეპტუალიზაციაში, ხშირად ვაწყდებით თავად ნდობისა და სანდოობის მკაფიო გამიჯვნის პრობლემას, რაც შემდგომ თავისთავად

აისახება მეთოდოლოგიურ, კერძოდ კი ცნების ოპერაციონალიზაციის და გაზომვის უზუსტობებში. ჰარდინი (1993) ამ პრობლემას შემდეგნაირად არტიკულირებს: *„გასაკვირია რომ ნდობაზე არსებულ ლიტერატურის უმრავლესობაში, იშვიათად თუ არის ნახსენები სანდოობა (trustworthiness), მაშინ როდესაც, უმრავლესობა მათგანი, სწორედაც რომ სანდოობაზეა და არა ნდობაზე" [Hardin, 1993, p. 512].* სავარაუდოდ ეს მოცემულობა გამოწვეულია ნდობის ატიტუდური გააზრების პერსპექტივიდან. რიგ თეორიებში, ავტორები ატიტუდს განიხილავენ, როგორც რწმენის ფუნქციას: ატიტუდი არის იმ რწმენების კომპლექსური ერთიანობა, რომელსაც აღმქმელი აყალიბებს ატიტუდის ობიექტსა და მის მახასიათებლებს შორის (Ajzen, 1991; Ajzen & Fishbein, 1977). შესაძლოა სწორედ ეს ლოგიკა ედოს ნდობისა და სანდოობის ზემოთხსენებულ ვერ გამიჯვნის პრობლემას, როგორც მაიერი (1995) აღნიშნავს, ერთერთი მიდგომა, გავიგოთ თუ რატომ გააჩნია მეტნაკლები ნდობა ერთ მხარეს მეორეს მიმართ, არის ის თუ რამდენად განიხილავს მიმნდობი მისანდობის ატრიბუტებსა თუ თვისებებს (Mayer et al., 1995).

სტომპკას მიერ შემოთავაზებულ ნდობის მოდელში (Sztompka, 1999), სანდოობას ერთერთი ცენტრალური ადგილი უკავია მიმნდობლობისა (მიმნდობის პიროვნული განზომილების) და კონტექსტის (ნდობის კულტურა) ფაქტორებთან ერთად. ავტორი სანდოობის ფაქტორს სამი მნიშვნელოვანი განზომილებით გვთავაზობს: 1. რეპუტაცია; 2. შესრულება (performance) 3. თვლსაჩინოება (appearance).

რეპუტაცია შეიძლება ჩავთვალოთ რომ ავტორის მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებაა და გულისხმობს წარსული ქმედებების ანაკრებს. ეს ერთგვარი CV ია, რომელიც ერთის მხრივ გულისხმობს იმ ქცევით მახასიათებლებს (ქარაქტეროლოგიურ ნიშნებს), რომლის საფუძველზეც წარსულში მისანდობი ახორციელებდა ქცევებს, ხოლო მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია, სტაბილურობისა და კონსისტენტურობის ელემენტიც, ანუ რამდენად კონსისტენტურია მისანდობი საკუთარ ქცევებში. მახასიათებლების შეფასება ხდება როგორც პირდაპირ, უშუალო გამოცდილებით, ასევე მეორეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მაგალითად *„თუ კი ვინმე, ან რომელიმე ინსტიტუტი, ცნობილია რომ ნდობითაა აღჭურვული სხვათა, განსაკუთრებით კი „მნიშვნელოვან სხვათა" მიერ, რომელთა განსაჯასაც მე სერიოზულად განვიხილავ, მაშინ მეც მზად ვარ მივბაძო ნდობაში და განვიხილო*

ობიექტი სანდოდ, სხვა დამატებითი მანიშნებლების განხილვის გარეშე“ [Sztompka, 1999, p. 73]. რეპუტაციის შინაარსი შესაძლოა იყოს სრულიად ზოგადიც და სავსებით კონკრეტულიც და ეხებოდეს რომელიმე კონკრეტულ სფეროს (მაგალითად პოლიტიკის კეთებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს).

რაც შეეხება შესრულების (performance) განზომილებას სანდოობაში, სტომპკა მის მთავარ მახასიათებლად აწმყოში დაფიქსირებულ მახასიათებლებს (ქცევას) განიხილავს, განსხვავებით რეპუტაციისგან, რომელიც წარსულზეა ფიქსირებული; ამ თვლასაზრისით, როგორც ავტორი მიუთითებს, ამ განზომილებას ნაკლები ძალა გააჩნია სანდოობის ფორმირებაში, გამომდინარე იმ ცოდნის დეფიციტიდან, თუ რამდენად დროში სტაბილურია აწმყოში წარმოდგენილი ესა თუ ის მახასიათებელი მისანდობისთვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად ალბათურია რომ მომავალში ის კვლავ განმეორდება. და ბოლოს თვალსაჩინოება არის სანდოობის ის მესამე განზომილება სტომპკას მიხედვით, რომელიც ვიზუალურად აღქმადია მისანდობისთვის, როგორც აქსესურების თვალსაზრისით (უნიფორმა, ჩაცმულობა, სამკაული), ასევე სხეულებრივი დისციპლინა და მანერულობა. ასვე ამ ფაქტორში ერთიანდება, ყველა ის გარეგნული მახასიათებელი, რომელიც აქტორის სტატუსზე მიუთითებს (Sztompka, 1999), იქნება ეს მიღწეული (მაგალითად ეკონომიკური) თუ თანშობილი (მაგალითად რასა) სტატუსის მახასიათებლები.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სწორედაც მიმნდობის მიერ აღქმულ თვისებებსა და მახასიათებლებს წარმოადგენს სანდოობის კონცეპტი.

აღქმული თვისებების ვარიაცია და რაოდენობა სანდოობის ცნებაში, შესაძლოა პირდაპირ უკავშირდებოდეს ნდობის მრავალგანზომილებიან მოდელებს. საუბარია იმ მეცნიერულ დებატებზე, ნდობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ერთი უნიფიცირებული წარმონაქმნი, თუ იგი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან კონსტრუქტს. ნდობის განზომილებების შესახებ დისკუსიას კარგად აჯამებს მაკივლისა და ტორტორიელოს მეტა ანალიტიკური კვლევა (McEvily & Tortoriello, 2011) ნდობის შესახებ. ავტორებმა შეაჯამეს რა არსებული კვლევები, გამოყვეს ნდობის 38 განზომილება, რომელსაც სხვადასხვა სიხშირით ვხვდებით ამა თუ იმ ავტორებთან თუ კვლევებში (განზომილებები წარმოდგენილია ცხრილში N1). როგორც ცხრილიდან

N1 კარგად ჩანს, პირველი სამი განზომილება ყველაზე ხშირად მეორდება ნდობის კონცეპტუალიზაციში, ხოლო ეს განზომილებები იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად სწორედაც რომ სანდოობის (მისანდობის აღქმული მახასიათებლების) განზომილებებია და არა თავად ნდობა. ეს სამი განზომილება: პატიოსნება, კომპეტენცია და კეთილგანწყობა, გვხვდება მაიერის (1995) მიერ შემოთავაზებულ თეორიულ მოდელშიც[2], რომელიც კონცენტრირებულია ნდობის ფენომენზე ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში, თუმცა ავტორის მიერ შემოთავაზებული ნდობის ეს მოდელი, კერძოდ კი სანდოობის სამკომპონენტიანი კონსტრუქტი, სცდებდა ორგანიზაციული ფსიქოლოგიის არეალს და პოლიტიკურ კონტექსტშიც მკაფიოდ მეორდება რამდენიმე ავტორთან. სახელდობრ ჰალმბურგერი და კოლეგები (Baumert, Halmburger, Rothmund, & Schemer, 2016; Halmburger, Rothmund, Baumert, & Maier, 2019) სწორედ მაიერის სამგანზომილებიან სანდოობის კონსტრუქტს ზომავენ პოლიტიკურ სიბრტყეზე; ასევე მაიერის პერსპექტივითაა ინსპირირებული, ნდობის სამგანზომილებიანი მოდელი, ნიდერლანდების პოლიტიკურ კონტექსტში (Grimmelikhuijsen & Knies, 2017), სადაც პოლიტიკური ნდობა (თუმცაღა იგულისხმება სწორედაც რომ პოლიტიკოსების სანდოობა) მოიცავს ზემოთ

ცხრილი N1: ნდობის განზომილებები

	განზომილებები	რამდენჯერ იყო კვლევებში ოპერაციონალიზებული
1	პატიოსნება Integrity	19
2	უნარი/კომპეტენცია Ability/competence	14
3	მზრუნველობა/კეთილგანწყობა Benevolence	14
4	აფექტური Affective	12
5	კოგნიტური Cognitive	11
6	ნდობა (სიტყვასიტყვით) Trust (verbatim)	9
7	ერთგულება Loyalty	7
8	ღიაობაOpenness	7
9	სამართლიანობა Fairness	6
10	სანდოობა Reliability	5
11	რწმენა განზრახვაში Faith in intentions	4
12	პროგნოზირებადობა Predictability	4
13	დანაპირების შესრულეება Promise fulfilment	4
14	რისკისთვის მზაობაWillingness to risk	4
15	ხელმისაწვდომობა Availability	3

[2] სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ ნდობის ამ თეორიულ მოდელში გარდა სამკომპონენტიანი სანდოობის ელემენტისა, მოდელში ასევე ინკორპორირებულია წინა თავში განხილული ნდობისკენ მიდრეკილება (Trustor's Propensity).

16	თანმიმდევრულობა Consistency	3
17	დისკრეტულობა Discreteness	3
18	ოპორტუნიზმიOpportunism	3
19	მიმღებლობა Receptivity	3
20	მონიტორინგიSurveillance/monitoring	3
21	მოტივი/განზრახვა Motives/intentions	2
22	Avoids taking excessive advantage	1
23	გამოანგარიშებადობა Calculative	1
24	ხასიათი Character	1
25	კომუნიკაცია Communication	1
26	გააზრება Concern	1
27	კოორდნიაცია Coordination	1
28	სარწმუნოობა Credibility	1
29	დინამიზმი Dynamism	1
30	ექსპერტულობა Expertness	1
31	ამტანობა Forbearance	1
32	კეთილინება Goodwill	1
33	ჰაბიტუალიზაცია Habitualisation	1
34	გულახდილობა Honesty	1
35	არაფორმალური შეთანხმება Informal agreement	1
36	გავლენის მიღება Influence acceptance	1
37	ინსტიტუციონალიზაცია Institutionalisation	1
38	განსჯა Judgement	1

ცხრილი აღებულია სტატიიდან: Bill McEvily & Marco Tortoriello (2011): Measuring trust in organisational research: Review and recommendations, Journal of Trust Research, 1:1, p. 34

ხსენებულ აღქმულ პატიოსნებას, აღქმულ კომპეტენტურობასა და აღქმულ კეთილგანწყობას. პოლიტიკური ნდობის ანალიზში, სეიდი (Seyd, 2016), ნახსენებ სამ განზომილებას კიდევ ორს უმატებს და წარმოგვიდგენს ხუთ განზომილებიან მოდელს. კერძოდ ამატებს სამართლიანობასა (Fairness) და სანდოობას (Reliability- სამწუხაროდ ქართულ ენაში ზუსტი შესატყვისი არ მოიძებნება ე.მ.), თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ემპირიული დადასტურება მის ხუთფაქტორიან მოდელს ამ დროისთვის არ აქვს.

მაიერი (1995) კომპეტენტურობის განზომილებას მოიხსენიებს, როგორც უნარს ან შესაძლებლობას (Ability). ეს არის გარკვეული კომპეტენციებისა და მახასიათებლების ჯგუფი, რომელიც, ინდივიდს აღჭურავს გავლენით კონკრეტულ/სპეციფიკურ სფეროში; კეთილგანწყობა, მეორეს მხრივ, წარმოადგენს რწმენას, რომ მისანდობი მიმნდობისთვის სიკეთეს, ალტრუისტულ ქცევას განახორციელებს, ყოველგვარი ეგოცენტრული მოგების გარეშე. კეთილგანწყობა მსინადობის მიმნდობზე ერთგვარ

მიჯაჭვულობაზეც მიუთითებს. ხოლო რაც შეეხება პატიოსნებას ნდობის კონტექსტში, მაიერი აღნიშნავს, რომ ეს არის მიმნდობის აღქმა რომ მისანდობი დაიცავს იმ პრინციპებსა და ნორმებს, რომელსაც მიმნდობი მისაღებად თვლის (Mayer et al., 1995).

რომ შევაჯამოთ, სანდოობა ეს არის მიმნდობის მიერ აღქმული მახასაიათებლები, რომელიც მისანდობს მიეწერება. ხოლო ნდობა თავის მხრივ, წარმოადგენს არა უბრალოდ სანდოობის რეფლექსიას მიმნდობში, არამედ ინდივიდუალურ განსხვავებებს ადამიანებში თუ როგორ აფასებენ სხვების სანდოობას არასაკმარისს ინფორმაციაზე დაფუძნებით (Yamagishi, 1998).

სანდოობა ეს არის ერთგვარი რწმენათა სისტემა, რომელიც მომავლის ხდომილების დარწმუნებულობაში (მაღალი სუბიექტური ალბათობა იმისა რომ მისანდობი ჯეროვნად მოიქცევა მომავლაში) გადამწყვეტ როლს თამაშობს. სწორედ სანდოობის მდგენელი რწმენებია ის ერთეულები, რომლის საფუძველზეც დაითვლება მისანდობის მიერ მომავალში განხორციელებული ქცევის ალბათობა, რაც საბოლოო ჯამში ფსიქიკაში ასახულია, როგორც მოლოდინის მდგომარეობა, დარწმუნებულობის გარკვეული ხარისხი, რომელიც მზაობის მდგომარეობაში კონვერტირდება - ინდივიდის მზაობისა რომ გარისკოს და მიენდოს.

სწორედ მოლოდინი, მზაობის მდგომარეობა, მოსალოდნელობა, ეს ის ცნეტრალური ცნებებია ნდობის ანალიზში, რომელთა გარკვევაც უკეთ აგვიხსნის ამ ცნების არსს.

1.2.3. მოლოდინი, როგორც ყველა დეფინიციის ცენტრი

როგორც წინა ქვეთავის ბოლოს ვახსენეთ, ნდობა ფსიქიკურ დონეზე წარმოდგენილია, როგორც სპეციფიკური მოლოდინის მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ნდობის თეორიულ თუ ემპირიულ მოდელებში, აქტიურად ვხვდებით ნდობის, როგორც მანიფესტირებული ქცევის გააზრებას (მაგალითად ნდობის თამაშები, პატიმრის დილემის პათოსის მქონე ნდობის კვლევის ექსპერიმენტულ დიზაინებში) ამ მოდელებშიც კი ინკორპორირებულია (იმპლიციტურად მაინცაა გააზრებული) ნდობის, როგორც ფსიქიკური მდგომარეობის ფაქტორი. ეს ფსიქიკური მდგომარეობა

კი ნდობის დეფინიციათა უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს მოლოდინს ან მოსალოდნელობის გარკვეულ ხარისხს.

Rousseau (1998) ნდობის დეფინიციაში, პირდაპირ მიუთითებს რომ ნდობა ეს არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა: *„რომელიც მოიცავს მოწყვლადად ყოფნის განზრახვას, რომელიც თავის მხრივ დაფუძნებულია პოზიტიურ მოლოდინზე სხვათა ქცევებისა თუ ქცევის განზრახვების შესახებ“ [Rousseau et al., 1998 p. 395].* ავტორი პირდაპირ მიუთითებს მიმნდობის მოლოდინზე, მისანდობის სამომავლო ქცევასთან (ან ამ ქცევის განზრახვასთან) დაკავშირებით და რომ სწორედ ამ მდგომარეობაზე - მოლოდინზეა დაფუძნებული ნდობა, რომელიც კონცეპტუალიზირებულია, როგორც განზრახვა. ბარბერიც, ნდობის დეფინიციაში ხაზს უსვამს სხვადასხვა ტიპის მოლოდინებს, რომელიც სოციალურ ურთიერთობაში აქტორებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ, კონკრეტულ სოციალური სისტემის კონტექსტში (Barber, 1983). მოლოდინი ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს დასგუფთას პოზიციაშიც ნდობის შესახებ: *„ნდობის დეფინიცირებისას, მე ვსაუბრობდი ინდივიდის მოლოდინზე, რომელიც მიმართულია სხვა ინდიდვიდის არჩევანზე იმოქმედოს, ხოლო ეს მოქმედება მნიშნველოვანია თავად ამ ინდივიდის არჩევანზე რომ იმოქმედოს“ [Dasgupta, 1988, p. 53].* დასგუფთას ამ დეფინიციაში, მოლოდინი წარმოადგენს ფაქტორს, რომლის საფუძველზეც ინდივიდი აკეთებს არჩევანს რომ იმოქმედოს; არჩევანის გაკეთება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ახლოს დგას გადაწყვეტილების მიღების აქტთან, რაც ასევე ხშირად ასოცირდება (და ხშირ შემთხვევაში სინონიმურადაც კი იხმარება) განზრახვის ფენომენთან. არჩევანის გაკეთება და მის საფუძველზე მოლოდინის ფორმირებაა ასევე აქცენტირებული ლუჰმანის მიერ ნდობის კონცეპტუალიზაციაშიც, რითაც ავტორი ნდობას ერგვარად გამიჯნავს დარწმუნებულობის კონცეპტისგან (Luhmann, 1988). უშუალოდ მოლოდინზე არ საუბრობს, თუმცა ოფი (Offe, 1999) გვთავაზობს ნდობის იმგვარ რწმენად გააზრებას, რომელიც გულისხმობს სხვათა ქცევის მოსალოდნელობას: *„ნდობა წარმოადგენს რწმენას, რომელიც ეხება ქმედებას, რომელიც მოსალოდნელია სხვათა მხრიდან. რწმენა დაკავშირებულია ალბათობასთან რომ (გარკვეული კატეგორიის) სხვები შეასრულებენ კონკრეტულ რამეს ან თავს შეიკავებენ გარკვეული ქმედებისგან, რაც ორივე შემთხვევაში, გავლენას მოახდენს რწმენის მფლობელის*

კეთილდღეობაზე“ [Offe, 1999, p.47]. მოსალოდნელობისა და არა მოლოდინის პათოსია გატარებული როტერის მიერ ნდობის კონცეპტუალიზაციაშიც: *„აქ დეფინიცირებული ინტეპეროსნალური ნდობა, წარმოადგენს ინდივიდისთვის ან ჯგუფისთვის იმ მოსალოდნელობას რომ, სხვა პიროვნების ან ჯგუფის სიტყვას, დაპირებას, ზეპირ ან წერილობით განაცხადს შეიძლება დაეყრდნო“ [Rotter 1967, p.651].* ნიკლას ლუჰმანი განარჩევს რა ერთმანეთისგან ნდობისა და დარწმუნებულობის (confidence) ცნებებს, მიუთითებს რომ: *„ორივე ცნება მიმართულია მოლოდინზე, რომელიც შეიძლება იმედგაცრუებით დასრულდეს“ [Luhmann, 1988, p.97].* იმედგაცრუების რისკზე, რომელიც მომდინაერობს მოსალოდნელობის ალბათური ხასიათიდან, საუბრობს სტომპკაც, რომელიც ნდობას განიხილავს, როგორც ერთგვარ ფსონს, დადებულს სხვათა სამომავლო, ალბათურ ქმედებებზე (Sztompka, 1999).

მკაფიოდ ჩანს რომ, ზემოთ მოყვანილ სფეროს გავლენიანი ავტორების დეფინიციებში, ნდობა გულისხმობს მოსალოდენლობის გარკვეული ხარსიხის შეფასებით ფორმირებულ მოლოდინის მდგომარეობას, რომელიც კონვერტირებულია მიმნდობის მზაობის მდგომარეობაში გარისკოს და მიენდოს სხვა სოციალურ აქტორს. მოსალოდნელობის ხარისხი პირველ რიგში გულისხმობს მისანდობის განზრახვის ან სამომავლო ქცევის დადგომის ალბათობას, რაც ფსიქიკურ დონეზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ერთგვარი სუბიექტური ალბათობა - დარწმუნებულობის სახით განცდილი. ნდობა თავისი არსით ყოველთვის ალბათურია, მიმნდობი ყოველთვის მოწყვლადი რჩება იმ რისკების მიმართ, რომელიც ინტერაქციაში მოლოდინის არ გამართლებას თან სდევს. ეს ლოგიკა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიყურება, მაშინ როცა ნდობა იძულებითია, რესურსების ნაკლებობის და მინდობის აუცილებელი გარემოებებიდან გამომდინარე (მაგალითად თვითმფრინავის მგზავრი ენდობა პილოტს, მოქალაქე ენდობა პოლიტიკოსს და ა.შ. გამომდინარე იქიდან რომ ინდივიდს არ აქვს, არც საკმარისი ცოდნა, დროის ან მატრიალური რესურსი, თავად შესარულოს მისანდობის მიერ შესასრულებული აქტივობა, რაც ასე მნიშვნელოვანია მიმნდობისთვის).

ნდობის ფენომენში მოლოდინის გააზრება, როგორც მზაობა მიენდო ინტექრაქტს, აუცილებლად გულისხმობს მოსალოდნელობის, დარწმუნებულობის ან სუბიექტური ალბათობის საკმარის ხარისხს და ასევე პრედიქტული შედეგის ღირებულებას, რაც

საბოლოო ჯამში უკავშირდება მოტივაციის კლასიკური მოსალოდნელი ღირებულების თეორიების[3] პათოსს. თავად როტერი, ნდობის დეფინიციაში სწორედაც რომ მოსალოდნელობას უსვამს ხაზსს ამოდის რა სკაუთარი თეორიიდან, სადაც ბიჰევიორალური პოტენციალი მომავლის ხდომილობის ანუ მოსალოდნელობისა და განმტკიცებული ღირებულების ნამრავლია (*B.P. = f(Ex, & R.V.a)* მაგ. იხილეთ: (Feather, 1959)). მოსალოდნელობა, მომავლის ხდომილების სუბიექტური ალბათობა, ალბათობა რომ მისანდობი ჯეროვნად შეასრულებს მიმნდობისთვის ხელსაყრელ (ღირებულ, ვალენტურ) ქმედებას, დაფუძნებულია რწმენებზე მისნადობის შესახებ, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისანდობის სანდოობა გულისხმობს იმ რწმენებს, რომლის საფუძველზეც დაითვლება მომავლის ხდომილობის სუბიექტური ალბათობა, თუმცა მისანდობის მახასიათებლების ცოდნა, რწმენები მისნადობის სანდოობაზე, როგორც წესი მწირია ან არასკმარისი. იამაგიში სამართლიანად მიუთითებს რომ ნდობა სწორედ მიკერძოებული (biased) განსჯაა, ერთგვარი პოზიტიური კოგნიტური გადააფასება იმ არასრულყოფილი ინფორმაციისა, რომელიც პარტნიორის განზრახვების შესახებ გაგვაჩნია (Yamagishi, 1998; Yamagishi & Yamagishi, 1994). ნდობის კონსტრუქტში ცოდნისა და რწმენების ნაკლებობაზე, კლასიკურ სოციოლოგიურ ნარატივებშიც ვხვდებით: მაგალითად, სიმელის და გიდენსის პოზიციაში ცოდნის ნაკლებობა ნდობის ფენომენში აპრიორადაა ნაგულისხმევი და ნაცადია ეს უცოდინრობა სხვა ელემენტებით შეავსონ: სიმელი ნდობის შესახებ მხოლოდ რამდენიმე პასაჟით შემოიფარგლება მის მთელ ბიბლიოგრაფიში. თუმცა ამ მცირე პასაჟებში ნდობის კონცეპტუალიზაციითვის უაღრესად მნიშვნელოვან ინსაიტს ვხვდებით. სიმელი „ფულის ფილოსოფიაში“ (Philosophie des Geldes [1900]) წერს ელემენტზე, რომელიც რთული ასახსნელია და ეხება ფსიქიკის მდგომარეობას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ცოდნასთან და რომელიც ერთდროულად მეტიცაა და ნაკლებიც ვიდრე ცოდნა. ეს არის ელემენტი („Further element”), რომელიც წარმოადგენს *„სოციო-ფსიქოლოგიურ ქვაზი-რელიგიურ*

[3] მოსალოდნელი ღირებულების კლასიკურ თეორიებში იგულისხმება ლევინის და მისი მოსწავლეების (ფესტინჯერი, დემბო, სირსი, კარტრაითი) ძალის (force) განტოლება, სადაც ქცევის ასპირაცია წარმოადგენს სუბიექტური ალბათობისა და ვალენტობის ნამრავლს; ასევე ტოლმანის შესრულების ვექტორის განტოლება, რომელიც არის ფუნქცია მოლოდინის, მოთხოვნილების ბიძგისა და ვალენტობის; ასევე მსგავს პათოსს ატარებენ ატკინსონისა და ედვარდსის მოტივაციური თეორიები (Heckhausen & Heckhausen, 2008; Feather, 1959)

რწმენას ნდობაში“ [Simmel 2005, p.178]. სამწუხაროდ ქართულ ლექსიკაში არ ხდება რწმენის (faith) და დაჯერების (belief) ლინგვისტური გამიჯვნა, ამიტომ მივუთითებ, რომ სიმელის მოცემულ მოდელში საუბარია faith ტიპის რწმენაზე, რაც სემანტიკურად ტრანსცენდენტულ რეალობაზე მიუთითებს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, გამომდინარე იქიდან რომ რწმენა, თავისი არსით წარმოადგენს ცოდნას, შესაცნობის სრული უცოდინრობის კვლადაკვალ - ცოდნა იმის შესახებ რისი ემპირიაც არ არსებობს.

„შემდგომი ელემენტის“ შემოტანით, ნდობის ანალიზში, ჩნდება ახსნითი პოტენციალი იმისა, თუ როგორაა გაშუალებული მოლოდინი და ცოდნის ნაკლებობა.

სიმელი, მიუხედავად იმისა რომ ცდილობას ნდობის მოდელიდან გამორიცხოს „შემდგომი ელემენტი“, საბოლოოდ მაინც უბრუნდება და ნდობას აღწერს როგორც სუსტ ინდუქტიურ ცოდნას („week inductive knowledge”) დამატებული აფექტური, უფრო მეტიც, მისტიური „რწმენა“ (Simmel, 1950, 2005).

ამ მოდელს დიდწილად იზიარებს გიდენსიც (1990). ავტორი თვლის რომ *„ნდობა არ არის იგივე რაც რწმენა ადამიანსა ან სისტემის სანდოობაში, ნდობა სწორედ რწმენიდან გამომდინარეობს, ის არის კავშირი რწმენასა და დარწმუნებულობას შორის ... ყველა ნდობა გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენს ბრმა ნდობას“ [Giddens, 1990 p. 33].* ბრმა ნდობაში გიდენსი სიმელის პოზიციას იზიარებს და გულისხმობს რწმენის ფაქტორს, რომელიც ერთდროულად არცაა ცოდნა და უფრო მეტიცაა ვიდრე ცოდნა.

რომ შევაჯამოთ, ნდობა წარმოადგენს ინდივიდის (მიმნდობის) მზაობის მდგომარეობას, რომელიც დაფუძნებულია მოლოდინზე მისანდობის სამომავლო ქცევის განზრახვებთან დაკავშირებით. მოლოდინის პროგნოსტულობა თავის მხრივ მოიაზრებს მისანდობის შესახებ სუბიექტურად მიკერძოებულ (ან სხვა დამატებითი ფაქტორით გაშუალებულ) რწმენების ერთობლიობას (სანდოობას), რომლის საფუძველზეც დაითვლება მიმნდობისთვის სასარგებლო მომავლის ხდომილობა. ხდომილობა, თავის მხრივ, რა თქმა უნდა ალბათურია და შესაბამისად რისკი, რომ სასარგებლო და სასურველი მომავალი არ დადგება, ნდობის აუცილებელი პრერეკვიზიტია.

1.2.4. პოლიტიკური ნდობა: სპეციფიკა და დეფინიცია

პოლიტიკური ნდობა შეიძლება გავიაზროთ, როგორც ნდობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ნდობის ობიექტის დაზუსტებით იძენს განსხვავებულ მნიშვნელობას. რომ დავუბრუნდეთ კლასიკურ სამ (ოთხ) მდგენელიან მოდელს (Hardin, 1993; Baier, 1986), სადაც ნაგულისმევია ნდობის სუბიექტი (მიმნდობი), ნდობის ობიექტი (მისანდობი), მოსალოდნელი ქმედება (დარწმუნებლობა მისანდობის განზრახვაში, რომ იგი განახორციელებს მიმნდობისთვის სასურველ აქტივობას), და კონტექსტი, შესაძლოა პოლიტიკური ნდობა სწორედ ობიექტის (მისანდობის) დაზუსტების საფუძველზე იძენდეს მისთვის სპეციფიკურ მნიშვნელობას (Newton, Stolle, & Zmerli, 2018), ამიტომაც აუცილებელია მივუთითოთ თითოელი მდგნელის რაობა.

მიმდნობი, პოლიტიკური ნდობის კონტექსტში, წარმოადგენს მოაქალქეს ამ ტერმინის ფართო გაგებით. არსებობს მიდგომა, სადაც მიმნდობი (მოქალაქე), პოლიტიკური ნდობის კონტექსტში, ვიწრო გაგებით ელექტორალურ სიბრტყეზე დაიყვანება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმდნობია ის მოქალაქე, რომელიც აღჭურვილია ხმის მიცემის უფლებით. თუმცა არსებობს კვლევები, სადაც პოლიტიკური ნდობის შესწავალა (კვლევის ლონგიტიდურ დიზაინებში) მოიცავს მოზრდილობამდე (ხმის მიცემის ასაკამდე) მიუღწეველი მოქალაქეების შერჩევას, შესაბამისად არ ხდება მიმნდობის მხოლოდ ელექტორატამდე დაყვანა (Schoon & Cheng, 2011). ამიტომ უპრიანი იქნება თუ მივუთითებთ რომ პოლიტიკური ნდობის სუბიექტი (მიმნდობი), არის ის მოქალაქე, რომელიც ინტერაქციაში იმყოფება (ან პოტენციურად მოიაზრება) პოლიტიკურ სისტემაში შემავალ ელემენტებთან.

მიმნდობისგან განსხვავებით, პოლიტიკური ნდობის ობიექტის მითითება და ოპერაციონალიზაცია, უფრო რთულ საკითხს წარმოადგენს. როგორც აქამდე უკვე აღვნიშნეთ, მისანდობი შესაძლოა სამ პირობით მდგენელად გავიაზროთ: 1. ხელისუფლება ზოგადად, რომელშიც შეგვიძლია ვიგულისხმოთ, მისი ყველა შტო და ინსტიტუტი (როგორც პარტიული, ასევე ზეპარტიული); შესაბამისად საქმე გვაქვს ინსტიტუციურ პოლიტიკურ ნდობასთან; 2. ნდობის მეორე სპეციფიკური ობიექტი

არის პოლიტიკური სისტემა ზოგად და მის მიმართ ნდობისა თუ უნდობლობის (ცინისზმის) ხარისხი; 3. და ბოლოს, ნდობა პოლიტკოსის ან პოლიტიკოსების მიმართ, რომელშიც შესაძლოა ვიგულისხმოთ, პოლიტიკოსები, როგორც ზოგადად სოციალური ჯგუფი (კატეგორია), ასევე არსებულ პოლიტკურ სისტემაში მოქმედი პოლიტიკოსები (Newton & Zmerli 2017; Warren 2017; Schiffman, Thelen, & Sherman, 2010; Newton, 2008).

უნდა აღინიშნოს, რომ პოლტიკური ნდობის ობიექტებად პოლტიკური ინსტიტუტებისა და პოლტიკური სისტემის გააზრება, შესაძლოა თეორიულ პრობლემას წარმოადგენდეს. ცხადია შესძლოა ინსტიტუტების სანდოობა, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ მათ ეფექტურ ფუნქნციონირებაში დარწმუნებულობა[4] მოქალაქის მხრიდან, პოლიტიკური ნდობის პათოსს ატარებდეს, თუმცა ნდობის დეფინიციათა მნიშვნელოვანი ნაწილი მკაფიოდ მიუთითებს მისანდობის არა უშაუალოდ ფუნქციონირებაზე, არამედ ნდობის ობიექტის განზრახვის ფენომენზე (Mayer et al., 1995; Rousseau, 1998; Yamagishi, 1998; Dasgupta, 1988). ნდობის გამოცხადება სწორედაც რომ მომავლის ხდომილობას უკავშირდება და არა აწმყო ქცევის რეფლექსიას, შესაბამისად ნდობა ობიექტის მომვალი ქცევის განზრახვის შეფასებაა და არა მყისიერი აქტივობის ანალიზი. თუ ეს ლოგიკა მართებულია, ვაწყდებით ისეთ პრობლემას, როგირიცაა განზრახვის ფენომენის გააზრებას არა ადამიანურ ობიექტზე, არამედ ინსტიტუციურ სიბრტყეზე, ხოლო განზრახვა (გადაწყვეტილების მიღება) სამართლიანია ვიფიქროთ, რომ ექსკლუზიურად ადამიანისთვის დამახასიათებელი ფსიქიკური აქტივობაა და ვერ მიეწერება სოციალური სტრუქტურის ელემენტს (ინსტიტუტს).

---

[4] დარწმუნებულობისა და ნდობის ურთიერთმიმართების (ურთიერთჩანაცვლების) საკითხი, ნიკლას ლუჰმანის თეორიულ კონსტრუქტში (Luhmann, 1988), პოლიტიკურ სიბრტყეზე საკმაოდ ბუნდოვანია: ლუჰმანი აღნიშნავს რომ ნდობა თანამედროვე კონტექსტში ვიტალურია ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, თუმცა მონაწილეობა ისეთ ფუნქციონალურ სისტემებში, როგორიცაა ეკონომიკა და პოლიტიკა ტოვებს ინტერპერსონალური ურთიერთობის არეალს და ის მოითხოვს არა ნდობას, არამედ დარწმუნებულობას (confidence). თუმცა, როდესაც ავტორი საუბრობს ნდობისა და დარწმუნებულობის ურთიერთჩანაცვლების მექანიზმებზე, მკაფიოდ მიუთითებს რომ არჩევნები შესაძლოა იყოს ის ინსტრუმენტი, რომელიც გარკვეული ხარისხით პოლიტიკურ დარწმუნებულობას პოლიტიკურ ნდობად აკონვერტირებს (სულ მცირე მაშინ, თუ კი შენი პარტია იმარჯვებს).

გამოსავალი ამ დილემიდან შეიძლება ორგვარი იყოს: პირველი მიდგომით შეიძლება ინსტიტუტციური ნდობა ჩავანაცვლოთ დარწმუნებულობის (confidence) ტერმინით, რაც ხშირი პრაქტიკაა სოციოლოგიურ გამოკითხვებში: ინსტიტუციური ნდობა, როგორც წესი გაზომილია ისტუტუტებისადმი დარწმუნებულობის საზომი დებულებებით (მაგალითად WVS კითხვარებაში);

მეორე მიდგომა ემყარება დაშვებას, რომ ნდობის სუბიექტის აღქმაში ნდობის ობიექტი ინსტიტუტები ან მთლიანად პოლიტიკური სისტემა, ერთგვარ ადამიანურ სახეს იძენს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება ინსტიტუტების ანტროფომორფიზაცია და შესაბამისად ინსტიტუტი აღმქმელის (მიმნდობის) პერსპექტივიდან იძენს ადამიანისთვის დამახასიათებელ თვისებას, მათ შორის განიზრახოს და კეთილსინდისერად იმოქმედოს (მაგ.: Bradford, Jackson, & Hough, 2018).

სტომპკაც (Sztompka, 1999), განიხილავს რა ინსტიტუტებს, როგორც ნდობის ობიექტს, იქვე მიუთითებს, რომ საბოლოოდ ინსტიტუციური ნდობა მასში შემავალი ინდივიდების ნდობაზე დაიყვანება, რაც ვფიქრობ თეორიული პერსპექტივიდან არასწორი დაშვებაა.

რაც შეეხება ნდობის ობიექტში პოლიტიკოსის მოაზრებას, ჰალმბურგერი და კოლეგები გვთავაზობენ, მაიერის (1995) კონცეფციაზე დაფუძნებულ დეფინიციას: *„ნდობას პოლიტიკოსის (პოლიტიკოსების) მიმართ, განვსაზღვრავთ როგორც, მოქალაქის ან ამომრჩევლის (მიმნდობის) მზაობას, იყოს მოწყვლადი პოლიტიკოსის (პოლიტიკოსების)(მისანდობის) ქმედებების მიმართ, იმ მოლოდინზე დაფუძნებით, რომ ეს პოლიტიკოსი (პოლიტიკოსები) შეასრულებენ კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც მნიშვნელოვანია მოქალაქისთვის/ამომრჩევლისთვის, მიუხედავად იმის ამომრჩეველს აქვს თუ არა საშუალება მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს ამ პოლიტიკოს (პოლიტიკოსებს) [Halmburger, et al., 2019, p 238].*

რომ შევაჯამოთ პოლიტიკური ნდობა წარმოადგენს ნდობის სპეციფიკურ ფორმას, რომელშიც დაზუსტებულია მიმნდობისა და მისანდობის პოლიტიკური აგენტობა. შესაბამისად ჰორიზონტალური (ინტეპერსონალური) ნდობისგან განსხვავებით, პოლიტიკური ნდობა პოლიტიკურ სისტემაში ფუნქციონირებს, როგორც მოქალაქესა და პოლიტიკურ ელიტას შორის, ვერტიკალური ინტერაქციის მდგენელი, სადაც

ნდობა, როგორც მზაობის მდგომარეობა მიენდო პოლიტიკოს(ებ)ს, განხილულია მოლოდინის ერთგვარ ფუნქციად, ხოლო მოლოდინი რომ პოლიტიკოს(ებ)ი განიზრახავენ და მომავალში მოქალაქისთვის ღირებულ ქმედებას განახორციელებენ, დაფუძნებულია მისნადობის რწმენებზე, რომელთა შინაარს პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა წარმოადგენს; ეს რწმენები კი თავის მხრივ მწირი და არასრულყოფილია, რაც საფუძველია ერთგვარი ბრმა ნდობის. ბრმა ნდობა თავისთავად გულისხმობს, კონტროლისა და მონიტორინგის რესურსის სიმცირესა და შესაბამისად რისკისა და მოწყვლადობის მაღალ ხარისხს. და როგორც იამაგიში აღნიშნავს, *„თუ კი არ არსებობს ნდობის მანერით განხორციელებულ ქცევაში რისკი, მაშინ ეს მოქმედება სულაც არ მოიცავს ნდობას“ [Yamagishi, 1998, p. 34].*

2. მეორე ნაწილი: თეორიული მოდელი და საკვლევი საკითხის დასმა

პოლიტიკურ სისტემაში შემავალი აგენტების ურთიერთქმედება და ამ ინტერაქციის ანალიზი, ნახევარ საუკუნეზე მეტია აქტუალობას არ კარგავს სოციალურ მეცნიერებებში. პოლიტიკურ ელიტასა და მოქალაქის ურთიერთქმედებაში ერთერთ ცენტრალურ მდგენელს/ფაქტორს სწორედ პოლიტიკური ნდობა წარმოადგენს. ნდობის ეს სპეციფიკური ფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე მოქალაქეთა პოლიტიკური ქცევის ფორმირებაში, რაც თავის მხრივ (როგორც ნაშრომის წინა თავში უკვე აღვნიშნეთ) ვიტალურ ფუნქციას ასრულებს დემოკრატიული სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის. თუმცა მთავარ პრობლემად და გამოწვევად კვლავაც რჩება პოლიტიკური ნდობის, როგორც ფსიქოლოგიური წარმონაქმნის, შედარებით ზუსტი კონცეპტუალიზაცია და სამეცნიერო წრეებში მეტნაკლებად კონსესუალური პოზიციის დაფიქსირება თუ რას გულისხმობს თავად პოლიტიკური ნდობა. ნდობის რაობის ბუნდოვანება და შესაბამისად კვლევებში მისი არაერთგვაროვანი ოპერაციონალიზაცია, პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკურ ნდობასა და სხვა მნიშვნელოვან ცვლადებს შორის კავშირების განსხვავებულ შედეგებთან. განსხვავებული ემპირიული შედეგები, თავის მხრივ განსხვავებული ინტერპრეტაციების სივრცეებს ტოვებს აკადემიურ წრეებში, რაც შესაძლოა პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობას აკნინებდეს.

ემპირულ კვლევებში პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალიზაციაში ძირითადად სამ პოზიციას ვხვდებით და ცნების ოპერაციონალიზაციაც (იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად) ამ სამ ხედვას ეყრდნობა (აღნიშნული დისკუსიის უფრო ფართო განხილვა იხილეთ Seyd (2016); ასევე McEvily & Tortoriello (2011)). ***პირველი*** პოზიცია ნდობას განიხილავს, როგორც ბიჰევიორალურ წარმონაქმნს, რომლის ოპერაციონალიზაციას სწორედ ქცევითი გამოვლინებებით ფორმირდება. პოლიტიკური ნდობის კონცეპტულაციაზაციაში; ***მეორე*** პოზიცია რწმენის (belief) ფენომენის აყენებს ცენტრალურ ადგილზე; ხოლო ***მესამე*** პოზიცია აქცენტს აკეთებს, (შეიძლება ითქვას) ამ ორ პოზიციის შუაში მდგომ ფენომენზე, მზაობის მდგომარეობაზე (რაც არც თუ ისე იშვიათად არტიკულირებულია, როგორც

განზრახვა). მოცემულ ნაშრომში პოლიტიკური ნდობის ფენომენის გააზრება სწორედ ამ უკანასკნელი პოზიციის პათოსს ატარებს.

2.1 პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელი და ფსიქოლოგიური კონცეპტუალიზაცია

ნდობის ფენომენის თეორიული ანალიზიდან გამომდინარე (რომელიც ნაშრომის პირველ ნაწილშია აღწერილი), მოცემულ ნაშრომში პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალიზაცია ეყრდნობა დაშვებას, რომ ნდობა წარმოადგენს პოლიტიკური ქცევის ჰიპოთეტურ ლატენტურ ცვლადს, რომელიც ვლინდება, როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ნდობა გააზრებულია, როგორც რისკის შემცველი ქცევისთვის მზაობის მდგომარეობა და ამ დაშვებით ხაზსს ვუსვამთ, რომ პოლიტიკური ნდობა არა რისკიან ქცევას, არამედ ამ ქცევისთვის მზაობას გულისხმობს, შესაბამისად ვემიჯნებით პოზიციას, რომ პოლიტიკური ნდობა ბიჰევიორალური, დაკვირვებადი ქცევაა. პოლიტიკური ნდობა, როგორც ქცევის მზაობა, თავის თავში ატარებს (ან/და ეფუძნება) მოქალაქის მოლოდინის მდგომარეობას პოლიტიკური ელიტის სამომავლო ქცევითი განზრახვების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ქცევითი განზრახვა ექსკლუზიურად ფსიქიკური ფენომენია, მოცემულ ნაშრომში პოლიტიკური ნდობის ოპერაციონალიზაცია ნდობის ობიექტს შემოსაზღვრავს მხოლოდ პოლიტიკური აგენტებით (მოქმედი პოლიტიკოსებით) და შემოთავაზებული მოდელის მიღმა ტოვებს პოლიტიკურ ნდობაში (ფართოდ გავრცელებულ კონცეპტებში) ნაგულისხმევ პოლიტიკურ ინსტიტუტებს; მიგვაჩნია რა, რომ ინსტიტუტი წარმოადგენს სისტემის სტრუქტურულ ელემენეტს, რომელიც გულისხმობს სტატუსების, როლების ნორმების და სხვა სოციალური ფაქტების მოწესრიგებულ, ურთიერთდამოკიდებულ სტრუქტურას და ცხადია ის არ დაყვანება მასში შემავალ ინდივიდებზე, შესაბამისად განზრახვის მიწერა სტრუქტულ წარმონაქმნზე, ნაშრომის თეორიულ ანალიზში ფსიქოლოგიურ უზუსტობას წარმოადგენს.

თავის მხრივ პოლიტიკურ აგენტში, მოვიაზრებთ მოქმედ პოლიტიკოს(ებ)ს, რომელიც, ამჟამად ან წარსულში პირდაპირ ან ირიბად აღჭურვილია (ან იყო) მოქალაქეთა

ლეგიტიმაციით პოლიტიკური სისტემის რომელიმე ინსტიტუტში. ამ პოზიციით მივუთითებთ ნდობის ობიექტში პოლიტიკური ელიტის მდგენელზე და თავს ვიზღვევთ ობიექტად განხილულ იქნეს რიგითი სოციალური აგენტი, რომელიც მოქალაქეთა პერცეპციაში აფილირებულია პოლიტიკურ სისტემასთან (რაც არც თუ იშვიათი პრაქტიკაა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სისტემაში).

ნაშრომის ფარგლებში, ნდობის ფენომენში ცენტრალური ადგილი უკავია მოლოდინის მდგომარეობას (სამომავლო ქცევის მზაობისთვის ენერგეტიზირებისა და ფორმირების ცენტრალურ ცვლადს): პოლიტიკურ ნდობაში მოლოდინი გულისხმობს მოქალაქის დარწმუნებულობის გარკვეულ ხარისხს, რომ პოლიტიკოსი განიზრახავს და მომავალში მიმნდობისთვის მნიშვნელოვან/ღირებულ (ამ ასპექტით ხაზს ვუსვამთ მოსალოდნელი ღირებულების თეორიით ინსპირირებულ ხედვას ნდობის ფენომენში მზაობის შესახებ) ქცევას განახორციელებს, მაშინაც კი თუ მოქალაქეს არ აქვს საკმარისი რესურსი (ცოდნა და დრო) გააკონტროლოს და მონიტორინგი გაუწიოს ამ პროცესებს. დარწმუნებულობის მაღალი ხარისხი დაკავშირებულია მომავლის ხდომილობის სუბიექტურ ალბათობასთან, რომელიც თავსი მხრივ დაფუძნებულია რწმენებზე პოლიტიკოსის აღქმულ თვისებებთან დაკავშირებით (თუ კი მოაქალაქე მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსს გააჩნია რიგი თვისებები/მახასიათებლები, ალბათობა რომ იგი ამ თვისებების კონსისტენტურად მოიქცევა მაღალია). სწორედ ამ რწმენების საფუძველზე აკეთებს მოქალაქე (მიმნდობი) პროგნოზს პოლიტიკოსის (მისანდობის) პროსპექტულ ქცევებთან დაკავშირებით. ხსენებული რწმენები, მოცემულ მოდელში აღქმული სანდოობის (trustworthiness beliefs) ფორმით ვლინდება.

პოლიტიკური აგენტების შესახებ ნაკლოვანი ობიექტური ინფორმაციისა და ამ ინფორმაციის გადამოწმების სიმწირიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება პროცესი, რომ მოქალაქემ საკუთარი მოსაზრების სიზუსტეში დარწმუნებულობის გაზრდის მიზნით, საკუთარი აღქმა პოლიტიკოსთა სანდოობის შესახებ, შეადაროს მისთვის მნიშვნელოვანი სხვის შეხედულებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სუბიექტური ალბათობის გაზრდის მიზნით მოახდინოს საკუთარ რწმენათა ვერიფიკაცია; ფიშბეინ-ეიზენის "გააზრებული მოქმედების თეორიის" მიხედვით ამას ადამიანი მნიშვნელოვანი სხვების რწმენებთან შედარებით აფასებს (Ajzen & Fishbein, 1977). ამოვდივართ რა ფესტინჯერის სოციალური შედარების

თეორიის (Festinger, 1954) პათოსიდან, პოლიტიკური ნდობის მოდელში პოლიტიკოსის სამომავლო ქცევის ზუსტი პროგნოზირებისთვის ვგულისხმობთ პოლიტიკოსის სანდოობის რწმენებს (აღქმულ თვისებებს), რომელიც გამყარებულია (დაზუსტებულია) სოციალური შედარების პროცესით. ასევე მხედველობაში გვაქვს სტომპკას (1999) პოზიცია მისანდობის რეპუტაციის შესახებ ირიბი გზებით ინფორმირებაზე, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, სტომპკა პირდაპირ მიუთითებს, რომ მისანდობის შესახებ ინფორმაცია არამხოლოდ უშუალო ინტერაქციის საფუძველზე ყალიბდება (ხშირი მოვლენაა როდესაც არასაკმარისად ვფლობთ ინფორმაციას მისანდობის წარსულ ქცევებსა თუ მახასიათებლებზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ სიბრტყეზე), არამედ სრულებით საკმარისია სანდოობის ფორმირებისთვის იმ მნიშვნელოვანი სხვების პოზიციის გაზიარება, რომელთა აზრიც მნიშვნელოვანია მიმნდობისათვის.

პოლიტკური ნდობა, ნაშრომის თეორიული პერსპექტივიდან გამომდინარე, იძულებითობის (ან მის გარკვეულ ხარისხს) ბუნებას ატარებს. მოქალაქე ვალდებულია (სხვა გამოსავალი არ აქვს, თუ არ ჩავთვლით ფაქტს, რომ თავად წამოიწყოს პოლიტიკური აქტივიზმი და უშუალოდ ჩაერთოს პოლიტიკის განხორციელბაში, დაგეგმვასა და აღსრულებაში) ენდოს პოლიტიკოსს და აქაც კი შეზღუდულია არჩევნის რაოდენობით, უწევს კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში, პოლიტკური პლურალიზმის ხარისხის გათვალისწინებით, არსებული ალტერნატივებიდან შეარჩიოს პოლიტიკოსი, რომელსაც ნდობას გამოუცხადებს. ეს ერთის მხრივ გამოწვეულია თანამედროვე პოლიტიკური სისტემების მუშაობის არსიდან გამომდინარე, სადაც სახელმწიფოს მართვა დელეგრიებულ ძალაუფლებას გულისხმობს; ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკური ნდობის იძულებითობის ბუნება რესურსების სიმწირიდან გამომდინარეობს, მოქალაქეს არ აქვს: 1) დრო რომ მუდმივად ჩართული იყოს პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებასა და აღსრულებაში (აქტრიური მოქალაქეც კი, ფრაგმენტულადაა ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც კონვენციური ასევე არაკონვენციური ფორმებით, და პოლიტიკის კეთება მისი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს არ წარმოადგენს) და 2) არ გააჩნია საკმარისი კომპეტენცია და უნარები თავად განახორციელოს პოლიტიკური აქტივობა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური საკითხების სირთულე და

მასში გარკვევის დაბალი კომპეტენცია, მოქალაქეს იძულებულს ხდის მიენდოს პოლიტიკოსს, რომელიც მის ნაცვლად იმოქმედებს, მისსავე ინტერესებს გაატარებს, მისსავე სასარგებლოდ. შესაბამისად პოლიტიკური ნდობა და მისი აუცილებლობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც მოქალაქე სწორედაც რომ ამ კომპეტენციებსაა მოკლებული. პოლიტიკური ნდობა ფუნქციურ დატვირთვას სწორედ მაშინ იძენს მოქალაქისთვის, როდესაც თავად მოქალაქე მოკლებულია იმ (ინტელექტუალურ) რესურს, რომელიც საჭირო პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნისა და განხორციელებისთვის. იამაგაში სამართლიანდ მიუთითებს (Yamagishi, 1998) რომ სწორედ იმ სიტუაციებშია ნდობა საჭირო და მნიშვნელოვანი, სადაც მაღალია განუსაზღვრელობა (ჩვენს შემთხვევაში რესურსების ნაკლებობა, რომ განუსაზღვრელობა შეამცირო) და პირიქით, იქ საადაც არ არსეობობს განუსაზღვრელობა შესაბამისად ნდობასაც ადგილი არ აქვს.

და ბოლოს, ვეყრდნობით რა ნდობის ზოგად თეორიულ კონსტრუქტს, მნიშვნელოვანია პოლიტკური ნდობის ფენომენში მივუთითოთ მიმნდობლობის ელემენტი. პოლიტიკური აგენტის აღქმული სანდოობა, აღმქმელის პიროვნულ კონსტიტუციაზეა დამოკიდებული; რამდენად მიმდნობია მოქალაქე, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად მიდრეკილია ნდობისკენ, რამდენად გააჩნია მინდობის ტენდენცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური ელიტის სანდოდ აღქმის პროცესზე. მიმნდობლობას ან/და ნდობისკენ მიდრეკილებას ვინტერპრეტირებთ, როგორც პოლიტიკური ნდობის პიროვნულ განზომილებას, რომელიც ამ მოდიელის მიღმა დაცლილია პოლიტიკური კონტექსტისგან და მოქალაქეები შეიძლება განსხვავდებოდნენ ამ აღნიშნული ქარაქტეროლოგიური ნიშნით. შესაბამისად პიროვნების გენერალური ნდობა (Yamagishi 1998; Yamagishi & Yamagishi, 1994), ნდობისკენ მიდრეკილება (propensity (Mayer et el., 1995)), ან პიროვნების ტენდენცია იყოს მიმნდობი პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალიზაციაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

რომ შევაჯამოთ, პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალიზაცია მოცემულ ნაშრომში განხილულია, როგორც მოქალაქის მზაობის მდგომარეობა, გასწიოს რისკი მიენდოს პოლიტიკოს(ებ)ს. ეს ფენომენი გააზრებულია როგორც კომპოზიტური წარმონაქმნი ფსიქიკურ დონეზე და ოთხ ელემენტს (ფაქტორს) აერთიანებს (იხ. სურათი N2):

სურათი N2: ნდობის კომპოზიტური სტრუქტურა



- პოლიტიკური აქტორის საანდოობა (trustworthiness): მოქალაქის მიერ აღქმული თვისებების ერთიანობა, რომელიც აღიარებულ სამ კომპონენტურ მოდელს (Mayer et el, 1995) ეყრდნობა, კერძოდ: *კომპეტენცია*- აღქმა, რომ პოლიტიკოსები რელევანტური ცოდნისა და უნარების მატარებელნი არიან; *მზრუნველობა* - ალტრუისტული, მოქალაქეზე ორიენტირებული ნიშან-თვისებების განზომილება; და *პატიოსნება* - მორალური, ეთიკური სტანდარტების დაცვა და მიყოლა.
- მოქალაქის მიმნდობლობა (trustfulness): პიროვნების ტენდენცია მიენდოს სხვას. ოპერაციონალიზებულია როგორც იამაგიშის (Yamagishi & Yamagishi, 1994) გენერალური ნდობა.
- მოქალაქის სოციალური შედარების განზომილება: სანდოობის რწმენის სიზუსტის ვერიფიკაცია, მნშივნელოვანი სხვების მიერ პოლიტიკოსთა აღქმულ სანდოობასთან, რის საფუძველზეც დარწმუნებულობის ხარისხი იზრდება.
- და ბოლოს პოლიტიკის სფეროში თვით-ეფექტურობა: პოლიტიკური ნდობის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალიზირდება მაშინ, როდესაც მოქალაქეს არ გააჩნია საკმარისი რესურსი თავად წამოიწყოს აქტივობა. შესაბამისად

პოლიტიკური საკითხების არ ცოდნა ან მათში გარკვევის სირთულე, ის მნიშვნელოვანი ელემენტია რის საფუძველზეც მოქალაქეს უწევს პოლიტიკური ნდობის მოქმედებაში მოყვანა და ნდობა ფუნქციურ დატვირთვას იძენს.

რაც შეეხება პოლიტიკური ნდობის დეფინიცირებას, ამ მხრივ ვეყრდნობით დარგში აღიარებულ მაიერისეულ (1995) პოზიციას და ვიყენებთ მის პოლიტიკური ინტერპრეტაციის (Halmburger, et al., 2019) დაზუსტებულ ვერსიას:

პოლიტიკური ნდობა წარმოადგენს მოქალაქის მზაობის მდგომარეობას, გასწიოს რისკი და იყოს მოწყვლადი პოლიტიკოსების განზრახვების მიმართ, იმ მოლოდინით, რომ პოლიტიკოსები შეასრულებენ კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც მნიშვნელოვანი და ღირებულია მოქალაქისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეს არ აქვს საკმარისი რესურს(ებ)ი მონიტორინგი გაუწიოს და აკონტროლოს მათი ქმედებები.

2.2. საკვლევი კითხვა, მიზანი და ამოცანები

მოცეული კვლევის მთავარ კითხვას წარმოადგენს, თუ რამდენად ვალიდურია ზემოთ აღწერილი პოლიტიკური ნდობის თეორიული კონსტრუქტი და შესაბამისად კვლევის ცენტრალურ მიზანსაც, სწორედ მოდელის ემპირიული გადამოწმება წარმოადგენს. ამ მიზნის შესასრულებლად დავისახეთ რამდენიმე ამოცანა. პირველ რიგში სანდო და ვალიდური ინსტრუმენტების ფორმირება / ვალიდიზაცია (კერძოდ: პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის, როგორც პოლიტიკური ნდობის მთავარი დეტერმინანტის, გამართული საზომი სკალის შექმნა და ვალიდიზაცია; ასევე მიმნდობლობის ფაქტორის ოპერაციონალიზაცია იამაგიშის (Yamagishi & Yamagishi, 1994) გენერალური ნდობის 6 დებულებიანი ინსტრუმენტით და ქართულ აკადემიურ სივრცეში უკვე ადაპტირებული ინსტრუმენტის სანდოობის და ვალიდობის გადამოწმება; და ბოლოს, მოდელში ნაგულისხმევი დანარჩენი ორი ფაქტორის თითოგანზომილებიანი ინსტრუმენტების ფსიქომეტრული გამართვა და თეორიული კონსტრუქტის გათვალისწინებითა და სანდო და ვალიდური მონაცემების გამოყენებით, შემოთავაზებული მოდელის სტატისტიკური შემოწმება.

თეორიული დაშვებებისა და შემოთავაზებული მოდელის ლოგიკის გათვალისწინებით ვვარაუდობთ რომ:

H1: ნდობის კომპოზიტური მოდელი, ოთხი მდგენელით, სტატისტიკურად გამართულია;

H1.1: პოლიტიკური ნდობის სტატისტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტი აღქმული სანდოობაა.

H1.2: პოლიტიკური სანდოობაა პოზიტიურად მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული:

H1.2.1: მოქალაქის მიმნდობლობასთან;

H1.2.2: პოლიტიკურ საკითხებში გარკვევის სირთულეებთან და

H1.2.3: მნიშვნელოვანი სხვის მიერ პოლიტიკოსთა აღქმულ სანდოობასთან.

3. მესამე ნაწილი: კვლევის მეთოდოლოგია

პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელის ემპირიული დადასტურებისთვის კვლევის დიზაინად შერჩეულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია. მონაცემები შეგროვდა თვითადმინისტრირებადი, ონლაინ გამოკითხვის მეთოდით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კლვევის დიზაინში შერჩევის სპეციფიკურობა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, შესაბამისად კვლევის ეთიკის შეზღუდვებიდან გამომდინარე, მხოლოდ სრულწლოვნობის ჩამკეტით შემოვიფარგლეთ. შესაბამისად, მოცემულ კვლევაში შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ 18 წელს მიღწეულ, ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს. რესპონდენტები გენერირდა ონლაინ ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდით და კვლევის ინსტრუმენტები (კითხვარი) მიეწოდა ციფრული მედიუმით (გამოყენებულ იქნა „Google Form“ პლატფორმა). კვლევის ონლაინ ფორმატის კითხვარი რესპონდენტებს დაეგზავნათ რამდენიმე ასისტეტის საშუალებით. კონფიდენციალობის გარანტირებისა და სხვა ეთიკური სტანდარტის გათვალისწინებით, კითხვარს თან ერთვოდა ინფორმირებული თანხმობის შემდეგი ტექსტი:

წინამდებარე კვლევის მიზანია პოლიტიკურ დამოკიდებულებათა საკვლევი ინსტრუმენტის ქართულ პოპულაციაზე ადაპტაცია. კვლევაში თქვენი მონაწილეობა კითხვარის ფსიქომეტრული მახასიათებლების დახვეწაში დაგვეხმარება.

პოლიტიკურ დამოკიდებულებათა საკვლევი კითხვარი შედგება დებულებებისგან, რომელიც ზომავს პოლიტიკურ განწყობებს. მოცემულ კითხვებზე არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები. ნებისმიერი თქვენი პასუხი მისაღებია, რომელსაც მიიჩნევთ სწორად თქვენს პოლიტიკურ შეფასებებთან მიმართებაში. ამიტომაც, გთხოვთ, უპასუხოთ გულწრფელად.

კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ დაახლოებით 15-20 წუთი. კითხვარის შევსებით კი თანხმდებით კვლევაში მონაწილეობაზე.

თქვენ მიერ გაცემული პასუხები ნებაყოფლობითი, ანონიმური და კონფიდენციალურია. კვლევის მონაცემები შენახული იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტში და შემდგომ გამოყენებული იქნება

სადისერტაციო ნაშრომისთვის. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვმართოთ ელექტრონულ მისამართზე erekle.maglakelidze@tsu.ge
მადლობას გიხდით თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის!

კვლევის საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2023 წლის თებერვალი - მარტის თვეებში. კვლევაში ჯამში მონაწილეობა მიიღო 222 -მა საქართველოს სრულწლოვანმა მოქალაქემ.

მიღებული რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისთვის გამოვიყენეთ სტატისტიკური დამუშავების IBM პროგრამები: „SPSS 23“ და „AMOS 19“.

3.1. საკვლევი ინსტრუმენტები და მათი მოსამზადებელი პროცედურები

კვლევისთვის შემუშავდა კითხვარი, რომელიც შედგება 3 ბლოკისგან:

პირველი ბლოკი დემოგრაფიულ ნაწილს ეთმობა და მოიცავს ისეთ დემოგრაფიულ განზომილებებს როგრიცა: სქესი, ასაკი, დასაქმების სტატუსი, განათლების დონე, ოჯახის ეკონომიკური მდგომარობა და დაოჯახების სტატუსი;

მეორე ბლოკი აერთიანებს პოლიტიკური დამოკიდებულებების და აქტივობების საზომ ერთ განზომილებიან დებულებებს მათ შორის: პოლიტიკური საკითხებზე ინფორმაციის გაცნობისა და განხილვის სიხშირეები, პოლტიკური აქტივობის თვითშეფასება, პოლიტიკის გაგების სირთულე, პოლიტიკურ საკითხებში გათვითცნობიერებულობა, არჩევნებში მონაწილეობის მიღების მზაობა, პატერნალიზმის საზომი დებულება და სხვა.

და ბოლოს, *მესამე ბლოკი* შედგება ნდობის (სანდოობის) საზომი ინსტრუმენტებისგან, მათ შორის:

1. ერთი დებულებით გაზომილი პოლიტიკური აგენტებისადმი ნდობის კითხვა, ფასდებოდა 10 ქულიან სკალაზე (1 სრულიად არ ვენდობი; 10 სრულიად ვენდობი);

2. ერთი დებულებით გაზომილი პოლიტიკოსების სანდოობა, ფასდებოდა 7 ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე (1 სრულიად არ ვეთანხმები - 7 სრულიად ვეთანხმები რომ პოლიტიკოსები სანდოები არიან);

3. პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა: 9 პოლიტიკური ინსტიტუტი ფასდებოდა 7 ქულიან სკალაზე (1 სრულიად არ ვენდობი; 7 სრულიად ვენდობი);

4. სოციალური შედარების გასაზომად გამოყენებულ იქნა ერთი დებულება: მნიშვნელოვანი სხვა რამდენად სანდოდ მიიჩნევს პოლიტიკოსებს, გაზომილ იქნა 7 ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე.

5. გენერალური ნდობის, როგორც დისპოზიცური წარმონაქმნის გასაზომად და ოპერაციონალიზაციისთვის შეირჩა იამაგიშის ნდობის სკალა (Yamagishi & Yamagishi, 1994), რომელიც შედგება 6 დებულებისგან, თითოეული ფასება 5 ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე. (1 სრულიად არ ვეთანხმები - 5 სრულიად ვეთანხმები)

6. და ბოლოს, პოლიტიკოსთა სანდოობის საზომი კითხვები. ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა სეიდის მიერ (Seyd, 2016) შემოთავზებული დებულებები, რომლებსაც არ გაუვლიათ ფსიქომეტრული ვალიდიზაცია და ავტორის მიერ გაცემული ნებართვით, (გარკვეული მოდიფიკაციით) პირველად იქნა გამოყენებული მოცემულ ემპირიულ კვლევაში.

3.2. სანდოობის ინსტრუმენტის ვალიდიზაცია

კვლევის ერთერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს პოლიტიკური აქტორის სანდოობის ინსტრუმენტის შექმნა/ვალიდიზაცია. სკალის დებულებებად შერჩეულ იქნა სეიდის (2016) თეორიულ კონსტრუქტში შექმნილი და გენერირებული დებულებები (სულ 27 დებულება); მოცემული დებულებები მოკლებულია ემპირიულ ვალიდობას და მხოლოდ ავტორის მიერაა ორგანიზებული (გააჩნია მხოლოდ შინაარსობრივი ვალიდობა, რაც ასევე საჭიროებს გადამოწმებას).

ავტორის მიერ დებულებები ფორმულირებულია ნდობის, როგორც მრავალ განზომილებიანი კონსტრუქტის გასაზომი დებულებები. ნდობა/სანდოობა ავტორის

თეორიულ კონსტრუქტში წარმოდგენილია, როგორც რწმენების ერთობლიობა, რომელიც ერთის მხრივ გულისხმობს რწმენებს ნდობის შინაარსზე (კონტენტზე) და ასევე ამ შინაარსის გამომწვევ მიზეზებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დებულებები აღწერს როგორც პოლიტიკოსის თვისებას, მახასიათებელს, ქცევის რეპერტუარს, ასევე დებულებებს ამ მახასიათებელთა სარწმუნოობის შესახებ. მაგალითად დებულება *„ზოგადად პოლიტიკოსებმა იციან, რასაც აკეთებენ“* ზომავს რწმენას პოლიტიკოსის კომპეტენტურობის შესახებ, ხოლო დებულება: *„არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პოლიტიკოსები კარგ მომზადებას გადიან“,* ასევე კომპეტენტურობას ზომავს, თუმცა არა როგორც რწმენას თვისების შესახებ, არამედ რწმენას ამ თვისების (კომპეტენტურობის) მიზეზის შესახებ.

ამგვარად ავტორის მიერ შემოთავაზებული დებულებები, სრულად ერგება მოცემულ ნაშრომში სანდოობის კონცეპტუალიზაციას, შესაბამისად საჭიროებას აღარ წარმოადგენდა ახალი დებულებების გენერირება და არსებული წყარო გამოვიყენეთ როგორც დებულებების ბანკი, ან აითემების რეზერვუარი (pool of items), სანდოობის სკალის შემდგომი ფორმირებისთვის.

3.2.1. დებულებების თარგმნის პროცედურა

ვალიდიზაციის პირველ ეტაპზე მოპოვებულ იქნა ავტორის სრული, წერილობით, თანხმობა ინსტრუმენტის მოდიფიკაციისა და შემდგომი ვალიდიზაციისთვის.

ორი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ დებულებები ითარგმნა ქართულ ენაზე. დადარდა თარგმანები ერთმანეთს, სრული ან მაღალი სემანტიკური თანხვედრის შემთხვევაში შენარჩუნდა დებულებები, ნაწილი მოდიფიცირდა. ამის შემდგომ დებულებები გადაეგზავნა დამოუკიდებელ ფილოლოგს, სტილისტური და სხვა ლინგვისტური დახვეწის მიზნით, ფილოლოგის შერსულებული სამუშაოს შემდგომ, კვლავ მოხდა დებულებების რევიზია. მას შემდგომ რაც მისაღები აღმოჩნდა დებულებების გამართულობა, ქართული ინსტრუმენტი მიეწოდა ორ დამოუკიდებელ მთარგმნელს უკუთარგმნისთვის. ექსპერტის შეფასებით, უკუთარგმანი სრულ სემანტიკურ თანხმობაში აღმოჩნდა ორიგინალ დებულებებთან, რის შემდგომაც

ინსტრუმენტი მიეწოდა დარგის (ფსიქოლოგიის) წარმომადგენლებს, ექსპერტული შეფასებისთვის. ექსპერტული შეფასების საფუძველზე ნაწილი დებულების შინაარსობლივი ვალიდობა ეჭვქვეშ დადგა და ემპირიული გადამოწმების შემდგომ, დადასტურდა მათი ინსტრუმენტიდან ამოღების აუცილებლობა.

სკალაში შემავალი დებულებები ფასდება 7 ქულიან ლაიკერტის ტიპის შკალაზე (1 სრულიად არ ვეთანხმები; 7 სრულიად ვეთანხმები). რამდენიმე დებულება ფორმულირებულია ნეგატიური შინაარსით და საჭიროებს რევერსირებას.

ინსტრუმენტის მრავალგანზომილობის თეორიული დაშვება, თავიდან შემოწმდა პირველადი კომპონენტების ანალიზის მეშვეობით (PCA), ხოლო შემდგომ ლოგიკური მოდიფიკაციების გათვალისწინებით შესრულდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი (CFA), სკალის კონსტრუქტული ვალიდობის დასადასტურებლად.

3.2.2. ფაქტორული ანალიზი: EFA (PCA) და CFA

სეიდი (2016) გვთავაზობს 27 დებულებას, რომელიც ზომავს რწმენებს პოლიტიკური აგენტის სანდოობასთან დაკავშირებით. 2 დებულება ანალიზის პირველივე ეტაპზე ამოღებულ იქნა იმ მარტივი დაშვებით, რომ კონკრეტული 2 დებულება ზომავდა არა პოლიტიკოსის, არამედ ინსტიტუტის სანდოობას. 25 დებულებიდან 8 დებულება, ექსპერტული რეკომენდაციებით, წარმოადგენდა ორაზროვან, დამაბნეველ დებულებებს, რაც გათვალისწინებულ იქნა და შედეგად სტატისტიკურ ანალიზში (**PCA**) შეყვანილ იქნა სულ 17 ინდიკატორი.

პოლიტიკოსთა სანდოობის საზომ 17 დებულებაზე ჩატარდა პირველადი კომპონენტების ანალიზი. ბრუნვის მეთოდად შეირჩა ობლიმინი, კაიზერის ნორმალიზაცის მეთოდით, დებულებების ურთიერთ კორელაციიდან და ერთი ზოგადი ცვლადის ქვეფაქტორებად გააზრებიდან გამომდინარე.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა ფაქტორებად დაყოფისა და მოდელის გამართულობის სტატისტიკური სანდოობა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ბარტლეტის ტესტის დონე ($\chi^2(136)=1306$, $p<.001$), ხოლო KMO ინდექსი უჩვენებს .84, რაც დასაშვებ მაჩვენებელს (.06) სცდება. გაბნევის ბადე მიუთითებს ინსტრუმენტის 3

ფაქტორად დაყოფის შესაძლებლობაზე, რაც თანხვედრაშია მაიერის (1995) შემოთავაზებულ თეორიულ კონსტრუქტთან. აღნიშნული სტატისტიკა და დებულებების ფაქტორული დაჯგუფება (მცირედი ცდომილებით, კერძოდ ორი დებულების ალოგიკური გადანაწილებით) ასახავს სანდოობაში კომპეტენტურობის, მზრუნველობისა და პატიოსნების განზომილებებს.

ცხრილი N2. სანდოობის ინსტრუმენტის ფაქტორული ანალიზი PCA

	Pattern Matrix		
	1	2	3
6.ზოგადად პოლიტიკოსებმა იციან, რასაც აკეთებენ	**.755**		.106
5.ჩვეულებრივ პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ დაეხმარონ თავიანთ ამომრჩევლებს	**.708**		
1.პოლიტიკოსები ცდილობენ თავიანთი დანაპირების შესრულებას	**.691**		
9.პოლიტიკოსები ზოგადად კომპეტენტურები არიან	**.686**		-.156
7.თუ პოლიტიკოსი ამომრჩევლისთვის მიცემულ პირობას არ ასრულებს, ამისთვის ისჯება კიდეც არჩევნების დროს	**.598**		
2.არჩევნებში მხოლოდ ის პოლიტიკოსები იმარჯვებენ, რომლებსაც შეუძლიათ ხალხს დაანახონ, რომ მათი გასაჭირი აღელვებთ	**.528**		
21.მთავრობების წარმომადგენლები ფლანგავენ უამრავ სახელმწიფო ფულს		**.815**	
25.პოლიტიკოსები სიხარულით იძლევიან დაპირებებს არჩევნებისას, თუმცა, შემდეგ ეს დაპირებები ავიწყდებათ		**.775**	
19.მთავრობის წარმომადგენლები ამახინჯებენ ხოლმე ფაქტებს, რათა მათ მიერ გატარებული პოლიტიკა უკეთესად წარმოაჩინონ		**.764**	
8.საკმარისად არ კონტროლდება, თუ როგორ ხარჯავენ მინისტრები სახელმწიფო სახსრებს		**.662**	
4.პოლიტიკოსები თავიანთ ინტერესებზე უფრო მეტად ზრუნავენ, ვიდრე ხალხის დახმარებაზე		**.658**	
18.პოლიტიკოსები, ძირითადად, სიმართლეს ამბობენ		-.552	-.374
15.პოლიტიკოსები მუდმივად იცვლიან აზრს		.481	-.462

26.პოლიტიკური პარტიები უზრუნველყოფენ იმას, რომ საარჩევნო კანდიდატებად მხოლოდ შესაბამისი უნარების მქონე ადამიანები წარადგინონ	**-.650**
24.პოლიტიკოსებმა ძირითადად არ იციან ჩვეულებრივი ხალხის პრობლემების შესახებ	**-.617**
27არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პოლიტიკოსები კარგ მომზადებას გადიან	**-.465**
17.მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე მხოლოდ საუკეთესო უნარების მქონე ადამიანები ხვდებიან	**-.454**

ექსტრაქციის მეთოდი PCA, როტაცია: Oblimin with Kaiser Normalization

დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი (CFA)

ახსნითი ფაქტორული ანალიზის შედეგად ინსტრუმეტიდან ამოღებულ იქნა ორი დებულება, რომლებიც ორ ფაქტორზე ერთდროულად მაღალი დატვირთვით გამოირჩეოდა (მე-18 და მე-15). დარჩენილი 15 დებულების ფაქტორული სტრუქტურის თეორიულ მოდელთან თანხვედრის დასადასტურებლად ჩატარდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი. ორი დებულება შინაარსობლივად გადაკვალიფიცირდა სხვა ფაქტორში, კერძოდ მე6 და მე9 დებულებები შინაარსობლივად მივაკუთნეთ კომპეტენტურობის სუბსკალას, ხოლო რამდენიმე დებულება მოდელის გამართულობიდან გამომდინარე სტატისტიკური ანალიზიდან გამოვრიცხეთ, თეორიულად გაუმართლებელი კოვარიაციების გამო სხვა ფაქტორის დებულებებთან.

საბოლოოდ დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი შესრულდა 12 დებულების საფუძველზე, რათა დაგვედასტურებინა 3 ფაქტორი (კომპეტენტურობა; მზრუნველობა და პატიოსნება) რომელიც ერთიანდება ერთ ლატენტურ ცვლადში - პოლიტიკური სანდოობა.

სტატისტიკურ კრიტერიუმად შერჩეულ იქნა maximum likelihood (ML) გადაწყვეტილება. მოდელის გლობალური მორგების მისაღებ ინდექსებად ჰუ და ბენტლერის (Hu & Bentler, 1999) რეკომენდაციით დავეყრდენით შემდეგ კრიტერიუმებს: RMSEA (≤ 0.06, 90% CI ≤ 0.06, pclose > 0.05), CFI (≥ 0.95), და TLI (≥ 0.95).

ასევე შუმახერის (Schumacker & Lomax, 2010) რეკომენდაციას კარგი მორგების ინდექსების კრიტერიუმებს: GFI (Goodness of fit index) და AGFA > .90.

სტატისტიკურმა ანალიზმა მოდელის კარგი გამართულობა აჩვენა. მოდელის მორგებულობის სტატისტიკური მაჩვნებელები შემდგენაირად გამოიყურება:

CMIN: $\chi^2(51)=56.6$ p=.275; IFI=.99 TLI=.99 CFI=.99

RMSEA[90% CI]=.022 [.00; .05] PCLOSE=.95 GFI=.96 AGFA=.94

ინსტრუმენტის 12 დებულებიანი ფაქტორული სტრუქტურა, ერთი ლატენტური ცვლადით, იხილეთ სურათში N3.

სურათი N3: პოლიტიკური სანდოობის ინსტრუმენტი: ფაქტორული სტურქტურა (CFA)



კონვერგენტული ვალიდობა

კონვერგენტული ვალიდობის დასადასტურებლად აღნიშნული ინსტრუმენტი შედარდა სანდოობის ერთ განზომილებიან საზომ ინსტრუმენტს (დეკლარირებულად რამდენად სანდოდ თვლის მოქალაქე ზოგადად პოლიტიკოსებს). ინსტრუმეტზე მიღებული პასუხების ჯამური ქულა დადებითად ძლიერად კორელირებს დეკლარირებულ პოლიტიკოსთა სანდოობასთან $r(222)=.65$ $p < .001$. რაც მიუთითებს, რომ ინსტრუმენტი ნამდვილად პოლიტიკოსთა სანდოობას ზომავს.

ინსტრუმენტის სანდოობა: შინაგანი შეთანხმებულობა

ინსტრუმენტის შინაგანი შეთანხმებულობის გასაზომად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა. სტატისტიკურმა ანალიზმა უჩვენა რომ დებულებები მაღალი შინაგანი კონსისტენტობით გამოირჩევა Cronbach's α=.81. დებულებების ჯამურ ქულასთან კორელაციის კოეფიციენტები აღემატება დასაშვებ (.3) ზღვარს თორმეტივე აითემის შემთხვევაში, რაც მიუთითებს თითოეულის მნიშვნელოვან წილს ინსტრუმენტის შინაგან კონსისტენტობაში (Pallant, 2016).

ცხრილი N3 პოლიტიკოსთა სანდოობის სკალის შინაგანი შეთანხმებულობა

სკალა და სუბსკალები	დებულებების რაოდენობა	Cronbach's Alpha
სანდოობა სრული სკალა	12	.82
კომპეტენტურობა	4	.68
მზრუნველობა	4	.71
პატიოსნება	4	.79

კომპეტენტურობის სუბ სკალა აჩვენებს ნორმაზე (.7 ზე) მცირედით დაბალ მაჩვენებელს, თუმცა არ ჩამოუვარდება .6 მაჩვენებელს რაც მისაღებია (ქვედა ზღვარია) მცირე რაოდენობის დებულებების შემთხვევაში (Pallant, 2016).

3.3. პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობისა და გენერალური ნდობის საზომი ინსტრუმენტების ფსიქომეტრული მახასიათებლები

მიმნდობლობა

მოცემული ნაშრომის თეორეტიკულ მოდელში, პოლიტიკური ნდობის ერთერთი ფაქტორი გახლავთ იამაგიშის (1994) ინსტრუმენტით ოპერაციონალიზებული გენერალური ნდობა. ინსტურმენტი შედგება 6 დებულებისგან, რომელიც ჯამში ზომავს ინდივიდს მიმნდობლობას. მოცემულ კვლევაში ინსტრუმენტმა გამოავლინა შინაგანი კონსისტენტობის დამაკმაყოფილებელი კოეფიციენტი Cronbach's α=.86.

ასევე გადამოწმდა ინსტრუმენტის ერთ ფაქტორული სტრუქტურა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზით (CFA); ინსტრუმენტის ერთ ფაქტორიანი სტრუქტურა იხილეთ სურათზე N4.

სურათი N4: იამაგიშის ნდობის სკალის ფაქტორული სტრუქტურა:



სტატისტიკური კრიტერიუმები მიუთითებს ერთფაქტორული მოდელის კარგ მორგებაზე:

CMIN: $\chi^2(9)=14.36$, p=.110; IFI=.99 TLI=.99 CFI=.99

RMSEA[90% CI]=.052 [.00; .100] PCLOSE=.421

პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა

კვლევაში გამოყენებულ იქნა 9 პოლიტიკური ინსტიტუტისადმი ნდობის დებულებები. რესპონდენტები 7 ქულიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე (1- „სრულად არ ვენდობი"; 7- „სრულად ვენდობი") აფასებდნენ საქართველოში მოქმედ შემდეგ ინსტიტუტებს: 1. ჯანდაცვის; 2. განათლების; 3. სასამართლო; 4. პარლამენტი; 5.აღმასრულებელი ხელისუფლება; 6. პრეზიდენტის ინსტიტუტი; 7. პოლიცია; 8.ადგილობრივი ხელისუფლება; და 9. პოლიტიკური პარტიები. სკალის შინაგანი კონსისტენტურობა დამაკმაყოფილებელია: Cronbach's α=.91 (9 დებულება).

პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის ინდექსის შესაქმნელად ორი პერსპექტივა გადავამოწმეთ: პირველი პერსპექტივით ინსტიტუტებისადმი ნდობა ერთ განზომილებიანი (ერთ ფაქტორული) სტრუქტურით შემოწმდა, ხოლო მეორე მოდელში გავითვალისწინეთ თეორიული დაშვება (Hooghe & Marien, 2013) ორი განზომილების შესახებ: აპარტიული ინსტიტუტების განზომილება (მაგალითად პოლიცია, სასამართლო) და პარტიული ინსტიტუტების განზომილება (მაგალითად პარლამენტი, მთავრობა, პარტიები). უნდა ითქვას, რომ ემპირიულად მეორე მოდელი (ორ განზოლებიანი) არ დასტურდება თავად მარიენის (2011; 2013) ინტერნაციონალურ კვლევებში.

მოცემულ შერჩევაზე პირველადი კომპონენტების ანალიზმა (EFA) აჩვენა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის ერთ განზომილებიანი გადაწყვეტა, (Bartlett's sphericity $\chi^2(36)= 1141$, $p < .001$, KMO=.84, eigenvalue=5.28 ხსნის ვარიაციის 58.6%-ს), მსგავსად ავტორების ემპრიული შედეგებისა, თუმცა ორივე მოდელის მორგების შესადარებლად დამატებით შესრულდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი (CFA).

ორი მოდელის მორგების კოეფიციენტი ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი N4)

ცხრილიN4: ინსტიტუტებისადმი ნდობის მოდელები - მორგების კოეფიციენტიები

მოდელები	CMIN:χ^2(df);p value	RMSEA [90% CI]	Pclose	CFI	TLI
მოდელი1(1ფაქტორით)	87.8 (27) p<.001	.101 [.078; .125]	.000	.946	.928
მოდელი2(2ფაქტორით)	79.5 (25) p<.001	.097 [.073; .121]	.001	.952	.934

df—degrees of freedom; $\chi 2$—chi-square; CFI—comparative fit index; TLI—Tucker–Lewis index; RMSEA—root mean square error of approximation; CI—confidence interval; pclose—probability value of the Close Fit-function.

სურათიN 5-6 : ინსტიტუტუტებისადმი ნდობის 2 მოდელი





დამადასტურებელმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინსტიტუციური ნდობის ორ ფაქტორიან სტრუქტურას უკეთესი მორგების ინდექსი გააჩნია ვიდრე ერთ განზომილებიან მოდელს. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ორივე შემთხვევაში არ გვაქვს კარგი მორგების ინდექსები, თუმცა მონაცემები შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც დამაკმაყოფილებელი. ორ ფაქტორიან მოდელში

ინსტიტუტები ორ ფაქტორად გადანაწილდა: პირველი ფაქტორი (აპარტიული) მოიცავს ისეთ ინსტიტუტებს როგორიცაა: განათლების სისტემა; ჯანდაცვა; სასმართლო და პოლიცია. მეორე ფაქტორი მოიცავს: პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას, ადგილობრივ მთავრობას (მერია/საკრებულო), პოლიტიკურ პარტიებსა და პრეზიდენტის ინსტიტუტს. მოდელების ფაქტორული სტრუქტურა იხილეთ სურათში N5-6.

4. მეოთხე ნაწილი: შედეგები

პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელის ემპირიული ვალიდიზაციისთვის რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, ხელმისაწვდომობის პრინციპით შეირჩა საქართველოს 222 მოქალაქე. მოცემულ თავში პირველ ეტაპზე წარდგენილია კვლევაში გამოყენებული ძირითადი ცვლადების აღწერით სტატისტიკა, შემდგომ ეტაპზე, დასკვნით სტატიტიკაში, ნაჩვენებია ცენტრალური ცვლადების ჯგუფთაშორისი განსხვავებები და რეგრესიული ანალიზი. და ბოლოს, თეორიული დაშვების ემპირიული დადასტურების მიზნით გამოყენებულ იქნა სტრუქტურული განტოლების მოდელის (SEM) მეთოდი, მიღებული შედეგები წარმოდგენილია მოცემული თავის დასკვნით ნაწილში.

4.1. აღწერითი სტატისტიკა და კორელაციური ანალიზი.

მოცემულ კვლევაში რესპონდენტთა საშუალო ასაკი 27.4 წელია (*M*=27.38; *SD*=10.25), შერჩევის 63%-ს წარმოადგენენ ქალები. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ფლობს უმაღლეს განათლებას (ბაკალავრი, მაგისტრი/მაგისტრთან გათანაბებული: 56.8%). რესპონდენტთა უმრავლესობა დედაქალაქში ცხოვრობს (77.9 პროცენტი). დემოგრაფიული მონაცემების პროცენტული განაწილება დაწვრილებით იხილეთ ცხრილში N5.

ცხრილი N5 დემოგრაფიული ცვლადების აღწერითი სტატისტიკა

დემოგრაფიული ცვლადები		შერჩევის პროცენტული განაწილება
სქესი	ქალი	63%
	კაცი	37%
განათლება	არასრული საშუალო	.5%
	საშუალო	5%
	პროფესიული	2.7%
	სტუდენტი	31.1%
	უმაღლესი (ბაკალვარი / მაგისტრი)	56.8%
	სამეცნიერო ხარისხი (PhD)	4.1%

დასახლების ტიპი	დედაქალაქი	77.9%
	სოფელი	14%
	დიდი ქალაქები	8.1%
დასაქმების სტატუსი	სრულად/ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული	57.2%
	თვითდასაქმებული	6.3%
	სტუდენტი არ მუშაობს	23.9%
	დიასახლისი არ მუშაობს	3.2%
	უმუშევარი	4.5%
	პენსიონერი	.5%
ოჯახური მდგომარეობა	არასდროს ყოფილა ქორწინებაში	69.4%
	დაქორწინებული (რელიგიური / სამოქალაქო)	12.2%
	მხოლოდ სამოქალაქო	4.1%
	მხოლოდ რელიგიური	4.1%
	პარტნიორთან თანაცხოვრება	5.4%
	განქორწინებული	2.7%
	ქვრივი	.9%
ოჯახის ეკონ. სტატუსი	ფული საკვებზე არ ყოფნის	1.8%
	ფული ტანსაცმელზე არ ყოფნის	5%
	ფული ტენქიკის შესაძენად არ ყოფნის	28.4%
	ფული ყოფნის ტექნიკის შესაძენად	32%
	ფული ყოფნის ყველაფრის შესაძენად	24.8%
	არ ვიცი/უარი პასუხზე	8.1%

რიგ დემოგრაფიულ ცვლადში პასუხები არ ჯამდება 100%ზე, გამომდინარე „არ ვიცი/უარი პასუხზე“ შესაძლო არჩევანიდან.

რესპონდენტების პოლიტიკური განწყობები, ჩართულობა და დაინტერესება რამდენიმე თვითშეფასებითი დებულებით გაიზომა. დებულებები ფასდებოდა 7 ქულიან სკალაზე (როგორც აქტივობის სიხშირეების შესაფასებლად, ასევე დებულებებზე დათანხმება/არ დათანხმების გასაზომად):

პოლიტიკური აქტივიზმის (რამდენად თვლის თავს პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქედ) თვითშეფასების საშუალო ქულაა M=2.99; SD=1.83

პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესების საშუალო მაჩვნებელია *M*=4.32; *SD*=1.88; პოლიტიკურ მოვლენებზე ინფორმაციის გაცნობისა და ახლობლებთან პოლიტიკურ საკითხებზე საუბრის სიხშირეები შემდეგნაირად გამოიყურება: *M*=4.00; *SD*=1.87 და შესაბამისად *M*=3.42; *SD*=1.75.

პატერნალიზმის გასაზომად გამოვიყენეთ დებულება დიხოტომიური დებულებებით ერთ განზომილებაზე: 1= ადამიანები ბავშვებივით არიან. მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე და 7= მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას. საშუალო ქულა პატერნალიზმის სკალაზე შემდგენაირად გამოიყურება: *M*=5.22; *SD*=1.93.

ცხრილში N6 წარმოდგენლია ცვლადების დეტალური აღწერითი სტატისტიკა:

ცხრილი N6: პოლიტიკური განწყობების, ჩართულობის, დაინტერესების აღწერითი სტატისტიკა

დებულებები	Mean	S.D.	Min / Max	Skewness	Kurtosis
პოლიტიკურად აქტიურობა	2.99	1.83	1 - 7	.571	-.739
არჩევნებში ხმის მიცემის მზაობა	5.65	1.99	1 - 7	-1.32	.343
პოლ. მოვლენებით დაინტერესება	4.32	1.89	1 - 7	.163	-.940
პოლ. მოვლენებზე ინფორმაციის გაცნობა	4.00	1.87	1 - 7	-.025	-1.04
პოლ. მოვლენების განხილვა ახლობლებთან	3.42	1.75	1 - 7	.333	-.830
პოლ. მოვლენებში გაცნობიერებულობა	2.91	1.69	1 - 7	.641	-.428
პოლ. მართველობის სირთულე / ვერ გაგება	4.79	1.62	1 - 7	-.418	-.380
პატერნალიზმი	5.22	1.93	1 - 7	-.799	-.502

(N=222)

მოქალაქეთა პოლიტიკურ პარტიებთან აფილაციის გასაზომად გამოვიყენეთ შემდეგი დებულება: საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში თუ არსებობს ისეთი პარტია ან პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც მხარს უჭერთ ან მათი შეხედულებები თქვენს

შეხედულებებთან ახლოს დგას? რესპონდენტთა თითქმის მეოთხედი მიუთითებს რომ ასეთი პარტია/გაერთიანება არის ქართულ პოლიტიკურ სისტემაში (26.6%)[5].

გენერალიზებული ნდობის გასაზომად გამოვიყენეთ ფართოდ აპრობირებული ერთ დებულებიანი საზომი: „როგორ ფიქრობთ, ზოგადად, ადამიანს შეუძლია ენდოს საქართველოში მცხოვრები ხალხის უმეტესობას, თუ პირიქით, დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ხალხთან ურთიერთობისას?“ (1-ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ხალხთან ურთიერთობისას; 10-ხალხის უმეტესობას შეუძლია, ენდოს); ცვლადის აღწერითი სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება: *M*=4.57; *SD*=2.65.

გენერალური ნდობის (Yamagishi, 1994) 6 დებულებიანი ინსტრუმენტის ჯამური ქულის საშუალო ქულაა *M*=15.77; *SD*=4.33.

პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის (9 დებულება) და პოლიტიკოსებისადმი ნდობის (1 დებულება: ზოგადად, რამდენად ენდობით საქარათველოში მოქმედ პოლიტიკოსებს? 1=სრულიად არ ვენდობი; 10= სრულიად ვენდობი) აღწერითი სტატისტიკები შემდეგნაირად გამოიყურება: პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობა- *M*=24.6 *SD*=10.41 და პოლიტიკოსებისადმი ნდობა *M*=2.55 *SD*=1.87.

პოლიტიკოსთა სანდოობის ინსტრუმენტზე მიღებული ქულების საშუალო და სტანდარტული გადახრაა *M*=30.29 *SD*=11.09. ნდობისა და სანდოობის სკალების (და სუბსაკლების) აღწერითი სტატისტიკა დეტალურად წარმოდგენილია ცრილში N7.

ცხრილი N7: ნდობისა და სანდოობის ინსტრუმენტების აღწერითი სტატისტიკა

სკალები:	N აითემები	Mean	S.D.	Min / Max	Skewness/ Kurtosis
გენერალიზებული ნდობა	1	4.57	2.65	1/10	.361/-.757
მიმნდობლობა (გენერალური ნდობა: Yamagishi, 1994)	6	15.77	4.33	6/26	-.072/-.431
პოლიტიკოსებისადმი ნდობა	1	2.55	1.87	1/10	1.54/2.52

[5] პარტიზანიზმის საზომი მსგავსი დებულება გამოყენებულია NDI/CRRC -ის კვლევებში და უკანსაკნელი ტაალღის კვლევის მონაცმები (საქართველოს რეპრეზენტატული შერჩევიდან) თითქმის მსგავსს შედეგს აჩვენებს: 2023წლის მარტის მონაცმებით მოხოლოდ 24% მიუთითებს რომ არსებობს ერთი პარტია მაინც, რომელიც მათ ინტერესს წარმოადგენს (NDI, 2023).

ინსტიტუტებისადმი ნდობა (ერთ ფაქტორიანი გადაწყვეტა)	9	24.60	10.41	9/59	.744/.294
ინსტიტუტებისადმი ნდობა: აპარტიული	4	12.59	5.04	4/28	.438/-.083
ინსტიტუტებისადმი ნდობა: პარტიული	5	12.00	5.98	5/31	.918/.331
პოლიტიკოსების აღქმული სანდოობა	12	30.29	11.09	12/65	.458/-.290
სანდოობა: აღქმული მზრუნველობა	4	10.83	4.68	4/28	.553/.586
სანდოობა: აღქმული პატიოსნება	4	8.93	5.01	4/28	.930/.231
სანდოობა: აღქმული კომპეტენტურობა	4	10.53	4.59	4/24	.636/.087

(N=222)

4.1.1. კორელაციური ანალიზი

ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულ იქნა პირსონის პროდუქტ-მომენტის კორელაციის კოეფიციენტი. წინასწარი ანალიზის საფუძველზე, შერჩევიდან ამოღებულ იქნა ხუთი შემთხვევა, რადგან ქულები მიანიშნებდნენ აუთლაიერების (საშუალოზე სამი სტანდარტული გადახრით მეტი ქულების) არსებობაზე.

ძირითად ცვლადებს შორის (ნდობისა და სანდოობის სკალები/სუბსკალები) კორელაციური კავშირები იხილეთ ცხრილიში N8.

პოლიტიკოსებისადმი ნდობა, დადებითად კორელირებს სანდოობის სკალის თითოეულ სუბსკალასთან, ასევე ძლიერი დადებითი კავშირია მთლიანი სკალის ქულებსა და პოლიტიკოსებისადმი ნდობის მაჩვენებელს შორის $r(217)=.547$, $p<.001$.

აღქმული კომპეტენტურობის, აღქმული პატოსნებისა და აღქმული მზრუნველობის კავშირი პოლიტიკოსებისადმი ნდობასთან შემდეგნაირად გამოიყურება:

- პოლიტიკოსთა სანდოობის კომპეტენტურობის განზომილება საშუალო სიძლიერით დადებითად არის დაკავშიებული პოლიტიკოსთა ნდობის ქულასთან $r(217)=.462$, $p<.001$

- მზრუნველობის კომპონენტი, სანდოობის კონსტრუქტში, ძლიერ დადებით კავშირშია პოლიტიკოსთა ნდობის ცვლადთან $r(217)=.513$, $p<.001$
- შედარებით სუსტი (თუმცა საშუალო სიძლიერის) კორელაციის კოეფიციენტი

ცხრილი N8: ცვლადებს შორის კორელაციური კავშირები

ცვლადები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1. პოლიტიკოსებისადმი ნდობა	-											
2. სანდოობა: აღქმული კომპეტენტურობა	.462**	-										
3. სანდოობა: აღქმული მზრუნველობა	.513**	.587**	-									
4. სანდოობა: აღქმული პატიოსნება	.308**	.273**	.347**	-								
5. პოლიტიკოსთა სანდოობა	.547**	.789**	.817**	.719**	-							
6. პოლიტიკოსთა სანდოობა: მნიშვნელოვანი სხვის მიერ	.545**	.583**	.538**	.391**	.647**	-						
7. პოლიტიკური ინსტიტუტები აპარტიული	.505**	.466**	.588**	.309**	.580**	.393**	-					
8. პოლიტიკური ინსტიტუტები პარტიული	.660**	.506**	.678**	.427**	.689**	.518**	.769**	-				
9. პოლიტიკური ინსტიტუტები ერთ ფაქტორად	.626**	.518**	.676**	.396**	.679**	.489**	.930**	.950**	-			
10. მიმნდობლობა (გენერალური ნდობა)	.200**	.309**	.222**	-.045	.200**	.166*	.341**	.292**	.335**	-		
11. პოლიტიკურად აქტიურობა	.286**	.153*	.086	.027	.112	.157*	.047	.153*	.111	.102	-	
12. პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესება	.206**	.153*	.169*	-.047	.112	.112	.140*	.162*	.161*	.040	.648**	-
13. პოლიტიკისა და მართველობის სირთულე და ვერ გაგება	-.051	.138*	.066	-.041	.067	-.014	.023	-.001	.011	.160*	-.195**	-.121

** $p \leq .01$, * $p \leq .05$
N=217

ფიქსირდება სანდოობის მესამე კომპონენტს, პატიოსნებასა და ნდობას შორის: $r(217)=.308$, $p<.001$

პოლიტიკოსებისადმი ნდობა სუსტი სიძლიერით დადებითად არის დაკავშრიებული გენერალურ ნდობასთან და ეს კავშირი სტატიტიკურად სანდოა $r(217)=.200$, $p<.001$; გენერალური ნდობა თავის მხრივ საშუალო სიძლიერითაა დაკავშირებული პოლიტიკოსთა აღქმულ კომპეტენტურობასთან $r(217)=.309$, $p<.001$

ინსტიტუტებისადმი ნდობა სტატისტიკურად მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული პოლიტიკოსებისადმი ნდობასთან:

- ინსტიტუტებისადმი ნდობა (ერთ ფაქტორზე) ძლიერად კორელირებს პოლიტიკოსებისადმი ნდობასთან $r(217)=.626$, $p<.001$; თუმცა მნიშვნელოვანია რომ ორ ფაქტორად წარმოდგენილი ინსტიტუციური ნდობა განსხვავებული სიძილერით უკავშირდება პოლიტიკოსებისადმი ნდობას:
- პარტიულ ინსტიტუტებისა და პოლიტიკურ ნდობას შორის კავშირის კოეფიციენტი ($r(217)=.660$, $p<.001$) აღემატება აპარტიულ ინსტიტუტებისა და პოლიტიკოსთა მიმართ ნდობის კორელაციის კოეფიციენტს ($r(217)=.505$, $p<.001$).

მნიშვნელოვანი სხვის მიერ აღქმული პოლიტიკოსთა სადნოობაა სტატისტიკურად მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული, როგორც უშუალოდ მოქალაქეთა აღქმულ პოლიტიკოსთა სანდოობსთან (დადებითი ძლიერი კავშირით) $r(217)=.647$, $p<.001$, ასევე საშუალო სიძლიერის კოეფიციენტით კორელირებს პოლიტიკოსთა მიმართ ნდობასთან $r(217)=.545$, $p<.001$

პოლიტიკისა და მმართველობის გაგების სირთულე სტატისტიკურად მნიშვნელოვნადა დაკავშირებული პოლიტიკოსთა აღქმულ კომპეტენტურობასთან, კავშირი დადებითია, თუმცა სუსტი სიძლიერის $r(217)=.138$, $p<.05$.

4.2 ჯგუფთაშორისი განსხვავება

პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა და პოლიტიკური ნდობის ცვლადები ვიკვლიეთ პარტიზანობის ცვლადის ჭრილში: *t* დამოუკიდებელი სტატისტიკური კრიტერიუმით პოლიტიკოსთა სანდოობისა და მისი კომპონენტების საშუალო ქულები შედარდა რესპონდენტთა ორ დამოუკიდებელ ჯგუფში: პირველ ჯგუფს წარმოადგენენ კვლევის მონაწილეები, რომლებიც აფიქსირებენ რომ არსებობს პოლიტიკური გაერთიანება (პარტია), რომელსაც მხარს უჭერენ ან მათ შეხედულებებთან ახლოს დგას, ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენენ პარტიული აფილაციის არ მქონე რესპონდენტები.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა რომ პოლიტიკოსებისადმი ნდობა სტატიტიკურად მნიშნველოვნად განსხვავდება პარტიული აფილიაციის მქონე (*M*=3.164, *SD*=1.92) და არ მქონე ჯგუფებში (*M*=2.136, *SD*=1.36) *t*(73)=3.67 *p*<.001 საშუალოებს შორის განსხვავების ეფექტის ზომაა Cohen's *d*=.618; Hedges' *g*=.677. მონაცემი შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც საშუალო სიძლიერის ეფექტი (Cohen, 1988).

ცხრილი N9: ნდობისა და სანდოობის ქულების სხვაობა პარტიულ და აპარტიული აფილაციის ჯგუფებში

ჯგუფები / ცვლადები	პარტიული აფილაციით		პარტიული აფილაციის გარეშე		*t*(df)	*p*	Cohen's *d*
	M	*SD*	*M*	*SD*			
პოლიტიკოსებისადმი ნდობა	3.16	1.92	2.14	1.36	*t*(73)=3.67	<.001	.618
პოლიტიკოსთა სანდოობა	32.8	11.2	28.9	10.3	*t*(215)=2.41	.017	.362
აღქმული კომპეტენტურობა	11.89	4.82	9.91	4.30	*t*(215)=2.86	.005	.434
აღქმული მზრუნველობა	12.13	4.11	10.09	4.36	*t*(215)=3.04	.003	.481
აღქმული პატიოსნება	8.82	4.52	8.87	5.08	*t*(215)=3.67	.946	-

როგორც ცხრილიდან N9 ჩანს, პოლიტიკოსთა სანდოობის ჯამური ქულა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება შესადარებელ ჯგუფებში (*t*(215)=2.41, *p* <.05), თუმცა პატიოსენების სუბსკალაზე მიღებული ქულების საშუალო მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდება პოლიტიკურად აფილირებულ (*M*=8.82, *SD*=4.52) და არააფილირებულ (*M*=8.87, *SD*=5.08) ჯგუფებში. სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება მზრუნველობისა და კომპეტენტურობის კომპონენტების საშუალო ქულები ჯგუფებს შორის.

დემოგრაფიული ცვლადების ჭრილში ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავებები არ ფიქსირდება კვლევის მნიშვნელოვან ცვლადებს შორის.

4.3. რეგრესიული ანალიზი

ჰიპოთეზებზე დაყრდნობით, წრფივი მრავლობითი რეგრესული ანალიზით (სიმულტანური და იერარქიული მეთოდით) გადამოწმდა სანდოობის კონსტრუქტის სავარაუდო პრედიქტორების ამხსნელობითი პოტენციალი; ასევე შემოწმდა პოლიტიკოსებისადმი ნდობის ქულების ვარიაბელობა სანდოობისა და სხვა დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებით, იერარქიულ მოდელზე დაყრდნობით.

სანდოობის მოდელი

კორელაციურ ანალიზზე დაყრდნობითა და რეგრესიული მოდელის აგების სხვა წინაპირობების გათვალისწინებით, შემუშავდა შემდეგი მრავლობითი რეგრესული მოდელი: დამოკიდებელ ცვლადად მოდელში შევიტანეთ 12 დებულებიანი სადნოობის ინსტრუმენტის ჯამური ქულა; ხოლო დამოუკიდებელ ცვლადებად მოდელის პირველ ეტაპზე მიმნდობლობა (გენერალური ნდობის ჯამური ქულა) და შემდგომ მნიშვნელოვან სხვათა მიერ პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა.[6]

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოდელის პირველ საფეხურზე მიმნდობლობა პოლიტიკოსთა სანდოობის სანდო პრედიქტორია $F(1, 215)=8.997$, $p<.01$ და ხსნის სანდოობის ქულათა ვარიაციის 4%-ს ($\beta=.2$, $p<.01$); თუმცა ანალიზის მეორე საფეხურზე, როდესაც მოდელს დაემატა სხვათა მიერ პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა მოდელის ჯამური ამხსნელობითი წონა გაიზარდა და 43% შედგინა ($F(2, 214)=79.97$, $p<.001$, $R^2=.428$), თუმცა გენერალური ნდობის ცვლადს დაეკარგა სტატისტიკური მნიშვნელოვნობა ($\beta=.096$, $p>.05$). მნიშვნელოვანი სხვის მიერ აღქმულ სანდოობაში ერთი სტანდარტული დევიაციის ზრდა იწვევს პოლიტიკოსთა სანდოობის ქულებში .63 სტანდარტული გადახრით გაზრდას.

[6] რეგრესიულ მოდელში არ გავითვალისწინეთ დაშვება იმის შესახებ რომ სანდოობის და ნდობის პრედიქციაში მნიშვნელოვანი წილი შეაქვს პოლიტიკური მოვლენების აღქმულ სირთულესა და ვერ გარკვევას, გამომდინარე კორელაციური კავშირის სისუსტიდან; თუმცა აღნიშნული კავშირი და მოდელის ლოგიკაში ამ ცვლადის როლი გათვალისწინებულია მოცემული თავის დასკვნით ნაწილში.

პოლიტიკოსებისადმი ნდობის მოდელი

პოლიტიკოსებისადმი ნდობის ვარიაბელობის ასახსნელად სიმულტანურ მრავლობით რეგრესიულ მოდელში დამოუკიდებელ ცვლადებად შეტანილ იქნა პოლიტიკოსთა სანდოობის, მნიშვნელოვანი სხვის მიერ აღქმული პოლიტიკოსთა სანდოობისა და გენერალური ნდობის ცვლადები. სტატისტიკურმა ანალაზიმა აჩვენა რომ მოდელი გამართულია ($F(3, 213)=41.5$, $p <.001$) და ხსნის დამოკიდებული ცვლადის ვარიაბელობის 36%-ს (R^2adj. =.36). მოდელის ახსნაში თანაბრად მნიშვნელოვანი წვლილი (β=.32, $p <.001$) შეაქვთ, როგორც მოქალაქის მიერ აღქმულ სანდოობას, ასევე სხვათა მიერ აღქმულ სანდოობას; თუმცა მიმნდობლობას როგორც დამოუკიდებლ ცვლადს სტატისტიკურად მნიშნველოვანი ამხსნელობითი წონა არ გააჩნია.

შემდეგ ეტაპზე შესრულდა მრავლობითი იერარქიული რეგრესია, რათა გვენახა სანდოობის სუბსკალებისა და ასევე სხვათა მიერ აღქმული სანდოობის უნიკალური წვლილი პოლიტიკოსებისადმი ნდობის ვარიაციის ახსნაში როდესაც მიმნდობლობა გაკონტროლებულია. მოდელების სტატისტიკა იხილეთ ცხრილში N10.

ცხრილი N10: მრავლობითი იერარქიული რეგრესია: პოლიტიკური ნდობის ორსაფეხურიანი მოდელი

ცვლადები	B	95% CI for B		SE B	β	R^2	ΔR^2
		LL	UL				
პირველი საფეხური						.04	.04**
კანსტანტა	1.23	.447	2.03	.040			
მიმნდობლობა	.07	.025	.122	.025	.20**		
მეორე საფეხური						.379	.339**
კანსტანტა	-.32	-1.06	.424	.377			
მიმნდობლობა	.025	-.017	.067	.021	.068		
სანდოობა: მზრუნველობა	.09	.039	.140	.026	.248**		
სანდოობა: პატიოსნება	.024	-.014	.063	.019	.076		
სანდოობა: კომპეტენტურობა	.031	-.020	.083	.026	.089		
სანდოობა: სხვათა მიერ აღქმული	.389	.216	.563	.088	.319**		

** $p \leq .01$, * $p \leq .05$

მოდელის პირველ საფეხურზე შეტანილ იქნა მიმნდობლობა (გენერალური ნდობა), რომელიც პოლიტიკოსთა მიმართ ნდობის სანდო პრედიქტორია და ხსნის ქულების

ვარიაციის 4%-ს, პოლიტიკოსთა სანდოობის სუბსკალებისა და მნშიშველოვანი სხვების მიერ აღქმული სანდოობის ცვლადების დამატებით (მოდელის მეორე საფეხურზე) მოდელი მთლიანობაში ხსნის ნდობის ვარიაბელობის 38%-ს (F (5, 211)=9.0, p <.001). დამატებული ცვლადები ხნის მოდელის კიდევ 34%-ს (ΔR^2=.339; F change (4, 211)=28.84, p <.001. თუმცა სტატისიკურად სანდო პრედიქტორად მხოლოდ აღქმული მზრუნველობის სუბსკალა (β=.248, p <.01) და სხვათა მიერ პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობაა (β=.319, p <.001).

4.3. პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელის სტატისტიკური ანალიზი სტრუქტრული განტოლების მოდელზე (SEM) დაყრდნობით

თეორიულ მოდელზე დაყრდნობითა და კორელაციური და წრფივი რეგრესული ანალიზის საფუძველზე შემუშავდა პოლიტიკოსებისადმი ნდობის სტრუქტურული განტოლების მოდელი. პირველ ეტაპზე შემუშავდა მოდელის ვიზუალური კონცეპტი (იხილეთ სურათი N7) რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: პოლიტიკოსთა ნდობის ცვლადს დაუკავშირდა პოლიტიკოსების სანდოობა ლატენტურ ცვლადად, რომელშიც ერთიანდება სამი კომპონენტი (პატიოსნება, მზრუნველობა და კომპეტენტურობა); პოლიტიკური სანდოობის ცვლადთან დაკავშირდა, როგორც მნიშვნელოვანი სხვების მიერ აღქმული პოლიტიკოსთა სანდოობა, ასევე მიმნდობლობა (ოპერაციონალიზებული გენერალური ნდობით). და ბოლოს, თეორიული მოდელის მეოთხე მდგენელი - პოლიტიკის გაგების სირთულე ლოგიკური დაშვებითა და სტატისტიკურ ანალიზის (სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირების) საფუძველზე, დაუკავშირდა პოლიტიკოსთა სანდოობის აღქმულ კომპეტენტურობის სუბფაქტორს.

სურათი N7: პოლიტიკური ნდობის თეორიული მოდელის ვიზუალიზაცია



მოდელის გამართულობის (უკეთ მორგების) გამოწვევის საფუძველზე, სრუქტურულ განტოლებაში რამდენიმე ცვლადს შორის დაემატა კოვარიაციული კავშირები და საბოლოოდ მოდელი ფორმირდა სურათი N8- ში წარმოდგენილი სტრუქტურით.

მოდელის გამართულობის შესაფასებლად დავეყრდენით მოდელის მორგების რამდენიმე კრიტერიუმს : CMIN: $\chi 2$—chi-square; CFI - comparative fit index; TLI - Tucker–Lewis index; RMSEA - root mean square error of approximation; GFI – goodness of fit index.

სურათი N8: პოლიტიკური ნდობის სტატისტიკური მოდელი



სტატისტიკურმა ანალიზმა მოდელის კარგი გამართულობა აჩვენა. მოდელის მორგებულობის სტატისტიკური მაჩვნებელები შემდგენაირად გამოიყურება:

CMIN: $\chi^2(12)=18.51$ p=.101, CMIN/DF = 1.542; IFI=.983 TLI=.969 CFI=.982

RMSEA[90% CI]=.050 [.00; .05] PCLOSE=.451

GFI=.977 AGFA=.946

მიღებული კოეფიციენტები აკმაყოფილებს კრიტერიუმებისთვის რეკომენდირებულ კარგი მორგების ზღვრებს.

ცხრილში N11 წარმოდგენილია მოცემული მოდელის სტანდარტიზირებული რეგრესიული წონები:

ცხრილი N11: ცვლადებს შორის მიმართების რეგრესიული წონები

ცვლადები			β	Sig (p)
პოლ. სანდოობა	←	სხვის მიერ აღქმული სანდოობა	.762	***
პოლ. სანდოობა	←	მიმნდობლობა (გენ. ნდობა)	.215	***
სანდოობა: კომპეტენტურობა	←	პოლ. სანდოობა	.738	***
სანდოობა: პატიოსნება	←	პოლ. სანდოობა	.498	***
სანდოობა: მზრუნველობა	←	პოლ. სანდოობა	.726	***
პოლიტიკოსებისადმი ნდობა	←	პოლ. სანდოობა	.664	***
სანდოობა: კომპეტენტურობა	←	პოლიტიკის გაგების სირთულე	.128	.011

*** p<.001

მოცემული მოდელის ფარგლებში პოლიტიკოსებისადმი ნდობის ქულების ვარიაბელობა იხსნება 44% ით (Squared Multiple Correlation - R^2 = .441).

5. ნაწილი მეხუთე: შედეგების ანალიზი, დასკვნები, შეჯამება

პოლიტიკური ნდობის კონცეპცია სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს იმგვარ წარმონაქმნად, რომელიც ერთი მხრივ სოციალური (და პოლიტიკური) სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ხოლო მეორე მხრივ ემპირიული კვლევებისთვის იმდენად მოუხელთებელი ცვლადია (გამომდინარე იქიდან რომ არ არსებობს ამ ცნების მეცნიერთა მხრიდან კონსესუალური კონცეპტუალიზაცია), რომ რთული ხდება ამ უაღრესად კრიტიკული როლის ერთმინიშვნელოვნად დადასტურება. ამ ერთი შეხედვით ცნების დამაკნინებელ გარემოებას (დისკრეპანციას თეორიულ ღირებულებასა და ემპირიული შედეგების ორაზროვნებას შორის), ემატება ის ფაქტიც, რომ პოლიტიკური ნდობა საგრძნობლად მოწყვლადია სოციალური და პოლიტიკური (როგორც საერთაშორისო, ასევე საშინაო) ტურბულენტობის მიმართ, რომლის დეფიციტსაც თანამედროვე პოლიტიკური სივრცე ნამდვილად არ განიცდის. საერთაშორისო კონფლიქტები, მათ შორის სამხედრო ხასიათის ინტერვენციები, გავლენას ახდენს პოლიტიკური ნდობის ვარიაბელობაზე, მაგალითად 9/11 ის მოვლენები ამერიკის შეერთებულ შტატებში, მალევე კონვერტირდა პოლიტიკური ნდობის მზარდ ტენდენციებში (Chanley, 2002). უკანასკნელ წლებში გლობალური პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა (მხედველობაშია - SARS-CoV-2, ე.წ. კორონავირუსი) თანდართული შიშითა და შეზღუდვათა პაკეტებით, გარკვეულ ეტაპზე გავლენა იქონია პოლიტიკური ნდობის ფორმირებაზე (Seyd & Bu, 2022); საქართველოშიც, პანდემიის კონტექსტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პოზიტიურ გადახრაზე პოლტიკური სისტემის შეფასებებში (Gilbreath & The Caucasus Datablog, 2020), თუმცა რამდენად კონვერტირდა პოლიტიკურ ნდობაში აღნიშნული შეფასებები, რთული სათქმელია. შიდა სახელმწიფოებრივ განზომილებაშიც, ეკონომიკური კრიზისები თუ პოლიტიკური სკანდალები სახელმწიფო ინსტიტუტების დონეზე, მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკური ნდობის დონის ცვალებადობაზე (Chanley, Rudolph & Rahn, 2000). ცვალებადობათა ეს ტენდენციები, პოლიტიკური ნდობის ემპირიულ მოხელთებას კიდევ უფრო ართულებს. ცხადია ყველა ამ და კიდევ სხვა დეტალების (და ასეთი მართლაც რომ ბევრია) სრულყოფილი ანალიზი ვერ მოხერხდებოდა ერთი ნაშრომის ფარგლებში, ამიტომ დარგის

(სოციალური ფსიქოლოგიის) სპეციფიკიდან გამომდინარე ამოცანად დავისახეთ შეგვემუშავებინა უშუალოდ პოლიტიკური ნდობის ფსიქოლგიური კონსტიტუციის თეორიული კონცეპტუალიზაცია და მის საფუძველზე გამოვკვეთეთ მიზანი - აგვეგო ისეთი მოდელი, რომელიც ემპირიულ გადამოწმებას დაქვემდებარებოდა.

ეს არის ერთგვარი მცდელობა ქართულ სოციალური ფსიქოლოგიის სკოლაში გადაიდგას პირველი მეცნიერული ნაბიჯები პოლიტიკური ნდობის ფსიქოლოგიურ პრიზმაში გასაანალიზებლად და ბიძგი მისცეს მოდელის შემდგომ დახვეწასა და ინტრედისციპლინურ კვლევებში ინკორპორირებას.

5.1. შედეგების ანალიზი

პოლიტიკური ნდობის ფსიქოლოგიური ბუნება ასახულია მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულ დეფინიციაში, რომელიც ეყრდნობა ნდობის კვლევებში აღიარებულ მაიერისეულ (Mayer et el., 1995) კონცეპციასა და მის პოლიტიკურ ექვივალენტს (Halmburger, et al., 2019), მცირედი მოდიფიკაციით: *პოლიტიკური ნდობა წარმოადგენს მოქალაქის <u>მზაობის მდგომარეობას,</u> გასწიოს რისკი და იყოს მოწყვლადი პოლიტიკოსების <u>განზრახვების</u> მიმართ, იმ მოლოდინით, რომ პოლიტიკოსები შეასრულებენ კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც მნიშვნელოვანი და <u>ღირებულია</u> მოქალაქისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეს არ აქვს საკმარისი რესურს(ებ)ი მონიტორინგი გაუწიოს და აკონტროლოს მათი ქმედებები.*

როგორც დეფინიციიდან მკაფიოდ ჩანს, ნდობაში ვგულისხმობთ მოქალაქის მზაობის მდგომარეობას, რომელიც ნაშრომში შემუშავებული თეორიული მოდელიდან გამომდინარე, წარმოადგენს კომპოზიტურ ცვლადს, ოთხი მნიშვნელოვანი მდგენელის (1. პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა; 2. მნიშვნელოვანი სხვის მიერ პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა; 3. მიმნდობლობა; და 4. პოლიტიკურ საკითხებში გარკვევის სირთულე) სპეციფიკური ურთიერთკავშირით (იხ. სურთი N7 და N8). მოცემული კვლევის ცენტრალურ ამოცანას სწორედ ამ კომპოზიტური მოდელის ემპირიული გამართულობის შემოწმება და შემდგომი დადასტურება წარმოადგენდა, რომელიც მთავარ ჰიპოთეზად (H1) ფორმირდა, სახელდობრ: თეორიულად

შემუშავებული ნდობის მოდელი კარგად ერგება ემპირიულ მონაცემებს. სანამ უშუალოდ მოდელის მორგების სტატისტიკური ანალიზის ინტერპრეტაციას შევეხებით, მნიშვნელოვანია პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის ელემენტის (როგორც მოდელის ცენტრალური ცვლადის) ოპერაციონალიზაციასა და ინსტრუმენტის ვალიდიზაციაზე შევჩერდეთ.

პოლიტიკოსთა სანდოობა წარმოადგენს მოქალაქის რწმენათა ერთობლიობას პოლიტიკოსთა იმ მნიშვნელოვან თვისებათა და მახასიათებლების შესახებ, რის საფუძველზეც, სუბიექტი პროგნოზირებს პოლიტიკოსთა სამომავლო ქცევების განზრახვის ალბათურობას (მოსალოდნელობას). პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის კონსტრუქტის ოპერაციონალიზაცია დაეფუძნა მოცემული კვლევისთვის შემუშავებულ ინსტრუმენტს, სამი განზომილებით, რწმენათა შინაარსის სამი ჯგუფით: პოლიტიკოსთა აღქმული კომპეტენტურობა, პოლიტიკოსთა აღქმული მზრუნველობა და პოლიტიკოსთა აღქმული პატიოსნება. ინსტურმენტის ვალიდიზაციის მიზნით შესრულდა ყველა ის მნიშვნელოვანი პროცედურა თუ სტატისიკური ანალიზი (იხ. სექცია 3.2) რის საფუძველზეც შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ 12 დებულებით ოპერაციონალიზებული პოლიტიკოსთა სანდოობა სანდო და ვალიდური მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა.

პოლიტიკოსთა სანდოობის ლატენტური ცვლადი (სამი კომპონენტით / განზომილებით), სტატისტიკურად სანდოდ უკავშირდება პოლიტიკური ნდობის ცვლადს და შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც დადებითი ძლიერი კავშირი ($r(217)=.547$, $p<.001$), რაც ნაწილობრივ ადასტურებს ნავარაუდევ H1.1. ჰიპოთეზას.

კვლავაც რომ დავუბრუნდეთ შემოთავაზებული მოდელის განხილვას, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსთა სანდოობა, როგორც რწმენათა ერთობლიობა ერთ მნიშვნელოვან სპეციფიკას მოიცავს: განსხვავებით ღრმა ინტერპერსონალური ურთიერთობებისგან, სადაც მისანდობის თვისებები და მახასიათებლები მიმნდობთან უშუალო პერსონალური ისტორიის საფუძველზე ყალიბდება და ფიქსირდება, პოლიტიკოსთა (როგორც ცალკეული წარმომადგენლის, ასევე სოციალური კატეგორიის) მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქესათვის გაცილებით ფრაგმენტული, არასრული და როგორც წესი მასმედიის მედიუმებით არის გაშუალებული, სიმმელის

(1950, 2005) ტერმინი რომ გამოვიყენოთ, პოლიტიკოსთა სანდოობა ეყრდნობა „სუსტ, ინდუქტიურ ცოდნას“ პოლიტიკოსთა ნიშან-თვისებების შესახებ. ხშირ შემთხვევაში სანდოობის განსჯაში მოქალაქე სტერეოტიპულ ცოდნას ეყრდნობა, მინდობის გადაწყვეტილება კი ევრისტიკულ ტენდენციებს მოიცავს (Rudolph, 2017). ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, პოლიტიკოსთა სანდოობის აღქმების ფორმირებაში მნიშვნელოვან დეტერმინანტად გავიაზრეთ მნიშვნელოვანი სხვის მიერ აღქმული პოლიტიკოსთა სანდოობა. პოლტიკოსთა სანდოობის აღქმაში, მნიშვნელოვანი სხვის კონცეპციის შემოტანა და მოდელში ინკორპორირება, ორი კლასიკური თეორიის პათოსზზე დაყრდნობით განხორციელდა: ერთის მხრივ გავითვალისწინეთ ფესტინჯერის პოზიცია სოციალური შედარების თეორიის შესახებ (Festinger, 1954), საკუთარი შეხედულებების სიზუსტის ვერიფიკაცია სხვა სოციალურ აგენტთან, ხოლო მეორეს მხრივ, სუბიექტური ნორმის იდეა ვისესხეთ ატიტუდის გააზრებული ქცევის მოდელიდან (TRA) (Aizen & Fishbein, 1977), როგორც განზრახვის ფორმირებაში მნიშვნელოვანი სხვის პოზიციის თანხვედრა საკუთარ რწმენებთან. მაშინ, როდესაც ქცევითი განზრახვა თეორიაში ქცევის მოტივაციური კონსტრუქტია, მისი შემადენელი კომპონენტებიდან ქცევისადმი დამოკიდებულება პიროვნული ფაქტორია, ხოლო სუბიექტური ნორმა ასახავს რწმენას, რომლის შესრულებაც სურთ მნიშვნელოვან სხვებს და ამდენად ნორმატიულ კონტროლს, ქცევის სოციალურ კონტექსტს ქმნის. ამ პოზიციის გაათვალისწინებით სხვათა მიერ აღქმული სანდოობით ნდობის მოცემულ მოდელს სოციალური კონტექსტის განზომილება ემატება.

შესაბამისად ვივარაუდეთ რომ მნიშვნელოვანი სხვის მიერ აღქმული სანდოობა, როგორც ქცევის ნორმატიულ კონტროლთან დაკავშირებული კონსტრუქტი, ზემოთ მითითებულ სხვა ცვლადებთან ერთად მნიშვნელოვანი კორელატი უნდა ყოფილიყო მოქალაქის აღქმულ პოლიტიკურ სანდოობაში. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა რომ თეორიული დაშვება სანდო და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (r(217)=.547, p <.001), რეგრესიულ მოდელში (იხ. სექცია 4.3.) მნიშვნელოვანი სხვის მიერ პოლიტიკოსთა სანდოდ აღქმას ღირებული წვლილი შეაქვს მოქალაქის სანდოობის აღქმის ახსნაში (რითაც დასტურდება ნავარაუდევი ჰიპოთეზა: H1.2.3.)

შემუშავებული მოდელის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლადს მიმნდობლობა წარმოადგენს. თეორიული ლოგიკა დიდწილად დაეყრდნო ორგანიზაციული ნდობის

მაიერისეულ მოდელს (Mayer et el, 1995): ინდივიდის ტენდენცია მიენდოს სხვას (ჩვენს შემთხვევაში პოლიტიკოსს) არ დაიყვანება მხოლოდ მისანდობის აღქმულ თვისებებსა და შესაბამისად აღქმულ სანდოობაზე, აღიქვა ობიექტი სანდოდ (და შემდგომ მიენდო) აუცილებლად გულისხმობს სუბიექტის (მიმნდობის) მიდრეკილებას, ტენდენციას იყოს მიმნდობი. მიმნდობლობა შეგვიძილია გავიაზროთ როგორც დისპოციზია, ან ერთგვარი პიროვნული მახასიათებელი (პიროვნულ მახასიათებლებთან ნდობის მიმართება შეგიძლიათ დამატებით იხილოთ: Bromme Rothmund & Azevedo, 2022; Freitag & Bauer, 2016; Frazier, Johnson & Fainshmidt, 2013). ამ დაშვების შესაბამისად ნავარაუდევი იყო, რომ მიმნდობლობა (ოპერაციონალიზებული როგორც გენერალური ნდობა, გაზომილი იამაგიშის (Yamagishi & Yamagishi 1994) 6 დებულებიანი სკალით) დაკავშირებული იქნებოდა სანდოობის კონსტრუქტის ქულებთან (ჰიპოთეზა: H1.2.1.). კორელაციურმა ანალიზმა დაადასტურა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირის არსებობა, როგორც მიმნდობლობასა და პოლიტიკოსთა სანდოობას შორის, ასევე პოლიტიკოსებისადმი ნდობასთან მიმართებით, თუმცა შემდგომმა მარტივმა წრფივმა რეგრესიულმა ანალზზმა აჩვენა რომ იერარქიულ მოდელებში, სხვა ცვლადების დამატებთი, მიმნდობლობა სტატისტიკურ მნიშვნელობას კარგავდა, რაც უფრო კომპლექსური სტატისტიკური ანალიზის აუცილებლობას აჩენდა. შემდგომმა სტატისტიკურმა ანალიზმმა აჩვენა, რომ მიმნდობლობის ცვლადი, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად კორელირებს პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის ლატენტურ ცვლადთან, შეინიშნება ნეგატიური კოვარიაცია სანდოობის ერთერთ სუბსკალასთან, კერძოდ აღქმულ პატიოსნებასთან. ეს ნეგატიური კავშირი მიზეზი აღმოჩნდა შემოთავაზებული მოდელის მცირედი კორექტირების (განსხვავება იხილეთ სურათებში : N7 და N8) და ასევე მცირედი თეორიული ვაკუუმი შექმნა ამ შედეგის ინტერპრეტაციისთვის, რაზეც მნიშვნელოვანია რომ სამომავლო კვლევებში ჯეროვანი პასუხი გაეცეს. ამ ეტაპზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ აღქმული პატიოსნების განზომილება პოლიტიკოსთა სანდოობაში, ზესპეციფიკურ ცვლადს წარმოადგენს. ერთის მხრივ ეს შეიძლება ქართული პოლიტიკური ლანდშაფტით იყოს გამოწვეული, ხოლო მეორეს მხრივ პოლიტიკოსთა ჯგუფის (ერთგვარი სოციალური კატეგორიის) ისეთ თვისებებთან, როგორიცაა სიბინძურე (კონტამინირება: მოსაზრება რომ

პოლიტიკა ბინძური საქმეა), ამორალურობა და ა. შ. რაც ზოგად მიმნდობლობის მიღმა ტოვებს პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის ამ კონკრეტულ განზომილებას. თუმცა ამგვარი ინტერპრეტაცია სპეკულატიურია და საჭიროებს დამატებით კვლევას მეცნიერული სიზუსტისთვის.

და ბოლოს, მოდელის თეორიული კონსტრუქტი მოიცავს მეოთხე მნიშვნელოვან ცვლადს: იმ კონტექსტის ბუნდოვანებას, სადაც ნდობა უნდა ფუნქციონირებდეს. ჩვენ შემთხვევაში პოლიტიკურ საკითხებში გარკვევის სირთულით მოვახდინეთ ამ განზომილების ოპერაციონალიზაცია. მოდელის თეორიული დაშვება ემყარება ლოგიკას, რომ ნდობა (ნდობის გამოცხადება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მინდობა იძულებითობის მაღალ ხარისხსს ატარებს) სწორედ მაშინ იძენს მნიშვნელობას და **ფუნქციას**, როდესაც სუბიექტი მოკლებულია რესურსს თავად გახდეს სასურველი მომავლის დადგომის გარანტორი; როგორც შემოთავაზებული დეფინიციიდან ჩანს, პოლიტიკური ნდობის ბუნება თავისთავში გულისხმობს ფაქტს, რომ *მოქალაქეს არ აქვს საკმარისი რესურს(ებ)ი მონიტორინგი გაუწიოს და აკონტროლოს პოლიტიკოსის ქმედებები,* რესურსის ნაკლებობა, არამხოლოდ დროის დეფიციტს გულისხმობს პოლიტიკურ აქტივობებში ჩასართველად და გასაკონტროლებლად, არამედ იმ ცოდნისა თუ სხვა ინტელექტუალურ უნარების სიმწირეს, რაც აუცილებელია პოლიტიკის საკეთებლად და შესაფასებლად. სწორედ ამ წანამძღვრის საფუძველზე პოლიტიკურ საკითხებში გაურკვევლობა მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ნდობის ფორმირებაში, უფრო ზუსტად კი ჰიპოთეზის თანახმად (H1.2.2.) პოლიტიკოსთა სანდოდ აღქმის ფორმირებაში. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოცემული ცვლადი სტატისტიკურად სანდოდ არ უკავშირდება (არ კორელირებს) არც, პოლიტიკოსთა მიმართ ნდობასთან და არც პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის ლატენტურ ცვლადთან, თუმცა კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებაა (რაც ლოგიკურია და არ წარმოადგენდა დიდ სიახლეს), რომ პოლიტიკაში გარკვევის სირთულე დაკავშირებულია პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის კომპეტენტურობის განზომილებასთან: ცხადია სუბიექტის ცოდნის სიმწირე პოლიტიკური ნდობის მოდელში, პოლიტიკოსთა კომპეტენტურად აღქმის ზრდას იწვევს, სხვა შემთხვევაში ნდობის გამოცხადების აუცილებლობა ნაწილობრივ აზრსს დაკარგავდა. შეიძლება ითქვას რომ ნავარაუდევი დაშვება (ჰიპოთეზა H1.2.2)

ნაწილობრივ დადასტურდა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკაში გარკვევა არა ზოგადად პოლიტიკოსთა სანდოობას, არამედ სანდოობის რელევანტურ განზომილებას უკავშირდება.

თეორიული მოდელის ემპირიული დადასტურების მიზნით აგებულ იქნა სტრუქტურული განტოლების მოდელი რათა ცვლადების ლოგიკური კავშირების გათვალისწინებით უკეთ მოგვეხდინა თეორიული კონსტრუქტის სტატისტიკური დადასტურება. სტატისტიკურ მოდელში (იხ. სურათი N8) პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა წარმოდგენილია ერთი ლატენტური ცვლადით დაკავშირებული აღქმული სანდოობის სამ ფაქტორთან; პოლიტიკაში გარკვევის სირთულე უშუალოდ აღქმულ კომპეტენტურობის განზომილებას უკავშირდება, ხოლო მნიშვნელოვანი სხვის მიერ აღქმული პოლიტიკოსთა სანდოობა და მიმნდობლობის ცვლადები პოლიტიკოსთა აღმული სანდოობის ლატენტურ ცვლადს; თავად აღქმული სანდოობა კი ლატენტური ცვლადის სახით, პირდაპირ, უშუალოდაა დაკავშირებული პოლიტიკოსებისადმი ნდობასთან. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა რომ ემპირიული მონაცემები კარგად ერგება თეორიულად შემუშავებულ პოლიტიკური ნდობის მოდელს, რაც პირდაპირ ადასტურებს ნაშრომში დასახული მიზნის სისრულეში მოყვანასა და კვლევის ცენტრალური ჰიპოთეზის (H1.) მიღების სტატისტიკურ მიზანშეწონილობას.

რომ შევაჯამოთ, მოცემული ნაშრომის ფარგლებში შემუშავდა პოლიტიკური ნდობის თეორიულ - კონცეპტუალური მოდელი, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში მოქმედი პოლიტიკოსებისადმი ნდობის, როგორც მზაობის მდგომარეობის ფსიქოლოგიურ კონსტრუქტს. ემპირიული მონაცემებისა და სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ თეორიული მოდელი გამართულად მუშაობს და გვევლინება დარგისთვის მნიშვნელოვან, ღირებულ შედეგად.

ნაშრომის ცენტრალური ამოცანის გადაჭრის მიღმა, გამოიკვეთა რამდენიმე საგულისხმო მიგნებაც:

- პოლიტიკური ნდობა და პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა მნიშვნელოვნად განსხვავდება პარტიზანულ ჭრილში: მოქალაქეები პარტიული აფილაციით (არა პარტიული წევრობით, არამედ პარტიული მხარდაჭერისა ან/და

პარტიული შეხედულებების გაზიარების თვალსაზრისით) უფრო მეტად ენდობიან პოლიტიკოსებს და აღიქვამენ სანდოდ, ვიდრე პარტიული აფილაციის არ მქონე მოქალაქეები. ეს შედეგი განსაკუთრებით საინტერესოდ გამოიყურება იმ ფონზე, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია ქვეყნის მასშტაბით გამოკვეთილად მაღალ ნიშნულზეა. შეიძლება ჩავთვალოთ (რა თქმა უნდა ეს მხოლოდ ვარაუდია და თეორიული სპეკულაცია), რომ მოქალაქე (რესპონდენტი) როდესაც აფასებს პოლიტიკოსებს და მათდამი ნდობას, პარტიულად აფილირებული ელექტორატი ნდობის ობიექტად იმპლიციტურად მისთვის მისაღები პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს იაზრებს, ხოლო არა აფილირებული, პოლიტიკოსს როგორც სოციალური კატეგორიის წარმომადგენელს ზოგადად. შედეგებიდან გამომდინარე რთულია ზუსტი ინტერპრეტაცია იმისა თუ ერთის მხრივ პოლიტიკოსებისადმი ნდობა განსაზღვრავს პარტიულ მხარდაჭერას, თუ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში პარტიულმა აფილაციამ პოლიტიკური ნდობის ფორმირება განაპირობა. ამ უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო კითხვებს პასუხები სამომავლო კვლევებით უნდა გაეცეს, განსხვავებული, მოდიფიცირებული კვლევითი დიზაინებით.

- პოლიტიკური ნდობის კონცეპტუალიზაციაში და ემპირიულ კვლევათა დიდ ნაწილში ნდობის ობიექტად ნაგულსხევია, როგორც პოლიტიკური ელიტა (პოლიტიკოსები) ასევე პოლიტიკური ინსტიტუტები. მოცემული ნაშრომის ფარგლებში, თეორიული წანამძღვრების გათვალისწინებით, პოლიტიკური ნდობა მხოლოდ პოლიტიკოსთა მიმართ ნდობას გულისხმობს და ინსტიტუციური ნდობა (მიუხედავად იმისა რომ მოცემულ კვლევაში ოპერაციონალიზებულია ტერმინით „ნდობა“) როგორც ასეთი, თეორიულ ნონსენს წარმოადგენს: ნაშრომის თეორიულ ანალიზში პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის ფენომენი გააზრებულია როგორც ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონიერებაში დარწმუნებულობა და არა ნდობა (ხშირად ოპერაციონალიზაციის თვალსაზრისით სწორედაც რომ დარწმუნებულობის (confidence in institutions) ტერმინს იყენებენ მკვლევარები). ლინგვისტური გამოწვევებისა და სოციოლოგიურ კვლევებში აპრობირებული პრაქტიკიდან

გამომდინარე კვლევაში ტერმინი „ნდობა“ ინსტიტუტების მიმართებითაც გამოვიყენეთ. თეორიული დაშვების საფუძველზე (Hooghe & Marien, 2013) ინსტიტუციური ნდობა ორ განზომილებად წარმოვადგინეთ: პარტიული ინსტიტუტები და აპარტიული. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიტიკოსებისადმი ნდობა და პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობა ძლიერად უკავშირდება როგორც პარტიულ, ასევე აპარტიულ ინსტიტუტებისადმი ნდობას, თუმცა განსხვავება კავშირის სიძლიერეებს შორის მაინც თვალშისაცემია, პარტიულ ინსტიტუტებთან კავშირის სიძლიერე აღემატება აპარტიულ ინსტიტუტებთან კავშირს. ეს შედეგები მნიშვნელოვანია ერთის მხრივ ინსტიტუტების პარტიულ განზომილებად დაყოფის გამართულობის თვალსაზრისით, ხოლო მეორეს მხრივს ხაზს უსვამს თეორიული დაშვებების ვალიდურობას.

- პოლიტიკურ მონაწილეობასა და პოლიტიკურ ნდობას შორის კავშირი საკმაოდ მნიშვნელოვანი და გამოწვევებით დატვირთული საკითხია (იხილეთ ნაშრომის 1.1.1. სექცია). მოცემული ნაშრომი მიზნად არ ისახავდა აღნიშნული კავშირის სიღრმისეულ ანალიზს ამიტომ მხოლოდ ზედაპირულ მიგნებებზე შევჩერდით: მოცემულ ცვლადებს შორის კავშირზე მითითება სხვადასხვა ავტორებთან, ცნებათა განსხვავებული კონცეპტუალიზაციით, ოპერაციონალიზაციით და შესაბამისად განსხვავებული შედეგებით გამოირჩევა (მაგ.: Hooghe and Marien, 2013; Muller, 1977; Muller and Jukam, 1977; Finifter, 1970). მოცემულ ნაშრომში პოლიტიკური მონაწილეობა ზოგადობის მაღალი ხარისხით კონცეპტუალიზირდა და ოპერაციონალიზდა როგორც თვითშეფასება თუ რამდენად პოლიტიკურად აქტიურად აფასებს მოქალაქე საკუთარ თავს. სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიტიკოსებისადმი ნდობა პოზიტიურად უკავშირდება პოლიტიკურ აქტივიზმს. როგორც ჰუგი (2013) აღნიშნავს, ელექტორალური მობილიზება საბოლოო ჯამში პოზიტიურად უკავშირდება პოლიტიკურ ნდობას; მოცემული კვლევის შედეგები შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც ავტორის ამ თეორიული დაშვების ემპირიული დადასტურება ქართულ კონტექსტში.

5.2 ნაშრომის პრაქტიკული/თეორიული ღირებულება

მოცემული კვლევა წარმოადგენს მცდელობას უკეთ გაანალიზდეს პოლიტიკური ნდობის ცნება სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან; ნაშრომში შემოთავაზებული თეორიული ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა კონცეპტუალური მოდელი, რათა მეტნაკლებად ზუსტად მიგვეთითებინა ნდობის ფსიქოლოგიური ბუნებაზე პოლიტიკურ სისტემაში, რაც თავის მხრივ სიახლეს წარმოადგენს ქართული აკადემიური სივრცისათვის.

ნაშრომში შემოთავაზებული პოლიტიკური ნდობის ფსიქოლოგიური მოდელირება და კონცეპტუალიზაცია მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული ანალიზის თვალსაზრისით, ასევე მოიცავს პოტენციალს გამოყენებულ იქნას პრაქტიკულ გამოწვევებზე საპასუხოდ.

ნაშრომის თეორიული ღირებულებიდან შეიძლება მივუთითოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე:

- ნაშრომში შემოთავაზებული ანალიზი აზუსტებს ცნების ფისქოლოგიურ ბუნებას და ხაზსს უსვამს ნდობის მუშაობის სპეციფიკას მენტალურ დონეზე;
- კონცეპტის შემოთავაზებული მოდელი საშუალებას იძლევა პოლიტიკური ნდობის სხვა მსგავსი ცნებებისგან გამოდიფერენცირებას (მაგალითად ინსტიტუტციების გამართულად ფინქციონირებაში დარწმულებულობა, პოლიტიკოსთა შეფასებითი დამოკიდებულება და სხვა) და ურთიერთგადაფარვის გამოწვევას პასუხობს;
- პოლიტიკური ნდობის ფსიქოლოგიური მოდელირება საშუალებას იძლევა გაანალიზდეს წარმონაქმნის სტრუქტურა და გამოიკვეთოს მდგენელი ელემენტების სპეციფიკური ექსტრაპოლაცია;
- და ბოლოს, პოლიტიკური სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და მოქალაქის პოლიტიკურ ქცევაში, ცნების ფუნქციის არსებულ ბუნდოვანებაში გარკვეული, თუნდაც მცირედი სიცხადე შეიტანოს.

რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებასა და მის შემდგომ გამოყენებას, მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ:

- ემპირიულ კვლევებში ვალიდური შედეგების მიღების თვალსაზრისით, ცნების ზუსტ დეფინიცირებასა და შემდგომ გამართულ ოპერაციონალიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მოცემულ ნაშრომს კი ამ მხრივ ღირებული წვლილის შეტანის პოტენციალი გააჩნია;
- პოლიტიკური ნდობის ცნების (როგორც დემოკრატიული განვითარების ბარომეტრის ფუნქციის მატარებლის) ზუსტი კონცეპტუალიზაცია, ზუსტი შედეგებისა და პროგნოზირების საშუალებას იძლევა;
- პოლიტიკით დაინტერესებული მკვლევარების (NGO სექტორის, პოლიტიკური ორგანიზაციების, პარტიების, ფოლისიმეიქერების) პრაქტიკულ საქმიანობაში პოლიტიკური ნდობით ოპერირებისთვის ზუსტი და გამართული კონცეპტის ქონა / ფლობა, უაღრესად მნიშვნელოვანია, მათ შორის ისეთ გამოწვევებზე საპასუხოდ როგორებიცაა:
    - ცნების უკეთ გაზომვა (ნაშრომში შემუშავებული და ვალიდიზირებული ინსტრუმენტის გამოყენებით)
    - შესაბამისად კვლევებზე დაფუძნებით, ზუსტი ინტერვენციების განხორციელება მოქალაქეთა პოლიტიკურ დამოკიდებულებებში
    - ნდობის ვარიაციის პროგნოზირება
    - ემპირიულ კვლევებში მონაცმების/შედეგების (სავარაუდო) არაზუსტი ინტერპრეტირების თავიდან არიდება

5.3 კვლევის შეზღუდვები და გამოწვევები

კვლევის შეზღუდვები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე (თეორიული მოდელის სტატისტიკური დადასტურება) შერჩევა სპეციფიკური რეკომენდაციებით მობილიზდა (200 – 300 რესპონდენტი CFA სთვის), თუმცა შერჩევის სიმცირე აისახა ისეთი ტიპის შეზღუდვებში, როგორიცაა ქულათა თანაბარი ვარიაბელობა რიგ სტატისტიკურ ანალიზებში; შეიძლება ითქვას, შერჩევის მოცულობა და მისი არაალბათური ხასიათი

(მოცემულ კვლევაში შერჩევის მეთოდად ხელმისაწვდომობის პრინციპი იქნა შერჩეული) ნაშრომის ერთერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს.

მოცემული კვლევის ერთერთი მნიშვნელოვანი და ღირებული ასპექტი ახალი საკვლევი ინსტრუმენტის ფორმირება გახლავთ. საკვლევი ამოცანებიდან გამომდინარე შეიქმნა პოლიტიკოსთა აღქმული სანდოობის საზომი სკალა, რომელიც ინსტრუმეტის ვალიდიზაციის რეკომენდირებულ თითქმის ყველა წინაპირობას აკმაყოფილებს, თუმცა ფსიქომეტრიის მკაცრი სტანდარტებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა სანდოობა / ვალიდობის აპექტების უფრო მეტად დახვეწა; კერძოდ: ინსტრუმენტის სანდოობის მისათითებლად შემოვიფარგლეთ მხოლოდ შინაგანი კონსისტენტობის ანალიზით, თუმცა უპრიანი იქნებოდა სკალის დროში სტაბილურობის დაზუსტებაც, მაგალითად რეტესტის მიზანშეწონილობას ვიაზრებთ და მისი არარსებობა შეიძლება ფსიქომეტრიულ ნაკლად მივიჩნიოთ. რაც შეეხება ვალიდობის კრიტერიუმებს, ვალიდიზაციისთვის შესრულებული სამუშაო, სცდება სტანდარტის მინიმალურ კრიტერიუმებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალი ინსტრუმენტის ფორმირება ძლიერ კრიტიკას უნდა უძლებდეს ვალიდობის ყველა ფორმის თვალსაზრისით; მიუხედავად იმისა რომ შემოწმდა ინსტრუმენტის კონსტრუქტული ვალიდობა, სასურველი იქნებოდა კონვერგენტული თუ დისკრიმენტული ვალიდობის მეტად დახვეწილი პროცედურები გაევლო აღნიშნულ სკალას (მიუხედავად იმისა, რომ დაშვებული მინიმალური სტანდარტი, კონვერგენტულ ვალიდობასთან დაკავშირებით აღნიშნულ კვლევაში შესრულდა და ინსტრუმენტი დანამდვილებით საკვლევ კონცეპტს ზომავს).

მნიშვნელოვანი გამოწვევები და რეკომენდაციები შემდგომი კვლევებისთვის:

პოლიტიკური ნდობის შემდგომი კვლევების დახვეწის მიზნით შიძლება მივუთითოთ რამდენიმე გამოწვევას და რეკომენდაციული ფორმით შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

აღნიშნულ ნაშრომში კვლევის დიზაინად შერჩეულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია, თუმცა გამომდინარე საკვლევი თემის სპეციფიკიდან (ცნების ფსიქოლოგიური კონცეპტუალიზაცია) სამომავლოდ უპრიანი იქნება

შემოთავაზებული მოდელის თვისებრივ კვლევის დიზაინში გაანალიზება და რაოდენობრივ მონაცემებთან თავსებადობის გადამოწმება.

ასევე, მნიშვნელოვანია შეიქმნას უშუალოდ პოლიტიკური ნდობის საზომი ინსტრუმენტი, არსებულ თეორიულ და ემპირიულ კვლევაზე დაფუძნებით, კერძოდ ნდობის, როგორც მზაობის საზომი ინსტრუმენტი და ხელახლა შემოწმდეს ნაშრომში შემოთავაზებული ნდობის მოდელი;

შემდგომი კვლევებისთვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს პარტიზანობის ელემენტი და კვლევის ახალ დიზაინში შერჩევა პარტიული პრეფერენციების გათვალისწინებით განხორციელდეს;

პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის მეტი პრაქტიკული ღირებულებიდან გამომდინარე, საკვლევი ინსტრუმეტ(ებ)ი მოდფიცირდეს, რათა იძლეოდეს შესაძლებლობას მოერგოს კონკრეტულ პოლიტიკურ აქტორს და არ მოიაზრებდეს მხოლოდ ზოგადად პოლიტიკოსებს, როგორც სოციალურ კატეგორიას.

გამოყენებული ლიტერატურა

Agger, R. E., Goldstein, M. N., & Pearl, S. A. (1961). Political Cynicism: Measurement and Meaning. *The Journal of Politics*, 477-506.

Ajzen, I. (1991). The theory of planned behavior. *Organizational Behavior and Human Decision Processes*, 179–211. doi:10.1016/0749-5978(91)90020-T

Ajzen, I., & Fishbein, M. (1977). Attitude-behavior relations: A theoretical analysis and review of empirical research. *Psychological Bulletin*, 888–918. doi:10.1037/0033-2909.84.5.888

Akerlof, G. A. (1970). The Market for "Lemons": Quality Uncertainty and the Market Mechanism. *The Quarterly Journal of Economics, 84*(2), 488-500.

Almond, G. A., & Verba, S. (1963). *The Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Five Nations.* Princeton University Press.

Baier, A. (1986). Trust and Antitrust. *Ethics*, 231-260.

Barber, B. (1983). *The Logic and Limits of Trust.* New Brunswick, NJ: Rutgers University Press.

Baumert, A., Halmburger, A., Rothmund, T., & Schemer, C. (2016). Everyday dynamics in generalized social and political trust. *Journal of Research in Personality*. doi:10.1016/j.jrp.2016.04.006

Bélanger , É., & Nadeau, R. (2005). Political trust and the vote in multiparty elections: The Canadian case. *European Journal of Political Research*, 121–146.

Bélanger, É. (2017). Political trust and voting behaviour. In S. Zmerli , & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 242-254). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Bjørnskov, C. (2018). Social Trust and Economic Growth. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 535-558). New York: Oxford University Press.

Bourdieu, P. (1986). THE FORMS OF CAPITAL. In J. Richardson, *Handbook of Theory and Research for the Sociology of Education* (pp. 241–258). Westport, CT: Greenwood.

Bradford, B., Jackson, J., & Hough, M. (2018). Trust in Justice. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 633-656). New York: Oxford University Press.

Bromme, L., Rothmund, T., & Azevedo, F. (2022). Mapping Political Trust and Involvement in the Personality Space – A Systematic Review and Analysis. *Journal of Personality*, 1-27. doi:10.1111/jopy.12700

Chan, H., Supriyadi, M., & Torgler, B. (2018). Trust and Tax Morale. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 497-534). New York: Oxford University Press.

Chanley, V. A. (2002). Trust in Government in the Aftermath of 9/11: Determinants and Consequences. *Political Psychology*, 469-483.

Chanley, V. A., Rudolph, T. J., & Rahn, W. M. (2000). The Origins and Consequences of Public Trust in Government: A Time Series Analysis. *The Public Opinion Quarterly*, 239-256.

Cohen, J. (1988). *Statistical Power Analysis for the Behavioral Sciences.* New York: Routledge. doi:10.4324/9780203771587

Dalton, R. J. (2004). *Democratic Challenges, Democratic Choices: The Erosion of Political Support in Advanced Industrial Democracies.* New York: Oxford University Press.

Dasgupta, P. (1988). Trust as a Commodity. In D. Gambetta (Ed.), *Trust: Making and Breaking Cooperative Relations* (pp. 49-72). New York: B. Blackwell.

Easton, D. (1965). *A Framework for Political Analysis.* Prentice Hall Incorporated.

Easton, D. (1975). A Re-Assessment of the Concept of Political Support. *British Journal of Political Science*, 435-457.

Erikson, E. H. (1977). *Childhood and Society.* London: Paladin Grafton Books.

Feather, N. T. (1959). Subjective probability and decision under uncertainty. *Psychological Review*, 150-164.

Festinger, L. (1954). A Theory of Social Comparison Processes. *Human Relations*, 117-140. doi:10.1177/001872675400700202

Finifter, A. W. (1970). Dimensions of Political Alienation. *The American Political Science Review*, 389-410.

Frazier, M., Johnson, P. D., & Fainshmidt, S. (2013). Development and validation of a propensity to trust scale. *Journal of Trust Research*, 76-97. doi:10.1080/21515581.2013.820026

Freitaga, M., & Bauer, P. C. (2016). Personality traits and the propensity to trust friends and strangers. *The Social Science Journal*. doi:10.1016/j.soscij.2015.12.002

Fukuyama, F. (1995). *Trust : the social virtues and the creation of prosperity.* New York: Free Press.

Gabriel, O. W. (2017). Participation and political trust. In S. Zmerli , & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on political trust* (pp. 228-241). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Giddens, A. (1990). *The Consequences of Modernity.* Cambridge: Polity Press.

Gilbreath, D., & The Caucasus Datablog. (2020, September 1). *oc-media.* Retrieved from https://oc-media.org/: https://oc-media.org/features/datablog-the-rallying-around-the-flag-effect-in-georgia/?fbclid=IwAR3rhVmRDPiYDTkvSzBbvq9V0FL9Co64f-cJhQJO2n4afS0vAzEqZtNtHQs

Grimes, M. (2017). Procedural fairness and political trust. In S. Zmerli , & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 256-269). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Grimmelikhuijsen, S., & Knies, E. (2017). Validating a scale for citizen trust in government organizations. *International Review of Administrative Sciences*, 583–601. doi:10.1177/0020852315585950

Halmburger, A., Rothmund, T., Baumert, A., & Maier, J. (2019). Trust in Politicians—Understanding and Measuring the Perceived Trustworthiness of Specific Politicians and Politicians in General as Multidimensional Constructs. In *Wahrnehmung – Persönlichkeit – Einstellungen. Wahlen und politische Einstellungen.* (pp. 235-302). Wiesbaden: Springer VS.

Hardin, R. (1993). The Street-Level Epistemology of Trust. *Politics & Society*, 505-529. doi:10.1177/0032329293021004006

Hardin, R. (1998). Trust in Government. In V. Braithwaite , & M. Levi (Eds.), *Trust and Governance* (pp. 9-27). Russell Sage Foundation.

Heckhausen, J., & Heckhausen, H. (2008). *Motivation and Action.* Cambridge: Cambridge University Press.

Hetherington, M. J. (1998). The Political Relevance of Political Trust. *American Political Science Review*, 791–808.

Hetherington, M. J., & Rudolph, T. J. (2018). Political Trust and Polarization. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 579-598). New York: Oxford University Press.

Hooghe , M., & Marien, S. (2013). A COMPARATIVE ANALYSIS OF THE RELATION BETWEEN POLITICAL TRUST AND FORMS OF POLITICAL PARTICIPATION IN EUROPE. *European Societies*, 131-152. doi:10.1080/14616696.2012.692807

Hooghe, M. (2011). Why There is Basically Only One Form of Political Trust. *British Journal of Politics and International Relations*, 269–275. doi:10.1111/j.1467-856X.2010.00447.x

Hooghe, M. (2018). Trust and Elections. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 617-632). New York: Oxford University Press.

Hu, L.-t., & Bentler, P. M. (1999). Cutoff criteria for fit indexes in covariance structure analysis: Conventional criteria versus new alternatives. *Structural Equation Modeling: A Multidisciplinary Journal*, 1-55. doi:10.1080/10705519909540118

Kumlin , S., & Haugsgjerd, A. (2017). The welfare state and political trust: bringing performance back in. In S. Zmerli , & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 285-301). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Luhmann, N. (1988). Familiarity, Confidence, Trust: Problems and Alternatives. In D. Gambetta (Ed.), *Trust: Making and Breaking Cooperative Relations* (pp. 94-107). New York: B. Blackwell.

Marien, S. (2011). The effect of electoral outcomes on political trust: A multi–level analysis of 23 countries. *Electoral Studies*, 712–726.

Mayer, R. C., & Davis, J. H. (1999). The Effect of the Performance Appraisal System on Trust for Management: A Field Quasi-Experiment. *Journal of Applied Psychology*, 123-136.

Mayer, R. C., Davis, J. H., & Schoorman, D. F. (1995). An Integrative Model of Organizational Trust. *The Academy of Management Review*, 709-734. doi:10.2307/258792

McEvily, B., & Tortoriello, M. (2011). Measuring trust in organisational research: Review and recommendations. *Journal of Trust Research*, 23-63. doi:10.1080/21515581.2011.552424

Muller , E. N., & Jukam, T. O. (1977). On the Meaning of Political Support. *American Political Science Review*, 1561-1595.

Muller, E. N. (1977). Behavioral Correlates of Political Support. *The American Political Science Review*, 454-467.

Muller, E. N. (1982). An Explanatory Model for Differing Types of Participation. *European Journal of Political Research*, 1-16.

NDI. (2023). *https://www.ndi.org/.* Retrieved from https://www.ndi.org/publications/ndi-poll-georgian-citizens-remain-steadfast-their-stated-aim-european-and-euro-atlantic.

Newton, K. (2008). Trust and Politics. In D. Castiglione, J. W. van Deth, & G. Wolleb (Eds.), *the handbook of SOCIAL CAPITAL* (pp. 241-272). New York: Oxford University Press.

Newton, K., Stolle, D., & Zmerli, S. (2018). Social and Political Trust. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 37-56). New York: Oxford University Press.

OECD. (2017). *OECD Guidelines on Measuring Trust.* Paris: OECD Publishing. doi:https://doi.org/10.1787/9789264278219-en

Offe, C. (1999). How Can We Trust Our Fellow Citizens? In M. E. Warren (Ed.), *Democracy and Trust* (pp. 42-87). Cambridge: Cambridge University Press.

Pallant, J. (2016). *SPSS Survival Manual: A Step by Step Guide to Data Analysis Using SPSS Program.* London: McGraw-Hill Education.

Parsons, T., & Platt, G. M. (1973). *The American University.* Cambridge: Harvard University Press.

Putnam, R. D. (2000). *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community.* New York: Simon and Schuster.

Putnam, R., Leonardi, R., & Nonetti, R. (1993). *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy.* Princeton University Press.

Rothstein, B., & Uslaner, E. (2005). All for All: Equality, Corruption, and Social Trust. *World Politics*, 41-72.

Rotter, J. B. (1967). A new scale for the measurement of interpersonal trust. *Journal of Personality*, 651–665. doi:10.1111/j.1467-6494.1967.tb01454.x

Rousseau, D. M., Sitkin, S. B., Burt, R. S., & Camerer, C. F. (1998). Not So Different After All: A Cross-discipline View of Trust. *The Academy of Management Review*, 393-404. doi:10.5465/AMR.1998.926617

Rudolph, T. J. (2017). Political trust as a heuristic. In S. Zmerli, & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 197-211). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Schiffman, L., Thelen, S. T., & Sherman, E. (2010). Interpersonal and political trust: modeling levels of citizens' trust. *European Journal of Marketing*, 369 - 381. doi:10.1108/03090561011020471

Schoon, I., & Cheng, H. (2011). Determinants of Political Trust: A Lifetime Learning Model. *Developmental Psychology*, 619–631. doi:10.1037/a0021817

Schumacker, R. E., & Lomax, R. G. (2010). *A Beginner's Guide to Structural Equation Modeling.* New York: Routledge Taylor & Francis Group.

Seyd, B. (2016, March). HOW SHOULD WE MEASURE POLITICAL TRUST?, (pp. 1-21). Brighton.

Seyd, B., & Bu, F. (2022). Perceived risk crowds out trust? Trust and public compliance with coronavirus restrictions over the course of the pandemic. *European Political Science Review*, 1–16. doi:10.1017/S1755773922000078

Simmel, G. (2005). *The Philosophy of Money.* (D. Frisby, Ed.) London, New York: Taylor & Francis e-Library.

Simmel, G., & Wolff, K. H. (1950). *The sociology of Georg Simmel.* Glencoe: Free Press.

Sumbadze, N. (2013). *Determinants and Consequences of Civic Participation.* Tbilisi.

Sztompka, P. (1999). *Trust: A Sociological Theory.* Cambridge : Cambridge University Press.

Theiss-Morse, E., Barton, D.-G., & Wagner, M. W. (2015). Political Trust in Polarized Times. *Nebraska Symposium on Motivation*, *62*, pp. 167-190. doi:10.1007/978-3-319-16151-8_8

Tyler, T. R. (2006). Restorative Justice and Procedural Justice: Dealing with Rule Breaking. *Journal of Social Issues*, 307-326.

Uslaner, E. M. (2002). The Moral Foundations of Trust. *Trust in the Knowledge Society.* Jyvaskala. doi:10.2139/ssrn.824504

Uslaner, E. M. (2008). Trust as a moral value. In D. Castiglione, J. W. van Deth, & G. Wolleb (Eds.), *The Handbook of Social Capital* (pp. 101-121). New York: Oxford University Press.

Uslaner, E. M. (2018). The Study of Trust. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 3-14). New York: Oxford University Press.

van der Meer , T. W., & Zmerli, S. (2017). The deeply rooted concern with political trust. In S. Zmerli, & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 1-18). Cheltenham: Edward Elgar Publishing.

van der Meer, T. W. (2017). Democratic input, macroeconomic output and political trust. In S. Zmerli , & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 270-284). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

van der Meer, T. W. (2018). Economic Performance and Political Trust. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 599-616). New York: Oxford University Press.

Verba, S., & Nie, N. H. (1972). *Participation in America: political democracy and social equality.* New York: Harper & Row.

Verba, S., Nie, N. H., & Kim, J.-o. (1978). *Participation and Political Equality: A Seven-Nation Comparison.* Cambridge: Cambridge University Press.

Warren, M. (2017). What kinds of trust does a democracy need? Trust from the perspective of. In S. Zmerli, & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 33-52). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Warren, M. E. (1999). *Democracy and trust.* Cambridge: Cambridge University Press.

Warren, M. E. (1999). Introduction. In M. E. Warren (Ed.), *Democracy and Trust* (pp. 1-21). Cambridge: Cambridge University Press.

Warren, M. E. (2017). What kinds of trust does a democracy need? Trust from the perspective of democratic theory. In S. Zmerli, & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 33-52). Cheltenham: Edward Elgar Publishing.

Warren, M. E. (2018). Trust and Democracy. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 75-94). New York: Oxford University Press.

Warren, M. E. (2018). Trust and Democracy. In E. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 75-95). New York: Oxford University Press.

Yamagishi, T. (1998). *The Structure of Trust An Evolutionary Game of Mind and Society.* (F. Wang, Trans.) Tokyo: Tokyo University Press.

Yamagishi, T., & Yamagishi, M. (1994). Trust and Commitment in the United States and Japan. *Motivation and Emotion*, 129-166.

You, J.-s. (2018). Trust and Corruption. In E. M. Uslaner (Ed.), *The Oxford Handbook of Social and Political Trust* (pp. 473-496). New York: Oxford University Press.

Zmerli, S., & Newton, K. (2017). Objects of political and social trust: scales and hierarchies. In S. Zmerli, & T. W. van der Meer (Eds.), *Handbook on Political Trust* (pp. 104-124). Cheltenham: Edward Elgar Publishing Limited.

Zmerli, S., Newton, K., & Montero, R. J. (2007). Trust in people, confidence in political institutions and satisfaction with democracy. In J. Van Deth, J. Montero, & A. Westholm (Eds.), *Citizenship and Involvement in European Democracies: A Comparative Analysis* (pp. 35-65). London: Routledge.

ლებანიძე, ბ. (2021). *პარტიული პოლიტიკის რადიკალიზაცია საქართველოში: გრძელვადიანი სტაბილურობის ძიებაში.* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი: პოლიტიკის ნარკვევი.